ზღვარი

მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა

N6(16)2025

რედაქტორი

დეკანოზი გიორგი წეროძე

სარედაქციო საბჭო

თამარ გრძელიძე
ბექა მინდიაშვილი
ზურაბ ჯაში
არქიმანდრიტი ილია ჯინჯოლავა

ტექსტის რედაქტორი

თეა ქიტოშვილი

დიზაინი

ელენე მინდიაშვილი

© 2025, ყველა საავტორო უფლება დაცულია

სარჩევი

5 უნთიერთმსახურება მომავლის (ესქატონის) სულისკვეთებით
დეკანოზი გიორგი წეროძე

10 განღმრთობის „იოლი“ გზა
წმ. მაქსიმე აღმსარებელი

13 რეფლექსია ნაწყვეტზე მაქსიმე აღმსარებლის „მისტაგოგიიდან“
თამარ გრძელიძე

21 მისტიკური, როგორც ეთიკური: ღმერთისა და მოყვასის სიყვარული მართლმადიდებლურ სულიერებაში
ზურაბ ჯაში

31 მშიოდა და მეცით მე ჭამადი
არქიმანდრიტი დოროთე ყურაშვილი

37 სამსჯავრო სიყვარულის ენით: ქრისტიანული განსჯის თეოლოგიური ანალიზი
არქიმანდრიტი ილია ჯინჯოლავა

46 როგორ გავიგოთ მათეს სახარების 25:31-46 მუხლები
იღუმენი ეფრემ ლომიძე

55 ღმერთის დანახვის უბრალოება
დეკანოზი მიქაელ გალდავა

61 პასუხისმგებლობის დიფუზია
მღვდელმონაზონი საბა კევლიშვილი

67 სიმართლის თქმა სიყვარულით: საშინელი სამსჯავროს კვირიაკე
პროტოპრესვიტერი თომა ჰოპკო

79 პატიმარი № 19263 – ჩაგრულთა და გარიყულთა შემწე
ნინო საძაგლიშვილი

90 ჰაგიოგრაფიული გმირები როგორც აქტივისტები
ოქტაი ქაზუმოვი

ქრისტესმიერ საყვარელო ძმებო და დებო,
საშინელი სამსჯავროს სახარება გვიმხელს არა მხოლოდ ზნეობრივ კანონს, არამედ მომავალი სასუფევლის საიდუმლოსაც. როდესაც ქრისტე ამბობს: „მოდით, მამაჩემის მიერ კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ სასუფეველი... რადგან მშიოდა და მომეცით საჭმელი“ (მათე 25:34-35), — ის მოწმობს, რომ მარადისობა სიყვარულის უბრალო საქმეებში იწყება.

ეკლესია ცხოვრობს ამ პარადოქსით: მომავალი, ჯერ კიდევ სრულად გამოუვლენელი, უკვე გვეხება ჩვენ. ევქარისტიაში ჩვენ მომავალი საუკუნის ტრაპეზს ვაგემოვნებთ, ხოლო ღარიბთა და პატიმართა მსახურებაში ვცნობთ ქრისტეს, რომელიც ჩვენთან „სხვის“ სახით მოდის.

ყოველი მოწყალების საქმე არის არა უბრალოდ სოციალური ვალდებულება, არამედ ესქატოლოგიური მოვლენა, ნიშანი იმისა, რომ ღვთის სასუფეველი უკვე ისტორიაში მოქმედებს.

ასე იშლება მომავლის ონტოლოგია: ჭეშმარიტი ყოფიერება ეკუთვნის არა წარსულს და არც აწმყოს, არამედ მომავალს. იქ არის ყოველი სიცოცხლის წყარო. და ამიტომაც, ყოველი ჩვენი პასუხი სხვის წყურვილზე, სიშიშვლეზე, მარტოობაზე არის უკვე იმ დღის წინასწარ ხილვა, როდესაც „ღმერთი იქნება ყველაფერი ყველაფერში“ (1 კორ. 15:28).

ჟურნალ „ზღვარის“ ამ გამოცემაში შეკრებილი სტატიები მოწოდებულია, შეგვახსენოს: ეკლესიის სოციალური როლი არ არის მეორეხარისხოვანი მისია, არამედ თავად მისი არსი და მოწმობაა მომავლის შესახებ.

ჩვენ ვარსებობთ იმისთვის, რომ გვახსოვდეს მომავალი, „ვიხსენებდეთ მას“ ლიტურგიულად და ცხოვრებით, და უკვე ახლა ვიყოთ იმ სასუფევლის მონაწილენი, რომელშიც არ იქნება არც შიმშილი, არც წყურვილი, არც საპყრობილე და არც ცრემლი.

დეკანოზი გიორგი წეროძე

Beloved brothers and sisters in Christ,
The Gospel of the Last Judgment offers more than just a moral code; it reveals the profound mystery of the Kingdom to come. When Christ says, „Come, O blessed of my Father, inherit the kingdom prepared for you from the foundation of the world; for I was hungry and you gave me food," (Matthew 25:34-35), He affirms that eternal life begins with simple acts of love.

The Church lives in the paradox: the future, though not yet fully revealed, already impacts us. In the Eucharist, we taste the feast of the age to come, and by serving the poor and imprisoned, we encounter Christ who appears to us in the form of „the Other." Every act of charity is more than a mere social duty; it is an eschatological event, a sign that the Kingdom of God is already at work in history.

This is how the ontology of the future unfolds: true being belongs neither to the past nor the present, but to the future. Therein lies the source of all life. And therefore, every response we make to our neighbor's thirst, nakedness, or loneliness is already a pre-vision of that Day when „God will be all in all" (1 Corinthians 15:28).

The articles included in this publication serve to remind us that the Church's social role is not a secondary mission, but the core of its existence and its witness to the future. We exist to remember the future, to „make anamnēsis" of it both in liturgy and in life, and to participate, even now, in that Kingdom where there will be no hunger, no thirst, no prison, and no tears.

Archpriest Giorgi Tserodze

მომავლის (ესქატონის) სულისკვეთებით დანახული ურთიერთმსახურება

დეკანოზი გიორგი წეროძე

ქრისტიანული რწმენა გვპირდება, რომ ერთ დღეს ღვთის სამეფო სრულად გაიმარჯვებს, ეს მოხდება მაშინ, როცა იესო ქრისტე მეორედ მოვა და სამყარო გარდაიქმნება. ყოფიერება სიკვდილის, ბოროტებისა და მწუხარებისგან დაიცლება. ეს მომავალი ყველას ერთად გვიწვევს თავისკენ. იქ ყველას მიმართ უსაზღვრო კეთილგანწყობა დაგვხვდება. ცათა სასუფევლის სიმართლე თურმე განსაზღვრავს არა მომავალს, არამედ წარსულსა და აწმყოსაც. აწმყო იმდენად არის რეალური და გნებავთ - ისტორიულიც, რამდენადაც მასში ცათა სასუფევლის სიმართლე აღწევს. ამ დიდებული მომავლისთვის შეიქმნა სამყარო. თუ/რადგან ეს ასეა, ე. ი უკვე ახლავე, აქ ამ დროში მეორე და სხვა ჩემთვის სიცოცხლესავით შესაყვარებელია. იესო ქრისტე ჩვენთვის ამ სიხარულის შემოქმედია. მისი მეშვეობით და მხოლოდ მასშია შესაძლებელი ეს ბედნიერება. ჩვენ მას სახარებაში ცათა სასუფევლის მოქალაქედ ვხედავთ. მისი სწავლება ჩვენთვის უძვირფასესია. მათე 25:31-40:

> „და როდესაც მოვა ძე კაცისა თავისი დიდებით და ყველა წმიდა ანგელოზი მასთან ერთად, მაშინ დაჯდება იგი თავისი დიდების ტახტზე. შეიყრება მის წინაშე ყველა ხალხი და გაარჩევს მათ ერთმანეთისაგან, ...მოდით, კურთხეულნო მამაჩემის მიერ, და დაიმკვიდრეთ სასუფეველი, თქვენთვის გამზადებული ქვეყნის დასაბამიდან. რადგან მშიოდა და მომეცით საჭმელი; მწყუროდა და მასვით; უცხო ვიყავი და შემიწყნარეთ; შიშველი ვიყავი და შემმოსეთ; სნეული ვიყავი და მომხედეთ; საპყრობილეში ვიყავი და მინახულეთ... ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რითაც შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით მე შემეწიეთ.”

ეს სიტყვები გვახსენებს, რომ გაჭირვებულის გვერდში დგომა, მშიერის გამოკვება თუ მარტოხელას გამხნევება ღვთის სამეფოს უტყუარი გზაა.

მართლმადიდებლური სწავლება, წმ. მამების სიტყვებით, გვეუბნება, რომ ჩვენი ცხოვრება განისაზღვრება ღვთის სამეფოთი, სადაც სიყვარული ყოველ განხეთქილებას გადალახავს. სოციალური მსახურება — გაჭირვებულის დახმარება, სამართლიანობის ძიება თუ გარემოზე ზრუნვა — ამ მომავლის სულისკვეთებით სავსე პატარა ნაბიჯებია. წმ. მამები გვასწავლიან, რომ ყოველი კეთილი საქმით, თუნდაც ყველაზე მცირედით, თითქოს ღვთის სამეფოს ნაწილს ვქმნით, ვმონაწილეობთ მასში. მაგალითად, საქართველოში, როცა მეზობლები ერთად შეიკრიბებიან, რათა გაჭირვებულ ოჯახს თბილი ტანსა-

ცმელი ან საჭმელი მიაწოდონ, ისინი თითქოს ამ მომავალი სიყვარულის სამყაროს ნაპერწკალს ანთებენ. ეს ნაბიჯები, თუნდაც პატარა, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში გვაჩვენებს, თუ როგორ შეგვიძლია სიყვარულით ვიცხოვროთ, ისე როგორც ქრისტე გვასწავლის. ჩემთვის თანამედროვეთა შორის განსაკუთრებით შთამაგონებელია ათეისტი ფილოსოფოსის, პიტერ სინგერის, ეფექტური ალტრუიზმი, რომელიც თავისი თავდადებით ხშირად აღემატება ბევრი მორწმუნის ზედაპირულ ქველმოქმედებას. ის თითქოს სახარების სიტყვებს ზედმიწევნით ასრულებს, როცა მშიერსა და მწყურვალს არა მხოლოდ თვითონ ეხმარება, არამედ საუკეთესო შედეგისთვის გზებს სხვებსაც ასწავლის. ამ სტატიაში განვიხილავთ, თუ როგორ შეუძლია სოციალურ მსახურებას, სულიწმიდის შთაგონებით, გაგვაერთიანოს ღვთის სამეფოს გზაზე და რატომ რჩება ეს გზა ნაკლოვანი, სანამ ცათა სასუფეველი საბოლოოდ არ დადგება.

მართლმადიდებლური რწმენის სწავლება გვეუბნება, რომ ჩვენი ცხოვრება ცათა სასუფევლის მომავლის შუქით ცოცხლდება. ეს არის სამყარო, სადაც „სიკვდილი აღარ იქნება“ (გამოცხ. 21:4), სადაც სიყვარული, თუნდაც მტრის სიყვარული, ყოველ განხეთქილებას გადალახავს. წმ. მაქსიმე აღმსარებელი გვასწავლის, რომ ჩვენი ყოველი საქმე — იქნება ეს გაჭირვებულის გამოკვება თუ მარტოხელას გამხნევება — თითქოს ამ მომავლის გახსენებაა. მაგრამ ის გვაფრთხილებს, რომ არ უნდა მოვიტყუოთ თავი, თითქოს ჩვენი ძალისხმევით ტკივილი და გაჭირვება საბოლოოდ გაქრება ამქვეყნად. ნამდვილი სრულყოფა, სადაც ყოველი მწუხარება გაქრება, მხოლოდ ღვთის სამეფოში, მეორედ მოსვლისას დადგება. ის გვიწვევს, ვიცხოვროთ ისე, თითქოს ღვთის სამეფო უკვე აქაა, მაგრამ ამავე დროს გვახსენებს, რომ ჩვენი საქმეები მხოლოდ ამ მომავლის წინასახეა. ჩვენ გვმართებს დაუღალავად სიკეთის კეთება უსაზღვროდ სიკეთით სავსე მომავლის დადგომის არა მარტო ხსოვნით, არამედ მოუთმენელი მოლოდინით.

სოციალური მსახურება ამ სწავლების გამოხატულებაა. სახარება გვეუბნება: „მშიოდა და მაჭამეთ, მწყუროდა და მასვით“ (მათე 25:35). ეს სიტყვები განსაკუთრებით ძლიერად ჟღერს საქართველოში, სადაც ბევრი ოჯახი ყოველდღიური ხარჯების გაწევას ძლივს ახერხებს. მაგალითად, თბილისის ერთ-ერთ უბანში მეზობლებმა თანხა შეაგროვეს, რათა მარტოხელა მოხუცს, ქალბატონ ნანოს, ზამთარში გაზის გადასახადი დაეფარა. ისინი არ ყვიროდნენ ამის შესახებ სოციალურ ქსელებში, მაგრამ ნანოს თვალებში სიხარულმა ყველა გაგვათბო. ასეთი პატარა ჟესტები თითქოს ღვთის სამეფოს ნაწილად გვაქცევს. როგორც წმ. მაქსიმე აღმსარებელი გვაფრთხილებს, ეს ჟესტები მხოლოდ დასაწყისია, რადგან სრულყოფა მხოლოდ ღვთის სამეფოში დადგება.

სამწუხაროდ, ხშირად ისეც ხდება, რომ მართლმადიდებლები, ცათა სასუფევლისა და სულიერი საკითხებზე ფიქრით გართულნი, თვალს ხუჭავენ გვერდით მყოფი ადამიანების ტკივილსა და გაჭირვებაზე. ზოგი თვლის, რომ ლოცვა, მარხვა თუ ეკლესიაში სიარული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეზობლის დახმარება, რომელსაც საჭმლის ფული არ აქვს. ეს დამოკიდებულება თითქოს უგულებელყოფს სახარების მოწოდებას: „შიშველი ვიყავი და შემმოსეთ, სნეული ვიყავი და მომხედეთ“ (მათე 25:36).

მაგალითად, საქართველოს ერთ-ერთ სოფელში ოჯახი, რომელსაც სახლი წყალდიდობამ წაართვა, თვეების განმავლო-

ბაში ელოდა დახმარებას, მაგრამ ადგილობრივი თემის ზოგიერთი წევრი თვლიდა, რომ „ღმერთი თავად მოაგვარებს“ და მეზობლისთვის არაფერი გაუკეთებია. ასევე, ქალაქებში ხშირად ვხედავთ, რომ ჩაგვრასა და უსამართლობას — მაგ., როცა დამსაქმებელი მუშას ხელფასს არ უხდის — მართლმადიდებლები თვალს უხუჭავენ, თვლიან, რომ „ჩაჩუმება“ უფრო ქრისტიანულია, ვიდრე ხმის ამაღლება და ჩაგრულის გამოსარჩლება. ეს დამოკიდებულება ეწინააღმდეგება სახარების სულს, რომელიც გვიბრძანებს, ვიყოთ ჩაგრულთა გვერდში, რადგან „რითაც არ შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით არც მე შემეწიეთ“ (მათე 25:45).

ბიბლიის ღმერთი გვასწავლის, რომ ჭეშმარიტი სიყვარული, რომელიც ღვთის სამეფოსკენ მიგვიყვანს, არა მხოლოდ ლოცვაშია, არამედ მოქმედებაში — გაჭირვებულის გვერდში დგომაში, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუ ჩვენ თვალს ვხუჭავთ ჩაგვრაზე, თითქოს ეს „სულიერი“ საქმე არაა, ჩვენ უგულებელვყოფთ სახარების გულს. მაგალითად, როცა თბილისის ერთ-ერთ სამეზობლოში ახალგაზრდა დედას, რომელიც სამსახურიდან უსამართლოდ გააგდეს, თემის ნაწილმა ზურგი აქცია, მხოლოდ იმიტომ, რომ „არ ჩაერიონ“, მათ თითქოს დაკარგეს შანსი, შეესრულებინათ ქრისტეს მოწოდება. მართლმადიდებლური რწმენა გვიწვევს, რომ სულიერი ცხოვრება და სოციალური მსახურება ერთად ვაქციოთ ღვთის სამეფოს გზად.

პიტერ სინგერის ეფექტური ალტრუიზმი

ავსტრალიელი ფილოსოფოსი პიტერ სინგერი, თუმცა ათეისტია, თავისი თავდადებით თითქოს ასრულებს სახარების, ყოველი მორწმუნის მოწოდებას: „მშიოდა და მაჭამეთ, მწყუროდა და მასვით“ (მათე 25:35). თავის წიგნში „The Life You Can Save“ (2009) და სტატიაში „Famine, Affluence, and Morality“ (1972), ის ამბობს, რომ თუ ჩვენ შეგვიძლია გაჭირვებულის გადარჩენა, ეს ჩვენი მოვალეობაა. მისი „ეფექტური ალტრუიზმი“ გვთავაზობს ქველმოქმედებას, რომელიც მიმართულია ყველაზე დიდი სარგებლის მოტანის გზების ძიებაზე. მაგალითად, პიტერ სინგერმა ახალგაზრდა მხარდამჭერს, რომელმაც თირკმელი გაყიდა გაჭირვებულთა ერთჯერადი დახმარებისთვის, ურჩია, რომ რეგულარული, გაანგარიშებული შემოწირულებებით გაცილებით მეტი ადამიანის გადარჩენა შეიძლებოდა. სინგერის მხარდამჭერებმა მილიონობით დოლარი შეაგროვეს, რათა აფრიკაში მალარიის საწინააღმდეგო ქსელები ეყიდათ, რამაც ათასობით ბავშვი გადაარჩინა. ინდოეთის სოფლებში მისი ორგანიზაციის, „The Life You Can Save“-ის, დახმარებით აშენდა სუფთა წყლის ჭაბურღილები, რამაც დაავადებები შეამცირა. ერთ-ერთი მხარდამჭერი, სარა, ლონდონელი მასწავლებელი, თავისი ხელფასის 10%-ს ყოველთვიურად გადასცემს ორგანიზაციას, რომელიც აფრიკაში სკოლებს აფინანსებს, რადგან, მისი თქმით, „განათლება ყველაზე დიდი საჩუქარია“.

სინგერის ცნობილი ანალოგია, „მშვიდი აუზი“, გვეკითხება: თუ ხედავთ, რომ ბავშვი იხრჩობა, მაგრამ მისი გადარჩენა თქვენს ძვირადღირებულ ფეხსაცმელს გააფუჭებს, გადაარჩენთ მას? „რა თქმა უნდა, დიახ,“ — ამბობს სინგერი. „მაშ, რა განსხვავებაა, თუ ბავშვი შორს, მაგ., აფრიკაში ცხოვრობს, და თქვენი 100 ლარი მის გადარჩენას შეძლებს?“ ის გვთავაზობს, რომ ჩვენი ფული მივმართოთ იქ, სადაც ის ყველაზე მეტ ადამიანს გადაარჩენს. მაგალითად, თუ ერთი ძვირადღირებუ-

ლი სადილის ნაცვლად თანხას გადავურიცხავთ ორგანიზაციას, რომელიც მშიერ ბავშვებს კვებავს, ჩვენ თითქოს სახარების სიტყვებს ვასრულებთ: „მშიოდა და მაჭამეთ“ (მათე 25:35).

პროფესორ პიტერ სინგერის მიდგომა განსაკუთრებით შთამაგონებელია. ის, თუმცა ათეისტი, თავისი თავდადებით ხშირად აღემატება ზოგ „მორწმუნეს“, რომლის ქველმოქმედება ზედაპირულია. სინგერი გვეუბნება: „დარწმუნდი, რომ შენი ფული ნამდვილად ეხმარება იმას, ვისაც დახმარება ყველაზე მეტად სჭირდება!“ მისი მოწოდება ეხმიანება სახარების სულისკვეთებას, როცა ქრისტე გვთხოვს, მშიერს ვაჭამოთ და მწყურვალს წყალი დავალევინოთ (მათე 25:35).

ერთობა სიყვარულის გზაზე

სოციალური მსახურება, იქნება ეს სინგერის გონივრული ალტრუიზმი თუ ქრისტიანული მოწოდება - გაჭირვებულის გვერდში დგომა, ერთ საერთო მიზანს ემსახურება - სიყვარულით გაერთიანება.

სახარება გვაფრთხილებს: „რითაც არ შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით არც მე შემეწიეთ“ (მათე 25:45). ეს სიტყვები განსაკუთრებით ძლიერად ჟღერს საქართველოში, სადაც ყოველდღე ვხედავთ გაჭირვებულ ოჯახებს, მარტოხელა მოხუცებს, ბავშვებს, რომლებსაც სასკოლო ნივთების ფული არ აქვთ. მაგალითად, გასულ ზამთარს, ქუთაისის ერთ-ერთ სამეზობლოში, ოჯახმა, თავად გაჭირვებულმა, თავისი ერთადერთი გამათბობელი მარტოხელა მეზობელს, ბატონ გიორგის, გადასცა, რათა ზამთარი გადაეტანა. ეს ჟესტი, თუმცა პატარა, მაგრამ ღვთის სამეფოს ნაპერწკალია. ასევე, თბილისის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებელმა, თავისი მცირე ხელფასიდან, ნივთები შეიძინა მოსწავლისთვის, რომელსაც ფანქრის ფულიც კი არ ჰქონდა. სიყვარულის ეს ნაბიჯები ნამდვილად ცათა სასუფევლისკენ მიგვიყვანს.

ესქატოლოგიური სული მავალდებულებს ასევე ხმამაღლა ვთქვა, რომ ეს ნაბიჯები ნაკლოვანი რჩება, თუ არ ეძღვნება ღვთის სამეფოს დადგომის მოლოდინს. სინგერის მაგალითები, მისი თავდადება მშიერი ბავშვებისა თუ გაჭირვებული სოფლების გადასარჩენად, გვაჩვენებს, თუ რამდენად შორს შეიძლება წავიდეს ადამიანის ძალისხმევა. მაგრამ ეს ძალისხმევა, თუნდაც ყველაზე გონივრული, ვერ გააქრობს ტკივილს საბოლოოდ, სანამ ღვთის სამეფო არ დადგება, სადაც აღარ იქნება შიმშილი, წყურვილი, ჩაგვრა; და სიყვარული, მათ შორის მტრის სიყვარული, ყველა განხეთქილებას გადალახავს.

სოციალური მსახურება ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. პიტერ სინგერის ეფექტური ალტრუიზმი, თავისი თავდადებით, გვაჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ადამიანს, თუნდაც ათეისტს, სახარების სულისკვეთებით იცხოვროს და ხშირად ბევრი „მორწმუნის“ ზედაპირულ საქმეებს აღემატებოდეს. მეორე ადამიანისადმი სიყვარულით მოპყრობა მომავალი ცათა სასუფევლის სიმართლეში ცხოვრებას გვაგონებს. წმ. მაქსიმე აღმსარებლის სწავლებით, ჩვენი ყოველი საქმე — გაჭირვებულის გამოკვება, ჩაგრულის გამოსარჩლება თუ სამყაროს სიყვარულით მოვლა — ამ მომავლის გახსენებაა. მოდი, ყოველ ჩვენს ნაბიჯში — იქნება ეს მეზობლის გვერდში დგომა თუ უსამართლობის წინააღმდეგ ხმის ამაღლება — გავიხსენოთ ეს მომავალი და, სახარების მსგავსად, ვილოცოთ: „ჰე მოდი, უფალო იესო!“ (გამოცხ. 22:20).

დეკანოზი გიორგი წეროძე

სახარება გვაფრთხილებს: „რითაც არ შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით არც მე შემეწიეთ“ (მათე 25:45). ეს სიტყვები განსაკუთრებით ძლიერად ჟღერს საქართველოში, სადაც ყოველდღე ვხედავთ გაჭირვებულ ოჯახებს, მარტოხელა მოხუცებს, ბავშვებს, რომლებსაც სასკოლო ნივთების ფული არ აქვთ. მაგალითად, გასულ ზამთარს, ქუთაისის ერთ-ერთ სამეზობლოში, ოჯახმა, თავად გაჭირვებულმა, თავისი ერთადერთი გამათბობელი მარტოხელა მეზობელს, ბატონ გიორგის, გადასცა, რათა ზამთარი გადაეტანა. ეს ჟესტი, თუმცა პატარა, მაგრამ ღვთის სამეფოს ნაპერწკალია. ასევე, თბილისის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებელმა, თავისი მცირე ხელფასიდან, ნივთები შეიძინა მოსწავლისთვის, რომელსაც ფანქრის ფულიც კი არ ჰქონდა. სიყვარულის ეს ნაბიჯები ნამდვილად ცათა სასუფევლისკენ მიგვიყვანს. ესქატოლოგიური სული მავალდებულებს ასევე ხმამაღლა ვთქვა, რომ ეს ნაბიჯები ნაკლოვანი რჩება, თუ არ ეძღვნება ღვთის სამეფოს დადგომის მოლოდინს. სინგერის მაგალითები, მისი თავდადება მშიერი ბავშვებისა თუ გაჭირვებული სოფლების გადასარჩენად, გვაჩვენებს, თუ რამდენად შორს შეიძლება წავიდეს ადამიანის ძალისხმევა. მაგრამ ეს ძალისხმევა, თუნდაც ყველაზე გონივრული, ვერ გააქრობს ტკივილს საბოლოოდ, სანამ ღვთის სამეფო არ დადგება, სადაც აღარ იქნება შიმშილი, წყურვილი, ჩაგვრა; და სიყვარული, მათ შორის მტრის სიყვარული, ყველა განხეთქილებას გადალახავს

დეკანოზი გიორგი წერეთელი

განღმრთობის იოლი გზა

წმ. მაქსიმე აღმსარებელი

•

საკუთარი სურვილით კეთილი ნების მოყვასისაკენ მიმართვა მადლის მკაფიო გამოხატულებაა; ვინც ჩვენგან დახმარებას მოელის, ვიმეგობრებთ იმდენად, რამდენადაც შეგვიძლია, როგორც ეს ღმერთის შემთხვევაშია; ჩვენ კი მას [დამეგობრებულს, თ.გ.] არა თუ მივატოვებთ ან ვივიწყებთ, არამედ შესაბამისი გულმოდგინებით ვმოქმედებთ იმ მიდრეკილების წარმოსაჩენად მის მიმართ, რომელიც ჩვენში ღმერთისა და მოყვასის მიმართ დავანებულა, რადგან ქმედება მიდრეკილების მტკიცებულებაა.

ახლა უნდა ითქვას, რომ არაფერი შეესაბამება გამართლებას და არაფერია მიდრეკილი განღმრთობისკენ - თუ ამაზე საუბრის უფლება მაქვს - ან ღმერთთან სიახლოვისკენ ისე, როგორც სულის მიერ სიამოვნებითა და სიხარულით გაღებული მადლი მათთვის, ვინც გასაჭირშია.

ღვთის სიტყვამ გვიჩვენა, თუ ვინმეს მიმართ სიკეთეს ჩავდივართ, ის ღმერთს განეკუთვნება - რადგან ასე გვასწავლის, ერთის მიმართ მაინც თუ ჩაიდენთ სიკეთეს, ჩემთვის ჩადიხართო (მათე 25:40-41); თავად ღმერთის სიტყვებით უფრო მეტიცაა ნათქვამი - ვისაც შეუძლია სიკეთის ჩადენა და ვინც ჩადის მას, ის ჭეშმარიტად ღმერთია მადლითა და თანამონაწილეობით, რადგან სწორუპოვრად ბაძავს თავისი ჩადენილი სიკეთის ენერგიასა და მახასიათებელს.

და თუ საწყალი ადამიანი ღმერთია, ეს ღმერთის დაგლახაკების გამოა (2 კორინთ. 8:9), ჩვენთვის რომ გახდა საწყალი და თითოეული ჩვენგანის ცოდვა საკუთარ თავზე მიიღო „ვიდრე ქვეყნის აღსასრულამდე“ (მათე 28:20); და ჩვენი ტკივილის გამო, თავისი კეთილი ნებით, ყოველთვის საიდუმლოდ იტანჯება თითოეულის ტანჯვის პროპორციულად.

ამიტომ, კიდევ უფრო მეტი გამართლება აქვს იმ ადამიანის განღმრთობას, ვისაც მოყვასი ღმერთის მიბაძვით შეჰყვარებია და საღვთო წესით კურნავს ტკივილით დატანჯულებს, ხოლო თავის მიდრეკილებაში, ყველა პროპორციის დაცვით, მაცხონებელი განგებულების იმავე ძალაუფლებას ავლენს, რაც ღმერთს აქვს.

მაშ, ვინ შეიძლება შეყოვნდეს ან დაიზაროს სათნოება და არ ისურვოს ღვთაებრიობა, რომლის მოპოვება ადამიანს შეუძლია ასეთი მცირე საფასურით, ასე იოლად და მყისიერად?

ნაწყვეტი „მისტაგოგიიდან“
(PG91, 713A-713C)

ინგლისურიდან (ბერძნული ორიგინალის
გათვალისწინებით) თარგმნა **თამარ გრძელიძემ**
წიგნიდან Maximus the Confessors,
Selected Writings,The Classics of Western
Spirituality, Transltion and Notes by George C. Berthold
(Paulist Press, 1985) 211-212.

ახლა უნდა ითქვას, რომ არაფერი შეესაბამება გამართლებას და არაფერია მიდრეკილი განღმრთობისკენ – თუ ამაზე საუბრის უფლება მაქვს – ან ღმერთთან სიახლოვისკენ ისე, როგორც სულის მიერ სიამოვნებითა და სიხარულით გაღებული მადლი მათთვის, ვინც გასაჭირშია

წმ. მაქსიმე აღმსარებელი

რეფლექსია ნაწყვეტზე მაქსიმე აღმსარებლის „მისტაგოგიიდან“

თამარ გრძელიძე

ნებისმიერ თეოლოგიურ საკითხზე ფიქრი სამი არსებითი შეკითხვის ჭრილში გადაიკვეთება:

- რა არის ეკლესიის მისია, დანიშნულება?
- ვინ არის იესო?
- ვინ ვართ ჩვენ? როგორ გვესმის იესო ქრისტეს რწმენა და მისი ეკლესიის ერთგულება?

საინტერესოა, რომ მსგავს შეკითხვებზე დაფიქრება აქტუალური მოდერნული ეპოქის ქრისტიანებისთვის გახდა. გარე სამყაროს მიმართ გახსნილობამ მეტი პიროვნული პასუხისმგებლობა ამოატივტივა ქრისტიანებში იმის თაობაზე, თუ რა მოეთხოვება ქრისტიანს საკუთარი თავის, თემის, სხვების წინაშე. ჩვენი დროის თეოლოგიური თუ ეკლესიური აზროვნებაც ვერ ასცდება ამ ჭრილს.

ხშირად გაიგონებთ მოსაზრებას, რომ მეოცე საუკუნემდე საერთოდ არ არსებობდა საჭიროება იმისა, ჩამოეყალიბებინათ, რა არის ეკლესიის მისია, რასაც არ უნდა მიენიჭოს აბსოლუტური მნიშვნელობა, თუმცა, გარემოებებიდან გამომდინარე, გარკვეულწილად სიმართლეა. მეოცე საუკუნემ განსაკუთრებული ინტერესი გამოავლინა ამ კითხვის მიმართ და მრავალგვარად უპასუხა სიტყვითაც და საქმითაც. ამ შეკითხვაზე განზოგადებული პასუხი შეიძლება ასეთი იყოს: ეკლესიამ აღიარა გარე სამყაროსთან, სხვადასხვა საეკლესიო ტრადიციასთან, განსხვავებული პოლიტიკური მიმართულების საზოგადოებებთან ურთიერთობაში მათივე იდენტობის გათვალისწინების აუცილებლობა. ამ მხრივ არც მართლმადიდებლები არიან გამონაკლისი.

განკაცებული ძის პიროვნებას მეოცე საუკუნეში ახალი შემართებით დასმული შეკითხვები დახვდა: ვინ არის ადამიანად მოსული ღმერთი? სხვა პასუხებს შორის აქცენტი გაკეთდა მის პიროვნულობაზე, რაზე სწორებითაც ქრისტიანი ხდება პიროვნება. თეოლოგიური რეფლექსიის ეს მიმართულება გზას უხსნის კონტინენტურ ფილოსოფიასთან ცხოველ დიალოგს იმის თაობაზე, რომ, პიროვნულობითა და საღვთო მადლის შემწეობით, შესაძლებელია ‘ქრისტეშემოსილის’ (შდრ. გალატ. 3:27) ღვთის შვილობა, ძეობაში შესვლა. (ვინც ჟურნალის მეხუთე ნომერს გაეცნო ან გაეცნობა, ამ თემასთან გაუცხოებას არ იგრძნობს.)

და დღეს ჩვენ, 21-ე საუკუნის მეოთხედგავლილი ქრისტიანები, რომელთაც ქრისტეს პიროვნებაზე სწორება დაგვისახავს მიზნად, რა გზას ვადგავართ? რას ვაკეთებთ, რომ უფლის სწავლების ერთგულნი დავრჩეთ და ჩვენი პიროვნულობის ამ მიდრეკილებას ხელი შევუწყოთ? ფიქრი, ცოდნა, განცდა, „ჭირსა შიგან გამაგრება“, ქმე-

დება - გვეხმარება, რომ იესო ქრისტეს რწმენა გავიაზროთ, შევიმეცნოთ და შესაბამისად ვიმოქმედოთ. უკვე ვიცით - ან უნდა ვიცოდეთ - რომ გამზადებულ ფორმულებს ბრმად არ უნდა მივყვეთ, პირიქით, მთელი არსით გავიაზროთ, საით მივდივართ და რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ, საქმე საქმეზე რომ მიდგება, მათეს სახარების 25-ე თავის 40-41 მუხლებში ნათქვამისთვის თვალის გასწორება შევძლოთ.

ქრისტიანების საერთო გამოწვევაა ტრადიციისა და დღევანდელი დღის ერთ პრიზმაში მოქცევა: ერთი მხრივ, იმისა, რაც მემკვიდრეობით მექანიკურად კი არ მივიღეთ, არამედ მეხსიერებამ ცოცხლად შემოგვინახა და გვასაზრდოებს, ხოლო მეორე მხრივ, ჩვენი სიცოცხლის ფარგლებში მოქცეული რეალობისა. მართალია, ეკლესიის მოღვაწეთა ნაწერების ზედმიწევნით ცოდნა თუ დაზეპირება არ მოგვეთხოვება, მაგრამ ამ ნაწერებში გაჯერებული სიკეთე და სიბრძნე სხვადასხვა გზით აღწევს ქრისტიანის ცხოვრებაში და მასზე ზემოქმედებს. და აი, აქ უნდა გამოვლინდეს ქრისტეს სწავლების მიმდევრის უნარი - თუნდაც ის ადამიანი არ იყოს მტკიცე მორწმუნე, არამედ ჭეშმარიტი რწმენის მაძიებელი იყოს - რომ მეხსიერებით შემონახული და სხვადასხვა გზით გათავისებული ტრადიცია რეალობას შეუსაბამოს. ამიტომ, ადრეულ თეოლოგიურ ნაწერებთან დღესაც შეიძლება ცოცხალი ბმა გვქონდეს, თუ არსის გაგებაში, მეხსიერებაში შემონახულ ტრადიციასთან ერთად, არსებულ ვითარებაზე რეფლექსიაც ჩაერთვება.

მაქსიმე აღმსარებელი „მისტაგოგიის“ სახელით ცნობილ ჟამისწირვის კომენტარში, სადღაც კომენტარის ბოლოსკენ, მსჯელობას მათეს 25:40-41-ზე აფუძნებს (კორინთელთა მიმართ მეორე წერილის 8:9 მუხლისა და მათეს 28:20-ის დახმარებით). „მისტაგოგიის“ მიზანია, მორწმუნეს, მაქსიმეს შემთხვევაში საეკლესიო პირებსა და ბერმონაზვნობას, აჩვენოს, როგორ უძღვება მათ საღვთო ლიტურგია უმაღლესი ჭეშმარიტებისკენ, მადლით ძეობაში შესვლისკენ. მაქსიმე გვასწავლის, რომ არსად ისე მკაფიოდ არ ჩანს ღვთიური მადლის ძალა, როგორც საკუთარი ნებით მოყვასის დახმარებაში. 'მოყვასი', მართალია, დღეს ახლობელს ნიშნავს, მაგრამ ქრისტიანული სწავლებით, ყველა ადამიანი მოყვასად მოიაზრება, და არა მხოლოდ ადამიანი, ღვთის შექმნილი ბუნებაც ახლობელია. მაქსიმე ამბობს, გასაჭირში მყოფის მიმართ გაწეული სიკეთით ადამიანი ღვთის მაცხონებელ ძალას ავლენსო. როგორც ღმერთი გვიმეგობრებს ადამიანებს, ასევე ჩვენც მოგვიწოდებს, დავიმეგობროთ გასაჭირში მყოფნი. ის, ვინც გაჭირვებულის მიმართ სიკეთეს ჩადის, ღმერთს უტოლდებაო. ცხადია, ადამიანს ამის უნარი ეძლევა მხოლოდ საღვთო მადლითა და ქრისტეს სხეულში მონაწილეობის ძალისხმევით, რადგან მის მიერ გაწეული სიკეთე ბაძავს იმ საღვთო ენერგიას, რომელმაც მას ქრისტეს სხეულში გაერთიანების საშუალება მისცა. ასეთი პარალელის გავლება იმიტომაა შესაძლებელი, რომ ძე ღვთისა ადამიანის ხსნისათვის, მის განსაღმრთობლად განკაცდა, თავი დაიმდაბლა, ჯვარს ეცვა და ტკივილი განიცადა, რათა ადამიანის ცოდვით გამოწვეული ტკივილი განეკურნა. ტკივილით გატანჯულების განკურნება საღვთო წესით კი ღვთის მაცხონებელ განგებულებას უტოლდებაო. და დასძენს, აი, რა მცირე ძალისხმევითაა შესაძლებელი ღვთაებრიობაო.

მაქსიმეს „მისტაგოგიიდან“ მოხმობილი პასაჟი, ცხადია, ძალიან სერიოზული შესავალია იმ მარტივი ჭეშმარიტების სათქმელად, რომ ეკლესია ადამიანებს უნდა ეხმარებოდეს, განსაკუთრებით გაჭირვებაში თუ განსაცდელში მყოფთ. ასე ამბობს უფალი,

სამსჯავროზე მოგკითხავთ, რამდენად დაეხმარეთ მათ, ვისაც სჭირდებოდაო. ეს კი არანაირად არ ნიშნავს, რომ დახმარება მხოლოდ ამბიონიდან ქადაგებაა ან სხვების მონაგარის განკარგვა. სახარება სხვის, მოყვასის, ადამიანის მიმართ შეგნებულ, რწმენითა და სიყვარულით ნასაზრდოებ დახმარებას ასწავლის: მშიერის დაპურებას, მწყურვალისთვის წყლის მიწოდებას, შიშველის შემოსვას, სნეულთა და პატიმართა მონახულებას.

წერილები საკნიდან: „მარადმწერი ისტორია“

ამ ჩამონათვალიდან დღეს ყველაზე მეტად ადამიანს გულზე მოხვდება საპროტესტო მოძრაობაში ჩართული პატიმრების ამბავი: ახალგაზრდების, სტუდენტების, ჟურნალისტების, რომლებიც გაურკვეველ ვითარებაში დააკავეს და არადამაჯერებელი დამოწმებით სისხლის სამართლის პატიმრები აღმოჩნდნენ. ვინ განსჯის სინდისის პატიმრებს ან რომელი მტკიცებულების მიხედვით გამოაქვს მათ მსაჯულს განაჩენი?

უკანასკნელ სამსჯავროზე დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ამქვეყნიურ ცხოვრებაში იწყება. ნუ დავივიწყებთ უფლის სიტყვებს: „რითაც არ შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით არც მე შემეწიეთ“ (მათე 25:45). ამის ფონზე ვერავის ტოვებს გულგრილს სინდისის პატიმრების ციხიდან მოწერილი წერილები.[1] ინდივიდუალურთან ერთად ჯგუფური წერილიც გამოჩნდა, რომელსაც 15 პატიმარი აწერს ხელს. წერილში მკაფიოდაა ახსნილი ხელმომწერთა უმთავრესი მიზანი - ბრძოლა საქართველოს თავისუფლების ‘გადასარჩენად’. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ საერთო ეროვნული, ზეპარტიული ერთობითაა შესაძლებელი. ეს მოქალაქეობრივი ვალია, რომ თითოეული მოქალაქე ჯარისკაცივით იდგეს თავისუფლების სადარაჯოზეო. ერთ-ერთი პატიმარი კი ამბობს: „ეს ბრძოლა არც ჩვენით დაწყებულა და არც ჩვენით დამთავრდება. ...სწორედ თავისუფლება იყო, არის და იქნება მიზანი მანამ, სანამ ჩვენი გულები ერთხმად სცემს თავისუფლებისთვის, რადგან თავისუფლება ჩვენი გულიდან და გონებიდან მომდინარეობს“.

სინდისის პატიმრების ლოგიკა ურყევია: „ჩვენი მიზანია თავისუფლება, რომელსაც უძლეველი გულით ვატარებთ. ადამიანები, ვისაც ერთმანეთის სიყვარული შეგვიძლია, ყველა ჯერაც დაუსრულებელი ხელოვნების ნიმუშები ვართ. თითოეული ჩვენგანი, თითოეული წერტილი განსხვავებულია და თანაბრად მნიშვნელოვანი თავისუფლებისთვის, ევროპული მომავლისთვის, სიცოცხლისთვის, რომელიც არსებობის ერთადერთი სწორი ფორმაა. ... ჩვენ ვამაყობთ, რომ საქართველოს, ჩვენი სამშობლოს მარადმწერი ისტორიის ნაწილი ვართ”.

სინდისის პატიმრების წერილები, ერთსა და იმავე დროს, ემოციურიცაა და ლოგიკურიც. ამ მნიშვნელოვანი ბრძოლისთვის თავგანწირვამ უნდა დათრგუნოს შიში. „ჩემს გულში დაგროვილ უსაზღვრო ენერგიას და გამძლეობას გიგზავნით უთანასწორო ბრძოლის წინააღმდეგ. ...ამ ბრძოლაში სანერვიულო და სადარდებელი არაფერი გაგვაჩნია. ჩვენ ვიცით, რისთვის ვიბრძვით. იდარდონ მათ, ვინც ვერ ხვდებიან, ვის ვისგან იცავენ. იდარდონ მათ, ვისაც არასდროს უგრძვნიათ თავისუფლებისკენ მიმავალი წმინდა გზა”, - წერს ახალგაზრდა კაცი საკნიდან. სხვა კიდევ იტყვის: „...ბრძოლას მოიგებ თუ წააგებ, არ აქვს მნიშვნელობა, მაინც მოგებული ხარ, როცა სიმართლის მხარეს იბრძვი. ...ციხის კედლებს ოდესმე დააღწევ თავს, სიმხდალით გამოწვეულ სინდისის ქენჯნას კი -

ვერასდროს. თუკი საჭიროა, შევეწირები კიდეც ამ ბრძოლას, მაგრამ უსამართლობაზე თვალს არასდროს დავხუჭავ. ... მე აქაც თავისუფალი ვარ, სუფთა მაქვს სინდისი და იმიტომ. ცრუმოწმეები წითლდებიან, ცახცახებენ, ოფლში ცურავენ, ნერვიულობენ და ამ დროს როგორ ლაღად ვართ ჩვენ. ...მათ მომავალი არ აქვთ და ჩვენ თავად ვქმნით მომავალს".

ახალგაზრდები, რომელთაც ბევრჯერ უმართებულოდ, თუმცა სიყვარულით, „ბავშვებად" მოიხსენიებენ, განსაკუთრებული სითბოთი წერენ თავიანთ დედებს, მშობლებს, ახლობლებს, თანამოაზრეებს, მადლიერებას გამოხატავენ საერთო ბრძოლაში თანადგომისთვის, სამშობლოს ერთგულებისთვის. ამ სიტყვათშეთანხმებების ასე გათავისებაც ამ თაობისთვისაა დამახასიათებელი. რა სიხარულია! თან ისე, რომ ცარიელ ბგერებად არ რჩება, სიტყვებში მათი თავგანწირვაა ჩადებული. თავგანწირვა, მსხვერპლად თავის შეწირვა ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთი საკვანძო მომენტია - სხვების ხსნისათვის ქრისტეს მიერ ჯვარზე საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანა. სინდისის პატიმრებმა ამ უზოგადეს სიტყვებს ხორცი შეასხეს თავიანთი ქმედებითა და წერილებში ასახული შეგნებით. აქ ერთის მიერ წარმოთქმული სიტყვა ყველას ეკუთვნის. მაშინაც, როდესაც ის თავის დედას მიმართავს, მკითხველს ყველას ხმა ესმის. სწორედ ამ მიზეზით ანონიმურად, კონკრეტული პირების მითითების გარეშე მომყავს ნაწყვეტები მათი წერილებიდან.

სინდისის პატიმრები ნებისმიერ პოლიტიკურ სიტუაციაში ერთი და იმავე მოვლენის მსხვერპლნი ხდებიან - უსამართლობის, ცილისწამების. მიუხედავად სიმტკიცისა და შემართებისა, მათი წერილები სევდიანია, გაჯერებულია ოჯახისა და მეგობრების მონატრებით, დარდით თავისუფლებისთვის ბრძოლისგან გამოთიშვის გამო, ფიქრით ზოგად ვითარებაზე...

„არა ცილი სწამო"

ცილისწამება იუდეურ-ქრისტიანულ ტრადიციაში ერთ-ერთია ადამიანის მიუღებელ ქმედებებზე დაწესებულ საკვანძო აკრძალვებს შორის. ძველი აღთქმის გამოსვლის წიგნის მეოცე თავში ღმერთი ეგვიპტის მონობიდან დახსნილ ხალხს ასწავლის, როგორ იცხოვრონ. მკვლელობის, მრუშობის, ქურდობის აკრძალვას მოსდევს ცილისწამება: „არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი თვისტომის წინააღმდეგ" (20:16). ძველი აღთქმის მეორე რჯულის წიგნში მოსე ახსენებს ხალხს ღვთის ათ მცნებას, სადაც ცილისწამება იმავე ადგილასაა (5:17). სახარებაში იესო მის მოსასმენად მთაზე შეგროვილ ხალხს ეუბნება: „ნუ გგონიათ, თითქოს მოვედი რჯულის, გინდა წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად. გასაუქმებლად კი არ მოვედი, არამედ აღსასრულებლად" (მათე 5:17). მართალია, მოსეს რჯული იესოს მადლითა და ჭეშმარიტებით აღივსო, მაგრამ ღვთისგან მოცემული რჯული არც გაუქმებულა და არც განელებულა: სამივე სინოპტიკური სახარების მიხედვით ცილისწამება მკვლელობის, ქურდობის, მრუშობის აკრძალვების რიგშია (მათე 19:18; მარკოზი 10:19; ლუკა 18:20). შემდეგ პავლე მოციქული ახსნის, როგორ აღასრულა მოსეს რჯული იესომ:„არავისი არა გემართოთ რა, გარდა ურთიერთსიყვარულისა, რადგან ვისაც უყვარს მოყვასი, მან აღასრულა რჯული. ვინაიდან: „არა იმრუშო, არა კაცჰკლა, არა-იპარო, არა ცილი სწამო, არა ინდომო" და ყველა სხვა მცნება ამ სიტყვებშია მოქცეული: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი" (რომაელთა 13:8-9).

ახალი აღთქმის მიხედვით, ქრისტეს მიმდევრებისთვის, ცილისწამების აკრძალვა

ერთ-ერთი ბაზისური ჭეშმარიტებაა, რაზეც ადამიანები საკუთარ რწმენას ურთიერთსიყვარულით აშენებენ. პავლეს სიტყვების გაგება ასეც შეიძლება: ღვთის მიერ მოცემულ მცნებებში ნაგულისხმებია სხვის მიმართ კეთილი საქციელი, მაგრამ ადამიანს ხსნის შესაძლებლობა ურთიერთსიყვარულით მხოლოდ განკაცებულმა და აღმდგარმა ქრისტემ მიანიჭა. თუმცა, მადლისმიერი ხსნის გზაზე დადგომის პირველი საფეხურია ათი მცნების დაცვა.

დიტრიხ ბონჰოფერის წერილები საკნიდან

შეიძლება ითქვას, რომ ლუთერელი პასტორის, Confessing Church-ის დამაარსებლის, დიტრიხ ბონჰოფერის ციხიდან მოწერილი წერილები დღეს კლასიკაა. ნაცისტური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი ბონჰოფერი გესტაპომ 1943 წელს დააპატიმრა, წელიწად-ნახევრის შემდეგ ის საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს. 1945 წლის 9 აპრილს ბონჰოფერი ჩამოახრჩვეს ცილისწამების საფუძველზე, თითქოს ჰიტლერის განადგურების შეთქმულებაში მონაწილეობდა. ციხიდან მოწერილი წერილები სცდება ეპოქის, საეკლესიო ტრადიციის, კონფესიის, ქრისტიანობის საზღვრებს. ის საინტერესოა ყველასთვის, ვისაც უსამართლობის, ცილისწამების, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებული, მაგრამ ბრძოლის შედეგად გამარჯვებული ადამიანის ბედი და ნააზრევი გულთან ახლოს მიაქვს.

1943 წლის 22 ნოემბერს ბონჰოფერი თავის მეგობარ ებერჰარდ ბეთგეს ეკითხება: რას ფიქრობ ჯარისკაცებზე, რომლებიც ცილს სწამებენ? რამდენჯერმე ადამიანებთან [იგულისხმება ციხის ზედამხედველები - თ.გ.] მცირე უზრდელობის გამო საკმაოდ დიდხანს მისაუბრია და შედეგიც მოჰყოლია....თუმცა ძალიან ვბრაზობ,როდესაც უმწეო ადამიანებს უსამართლოდ უყვირიან და შეურაცხჰყოფენ“ (134). ცილისწამება არახალია; რეჟიმი, ძალადობრივი ძალაუფლება, ცილისწამებაზე დგას.

როდესაც პატიმარი მთელი შეგნებით აცნობიერებს საკუთარ უდანაშაულობას, ოჯახისა და მეგობრების თანადგომას განსაკუთრებით აფასებს. დიტრიხ ბონჰოფერი ტუსაღობის ერთი წლის თავზე მშობლებს სწერდა: „თქვენ დარჩით ოჯახის უცვლელი ცენტრი“ (223). თავის მეგობარს, ებერჰარდ ბეთგეს, რომელმაც მის დისშვილზე იქორწინა, საქორწინო ქადაგებას უგზავნის: „უმეტესობას დავიწყებული აქვს, რას ნიშნავს სახლი, მაგრამ ზოგიერთი ჩვენგანისთვის ეს უცხადესია. ეს ხომ ერთგვარი სასუფეველია ამქვეყნად, ციხე-სიმაგრე ცხოვრებისეული ქარიშხლისა და დაძაბულობის ფონზე, თავშესაფარი, სამლოცველოც კი. ის გარე სამყაროსა თუ სახალხო ცხოვრების მერყევ საფუძველს კი არ ეყრდნობა, მასში ღვთაებრივი სიმშვიდე სუფევს, რადგან ღმერთი ანიჭებს მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ღირებულებას, ხასიათსა და უპირატესობას, დანიშნულებასა და ღირსებას. ესაა ღმერთის წესრიგი ამქვეყნად, ადგილი, სადაც სიმშვიდე, სიწყნარე, სიხარული, სიყვარული, სიწმინდე, დისციპლინა, პატივისცემა, ყურის დაგდება, ტრადიცია, და ამასთანავე, ბედნიერება შეიძლება სუფევდეს“.

ბონჰოფერი თანადგომისთვის უდიდესი მნიშვნელობის მინიჭებასთან ერთად საუბრობს ნდობის ფაქტორის მნიშვნელობაზე: „როგორ შეიძლება ადამიანმა ნდობის გარეშე იცხოვროს? ნდობის გარეშე სიცოცხლე გაღარიბებულია“ (36).

პიროვნული სრულფასოვნების შენარჩუნებას თან ახლავს გაორება. პატიმრის შიშს თავგანწირვისკენ სწრაფვა ანაცვლებს, ამავდროულად გარე სამყაროს მიმართ მო-

ნატრებას და გაუცხოებას განიცდის. 1944 წელს მეგობრისთვის გაგზავნილ წერილს ბონჰოფერი თან ურთავს მედიტაციას, სადაც ვკითხულობთ: „ვინ ვარ მე, რასაც ჩემზე სხვები ამბობენ, თუ რაც მე ვიცი საკუთარი თავის შესახებ? მშფოთვარე, როგორც გალიაში გამომწყვდეული ჩიტი? თუ სხვა? თუ დღეს ერთი და ხვალ მეორე? თუ ჩემში იმ გაურკვეველი წარმატების ნიშნებია, ომში დამარცხებულ ჯარს რომ მიუღწევია? ვინ ვარ მე? ეს აკვიატებული კითხვა არ მასვენებს. ვინც არ უნდა ვიყო, შენ იცი, ღმერთო, რომ შენი ვარ“ (325). მწუხარებას და სიხარულს მხოლოდ დრო განსჯისო, წერს ბონჰოფერი. „ჩვენს თავს დატეხილი უბედურების სიგრძე-სიგანე დღის შუქზე ნელ-ნელა რომ ვლინდება, მწუხარების უტყუარი ნიშანია“ (313).

საინტერესოა წიაღსვლა ქრისტიანის ამქვეყნიური მოვალეობის თაობაზე მაშინ, როდესაც არსებული ვითარება ადამიანს მოქმედებას უზღუდავს: „ჩვენ მხოლოდ შეზღუდულად შეგვიძლია სხვათა ტანჯვის გაზიარება, ჩვენ არ ვართ ქრისტე, მაგრამ თუ გვსურს, ვიყოთ ქრისტიანები, უნდა მცირედით მაინც გავიზიაროთ ქრისტეს უსაზღვრო გულითადობა, საფრთხის მოახლოებისას ვიმოქმედოთ პასუხისმგებლობით და თავისუფლად, გამოვავლინოთ ნამდვილი თანაგრძნობა, რომელსაც შიში კი არ იწვევს, არამედ ქრისტეს გამათავისუფლებელი და გამომსყიდველი სიყვარული ყველა ტანჯულის მიმართ. ქრისტიანი მოწოდებულია თანაგრძნობისა და აქტივობისკენ არა მხოლოდ საკუთარი ტანჯვის გამო, არამედ მათ გამო, ვისთვისაც ქრისტე იტანჯა“ (24). ბონჰოფერი ზოგჯერ მადლიერია საკანში გატარებული დღეების გამოცდილების, რომელსაც სულიერ გამდიდრებასაც უწოდებს (257-8).

„ჩვენ, დევნილები, უმწეოები და ბრალდებულები, გაუსაძლისი ტვირთით, ბრალმდებლებად ვიქეცით. ბრალს ვდებთ მათ, ვინც ცოდვაში ჩაგვყარა და საკუთარი ბრალეულობა გვიწილადა, ვინც უსამართლობის მოწმეები გაგვხადა, სიძულვილისკენ გვიბიძგა“ (330).

დიტრიხ ბონჰოფერის სულიერ წიაღსვლებს კიდევ უფრო მეტი სიმძაფრე ცილისწამების საფუძველზე დატყვევებამ შესძინა. მიუხედავად იმისა, თუ როგორ პოლიტიკურ ვითარებაში აპატიმრებენ ადამიანს არადამჯერებელი და გაზვიადებული ბრალდებით, მსხვერპლის განცდა ერთსა და იმავე გზას გადის. რაც შეეხება პოლიტიკურ ვითარებას, მისი ამპლიტუდა შეიძლება ტოტალიტარულიდან დემოკრატიულ სისტემამდე იცვლებოდეს, მხოლოდ დემოკრატიული ინსტიტუტების პირობებში, როცა სასამართლო დამოუკიდებელია, თითქმის შეუძლებელია, რომ ცილისწამებამ სიმართლე საბოლოოდ დათრგუნოს.

ღვთისგან მიღებული სიყვარულის ‘დაბრუნებას’ მორწმუნე სიყვარულისა და ზრუნვის სხვებისთვის განაწილებით ცდილობს. ეკლესია ღვთის თაყვანისცემას სწორედ ამ ზრუნვისა და სიყვარულის გამოვლენით მოელის ჩვენგან, არა კედლების ხატებით მორთვით ან სადღესასწაულო წირვაზე დასწრებით, რადგან ღვთისმსახურებაში მონაწილეობის წინაპირობაა სიყვარულით მოყვასზე ზრუნვა. ხოლო სიყვარულით მოყვასზე ზრუნვა, პავლე მოციქულის მიხედვით, რჯულის სწავლებაზე დგას:

არა კაც კლა,
არა იპარო,
არა იმრუშო,
არა ცილი სწამო.

დიტრიხ ბონჰოფერის წერილები იხილეთ წიგნში: Dietrich Bonhoeffer, Letters & Papers From Prison, New Greatly Enlarges Edition, edited by Eberhard Bethge (A Touchstone Book, Published by Simon&Schuster, 1997.) Translated from German by Reginald Fuller, Frank Clark and others. OceanofPDFcom

1 აქციების კონტექსტში, მათ შორის რუსული კანონის წინააღმდეგ პროტესტის დროს, 2024 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული, სისხლის სამართლის წესით დაკავებული იყო 64 პირი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოძიებით, 4 თებერვლისთვის სასამართლომ ყველა დაკავებული პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. იხილეთ https://gyla.ge/post/gala-rusuli-kanonis-protestis-dros-da-kavebulebs-patimroba-miesaja აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს წერილი დაწერილია ზაფხულამდე, გამოქვეყნებამდე რამდენიმე თვით ადრე, ამიტომ მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს სისხლის სამართლის წესით დაკავებულთა დინამიკას. 2025 წლის სექტემბრის დასაწყისისთვის, არარსებული მტკიცებულების გამო, მხოლოდ ორი პატიმარია განთავისუფლებული.

‘მოყვასი’, მართალია, დღეს ახლობელს ნიშნავს, მაგრამ ქრისტიანული სწავლებით, ყველა ადამიანი მოყვასად მოიაზრება, და არა მხოლოდ ადამიანი, ღვთის შექმნილი ბუნებაც ახლობელია. მაქსიმე ამბობს, გასაჭირში მყოფის მიმართ გაწეული სიკეთით ადამიანი ღვთის მაცხონებელ ძალას ავლენსო. როგორც ღმერთი გვიმეგობრებს ადამიანებს, ასევე ჩვენც მოგვიწოდებს, დავიმეგობროთ გასაჭირში მყოფნი. ის, ვინც გაჭირვებულის მიმართ სიკეთეს ჩადის, ღმერთს უტოლდებაო. ცხადია, ადამიანს ამის უნარი ეძლევა მხოლოდ საღვთო მადლითა და ქრისტეს სხეულში მონაწილეობის ძალისხმევით, რადგან მის მიერ გაწეული სიკეთე ბაძავს იმ საღვთო ენერგიას, რომელმაც მას ქრისტეს სხეულში გაერთიანების საშუალება მისცა. ასეთი პარალელის გავლება იმიტომაა შესაძლებელი, რომ ძე ღვთისა ადამიანის ხსნისათვის, მის განსაღმრთობლად განკაცდა, თავი დაიმდაბლა, ჯვარს ეცვა და ტკივილი განიცადა, რათა ადამიანის ცოდვით გამოწვეული ტკივილი განეკურნა. ტკივილით გატანჯულების განკურნება საღვთო წესით კი ღვთის მაცხონებელ განგებულებას უტოლდებაო. და დასძენს, აი, რა მცირე ძალისხმევითაა შესაძლებელი ღვთაებრიობაო

თამარ გრძელიძე

მისტიკური, როგორც ეთიკური:

ღმერთისა და მოყვასის სიყვარული მართლმადიდებლურ სულიერებაში

ზურაბ ჯაში

არავალი წლის წინათ ბრიტანეთში წმინდა სოფრონ სახაროვის მიერ ესექსში დაარსებულ მონასტერში სტუმრობისას გავიცანი ერთი ინგლისელი მართლმადიდებელი, რომელიც აღფრთოვანებას ვერ მალავდა მართლმადიდებლობის „ტრადიციონალიზმით". საუბარში დასვა კითხვა: რა იქნებოდა ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტების სასარგებლოდ? მაშინ მე ვუპასუხე, რომ ადამიანის ღირსების დაცვაზე ორიენტირებული იმ კულტურის არსებობა, რომელშიც ის დღეს ცხოვრობდა. მას ძალიან გაუკვირდა, თუ რატომ დავუკავშირე მართლმადიდებლობა, ერთი მხრივ, ბრიტანულ ან საერთოდ, დასავლურ კულტურას, მეორე მხრივ, კი ადამიანის ღირსებას. იმ დროს მე უკვე ერთი წელი ვმუშაობდი ინგლისში სამაგისტრო დისერტაციაზე, რომელიც ეძღვნებოდა წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის მოძღვრებას სამების შესახებ, და უკვე ვიცნობდი უახლეს ისტორიულ კვლევებს, რომლებიც აჩვენებს, რომ ანტიკური საბერძნეთისა და რომის კულტურა არც ისეთი ჰუმანურობით გამოირჩეოდა, როგორც ეგონათ რენესანსის პერიოდიდან მოყოლებული, და რომ თანამედროვე დასავლურ მგრძნობიარობას ადამიანის ღირსების მიმართ უნდა ვუმადლოდეთ სწორედ სახარების ქადაგებას რომის იმპერიაში და შემდეგ მის საფუძველზე განვითარებულ საღვთისმეტყველო აზროვნებას, რაც იმ დროს ძირითადად იმ მხარეში და იმ ენაზე მიმდინარეობდა, რომელიც მოგვიანებით აღმოსავლური ეკლესიის ანუ მართლმადიდებლური ეკლესიის კულტურული მემკვიდრეობა გახდა.[1] აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტსაც, რომ ეს ყველაფერი ერთი წლის განმავლობაში შევისწავლე არამართლმადიდებლურ და ბევრი მართლმადიდებლის მიერ „გარყვნილად" წოდებულ ევროპაში, მაშინ, როცა ღვთისმშობლის წილხვედრად მიჩნეულ (დოგმატურად მცდარი შეხედულება!), ტრადიციულ მართლმადიდებლურ საქართველოში, უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში, საბუხაროდ, ხუთი წლის განმავლობაში მსგავსი არაფერი მომისმენია. მკითხველისთვის მიმინდვია დასკვნის გამოტანა, ვინ რა გარყვნა ჩვენი ეკლესიის უახლეს ისტორიაში.

დღევანდელი მართლმადიდებლობის გამორჩეულ ნიშნად იქცა ხანგრძლივი წირვა-ლოცვები აღსრულებული ძველ ენებზე, პარაკლისები, აკათისტოები, კონდაკები, ტროპარები, იპაკოები და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი ლიტურგიკის არასპეციალისტი მღვდლისთვისაც და ერისკაცისთვისაც გაუგებარი დანიშნულების რიტუალები და ლოცვები; და მათში მონაწილე გაძლებაზე მყოფი „მორჩილი" მრევლი, რომელიც ამდენი გაუგებრობით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ წნეხს პერიოდული გადა-

ლაპარაკებებითა და ტაძრიდან გასვლა-შემოსვლით განმუხტავს ხოლმე. ამ ყველაფერს კი ვუწოდებთ „ეკლესიურობას“ ანუ „სულიერებას“, იგივე მისტიკას. აქედან ვრცელდება წარმოდგენა, რომ თითქოს მართლმადიდებლური ქრისტიანობა არის მისტიკური, ხოლო დასავლური ქრისტიანული კონფესიები, როგორც უფრო რაციონალურად მოაზროვნენი, სოციალურ ეთიკაზე ანუ მოყვასის სიყვარულზე არიან ორიენტირებული.

ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ 2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის შემოჭრის დროს გამოქვეყნებულ „საპატრიარქოს უწყებანში“ წავიკითხავთ, როგორ ითხოვდნენ ათონელი ბერები პრეზიდენტ პუტინისგან ზეთზე ფასის დაწევას, მაშინ, როცა იმავე ნომრის მომდევნო გვერდებზე კონსტანტინოპოლის პატრიარქი და რომის პაპი გულისტკივილით ეხმიანებოდნენ ჩვენს ქვეყანაში დატრიალებულ უბედურებას. მთავარი ხომ ისაა, რომ ათონზე ხატების წინ დაკიდებულ კანდელებში ზეთი არ დაიშრიტოს, თორემ ვის აწუხებს ადამიანების – ღვთის ცოცხალი ხატების – ხოცვა-ჟლეტა! ახლაც ასეთსავე გულგრილობას ვხედავთ ბევრი მართლმადიდებელი უმაღლესი იერარქის, ერისა და ბერის მხრიდან რუსეთის ჯარების მიერ უკრაინელი ხალხის მასობრივი ხოცვა-ჟლეტის მიმართ. და ასეთივე გულგრილობა ჩანს დღესაც საქართველოს ეკლესიის საპატრიარქოსა და იერარქების უმრავლესობის მხრიდან ჩვენს ქუჩებში ჩვენს თვალწინ ძალაუფლების მიმტაცებელი ხელისუფლების მიერ მშვიდობიან დემონსტრანტებზე ძალადობისა და უსამართლო დაპატიმრებების მიმართ. პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეში გადმოცემულია მხოლოდ ზოგადი კატეხიზმური ხასიათის სწავლებები და არცერთი სიტყვა ამ ჩვენს წინ დატრიალებული ტრაგედიის შესახებ.

რა საერთო აქვს ამ რიტუალურ თვითკმარობაში ჩაკეტილი გარიყულობით გამოწვეულ გულგრილობას მართლმადიდებელი ეკლესიის ჭეშმარიტ მისტიკასთან? ამავე კითხვას ალბათ პავლე მოციქული ასე გამოხატავდა: „რა აკავშირებს სამართლიანობასა და ურჯულოებას? რაა საერთო ნათელსა და ბნელს შორის? რამ შეათანხმოს ქრისტე და ბელიარი?“ (2 კორ. 6:14–15) პასუხი ცხადია: არც არაფერი! თუ როგორ მოვახერხეთ ამ ორი შეუთანხმებლის „შეთანხმება“ თანამედროვე მართლმადიდებლობაში, ეს ცალკე კვლევას საჭიროებს, აქ მხოლოდ ამ შეუთანხმებლობის ჩვენებას ვეცდები: მთელი მართლმადიდებლური ქრისტიანობის სულიერება და მისტიკა ეფუძნება ადამიანის უპირობო სიყვარულს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეკლესიური სწავლების მიხედვით ღმერთთან ურთიერთობის ყველაზე ამაღლებული მისტიკა აუცილებლად გულისხმობს ადამიანზე ზრუნვას, რადგან სწორედ ამ ურთიერთობის მიზანია, ადამიანს შეაძლებინოს მეორე ადამიანისა და საერთოდ, მთელი ქმნილების ჭეშმარიტად უანგარო სიყვარული.

დავიწყოთ წმინდა წერილით, რომელიც არის მთელი მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ერთადერთი სათავე და საფუძველი. ისაია წინასწარმეტყველის პირით უფალი სასტიკად გმობს იმ მორწმუნეთა მოჩვენებით ღვთისმსახურებას, რომლებიც ზედმიწევნით ერთგულად იცავენ რჯულით ნამცნებ ტაძრის რიტუალებს, მაგრამ არ გააჩნიათ მოყვასის სიყვარული:

> „ისმინეთ უფლის სიტყვა, თქვე სოდომის მთავრებო! ყურადიღეთ ჩვენი ღვთის რჯული, თქვე გომორელებო! რას ვაქნევ თქვენს უზომო საკლავებს, ამბობს უფალი. გამძღარი ვარ თქვენი აღსავლენი ვერძებით და კურატების ქონით.

აღარ მსურს მოზვრების, კრავებისა და ვაცების სისხლი! რომ მოდიხართ და პირისპირ მეცხადებით, ვინ დაგავალათ ჩემი ეზოების თელვა? ნუღა მომიტანთ მაგ ფუჭ შესაწირავს, საძაგელია ჩემთვის საკმეველი, ახალმთვარობები და შაბათები ჯარობები ვეღარ ამიტანია! უკეთურება და დღესასწაული? თქვენი ახალმთვარობები და ზეიმები შეიძულა ჩემმა სულმა, ტვირთად დამაწვა, დავიღალე მათი ზიდვით. ხელებს რომ აღაპყრობთ, თვალს გარიდებთ; ლოცვებსაც რომ მიმრავლებთ, არ ვისმენ; ხელები სისხლითა გაქვთ სავსე! განიბანეთ, განიწმიდეთ, ავი საქმეები თვალთაგან განმარიდეთ, შეწყვიტეთ ბოროტის ქმნა. სიკეთის ქმნა ისწავლეთ, ეძიეთ სამართალი, შეეწიეთ ჩაგრულს, განიკითხეთ ობოლი, ქვრივს გამოესარჩლეთ. მერე მოდით და ცილობა ვყოთ, ამბობს უფალი: მეწამულიც რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით გასპეტაკდება; ჭიაფერივით წითელიც რომ იყოს, მატყლის ფთილასავით გახდება“ (ის. 1:10-18).

სახარებებში ადამიანად განხორციელებული უფალი უკვე უშუალოდ თავისი პირით შეგვაგონებს, როგორ უნდა დავაყენოთ მოყვასის სიყვარული ტაძარში რიტუალის შესრულებაზე წინ:

„ხოლო თუ მიგაქვს შესაწირავი საკურთხეველთან და იქ გაიხსენებ, რომ შენი ძმა ძვირს იზრახავს შენთვის, დაუტევე შენი შესაწირავი საკურთხევლის წინ, წადი, ჯერ შემოირიგე შენი ძმა, და მხოლოდ შემდეგ მიდი და შესწირე შესაწირავი“ (მათე 5:23-24).

ეს შეგონება კიდევ უფრო სრულად წარმოჩნდება ქრისტეს მოძღვრებაში უკანასკნელი სამსჯავროს შესახებ:

„და როდესაც მოვა ძე კაცისა თავისი დიდებით და ყველა წმიდა ანგელოზი მასთან ერთად, მაშინ დაჯდება იგი თავისი დიდების ტახტზე. შეიყრება მის წინაშე ყველა ხალხი და გაარჩევს მათ ერთმანეთისაგან, როგორც მწყემსი გამოარჩევს ცხვრებს თხებისაგან. და დააყენებს ცხვრებს თავის მარჯვნივ, ხოლო თხებს - მარცხნივ. მაშინ ეტყვის მეუფე მის მარჯვნივ მდგომთ: მოდით, კურთხეულნო მამაჩემის მიერ, და დაიმკვიდრეთ სასუფეველი, თქვენთვის გამზადებული ქვეყნის დასაბამიდან. რადგან მშიოდა და მომეცით საჭმელი; მწყუროდა და მასვით; უცხო ვიყავი და შემიწყნარეთ; შიშველი ვიყავი და შემმოსეთ; სნეული ვიყავი და მომხედეთ; საპყრობილეში ვიყავი და მინახულეთ. მაშინ მართალნი პასუხად ეტყვიან მას: უფალო, როდის გიხილეთ შენ მშიერი და დაგაპურეთ? ანდა მწყურვალი და გასვით შენ? როდის გიხილეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ? ანდა შიშველი და შეგმოსეთ შენ? როდის გიხილეთ შენ სნეული, ან საპყრობილეში, და გინახულეთ? მიუგებს მეუფე და ეტყვის მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რითაც შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით მე შემეწიეთ. მაშინ ეტყვის მარცხნივ მდგომთაც: წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვისაა გამზადებული. რადგან მშიოდა და არ მომეცით საჭმელი; მწყუროდა და არ მასვით; უცხო ვიყავი და არ შემიწყნარეთ; მიშველი ვიყავი და არ შემმოსეთ; სნეული ვიყავი და საპყრობილეში, და არ მინახულეთ. მაშინ ისინიც პასუხად ეტყვიან მას: უფალო, როდის გიხილეთ შენ მშიერი, ან

> მწყურვალი, ან უცხოდ მყოფი, ან შიშველი, ან სნეული, ან საპყრობილეში და არ გემსახურეთ? მაშინ მიუგებს და ეტყვის მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რითაც არ შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით არც მე შემეწიეთ. და წავლენ ესენი საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი - საუკუნო სიცოცხლეში“ (მათე 25:31-46).

აქ ვხედავთ, რომ უფალი აიგივებს მოყვასის სიყვარულს და მსახურებას საკუთარი თავის, როგორც ღმერთის, სიყვარულსა და მსახურებასთან. ერთი შეხედვით გაუგებარი ჩანს, როგორ შეიძლება ღმერთი და ადამიანი ერთ დონეზე დავაყენოთ. მაგრამ სწორედ ამ გაიგივებაშია ღმერთის განკაცების მთელი საიდუმლო. წმინდა სამების მეორე ჰიპოსტასი, ძე და სიტყვა მამისა, მარადიულად შობილი მამისგან და მარადიულად მისი წიაღისგან შეურევნელად განუყოფელი, მისი თანაარსი და თანასწორი სულიწმინდასთან ერთად, დამდაბლდა და „ხატი მონისა შეიმოსა“ ანუ გახდა მის მიერვე შექმნილი ადამიანი, რათა ის გამოეხსნა და, მეტაფორულად რომ ვთქვათ, დაესვა მარჯვნივ, რაც ნიშნავს ადამიანის განღმრთობას. იესო ქრისტეს პიროვნებაში ღმერთისა და ადამიანის ბუნებანი სამარადისოდ შეუერთდა ერთმანეთს ისე, რომ ქრისტეს ჭვრეტისას ჩვენ ვჭვრეტთ ერთსა და იმავე დროს ღმერთსა და ადამიანს თითოეული მათგანის სრული თვისებებით განუცალკევებლად შეერთებულთ და შეურევნელად გაყოფილთ, მეოთხე მსოფლიო კრების განჩინების თანახმად. წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი იმდენად შორს მიდის თავის საღვთისმეტყველო განაზრებებში, რომ იორდანეში ნათლისღების დროს ქრისტეზე მტრედის სახით სულიწმინდის გადმოსვლას აღწერს როგორც სულიწმინდის მიერ ქრისტეს ადამიანური სხეულისთვის პატივის მიგებას, „რადგან ისიც (სხეული, ზ.ჯ.) ღმერთი გახდა განღმრთობით (ἐπεὶ καὶ τοῦτο τῇ θεώσει Θεὸς)“.[2]

ქრისტოლოგიური მოძღვრებით გამოწვეული რიტუალური მსახურების გაგების რევოლუციური ცვლილება ნათლად იკვეთება იოანეს სახარებაში, როდესაც ქრისტე საუბრობს იერუსალიმის ტაძრის დანგრევასა და სამ დღეში მის აღდგენაზე. ამ სიტყვებმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ტაძრის მსახურებსა და მომლოცველებში, როგორც ის გამოიწვევდა დღევანდელ „მართლმადიდებლებში“. იოანე მახარებელი მის სიტყვებს ასე განმარტავს: „მაგრამ ის გულისხმობდა თავისი სხეულის ტაძარს“ (იოანე 2:21). რა თქმა უნდა, ის არ გულისხმობდა ექსკლუზიურად საკუთარ (ანუ ქრისტეს) ინდივიდუალურ სხეულს, არამედ ყველა ადამიანის სხეულს: ქრისტემ ხომ ადამიანთა მთელი მოდგმის სხეული მიიღო და შემოკრიბა თავის თავში, როგორც წმინდა ირინეოს ლიონელი გვასწავლის. სწორედ ამიტომ ქრისტესთან ერთობა გულისხმობს მის მკვდრეთით აღდგომის სხეულთან თანაზიარებას, როგორც იგივე იოანე მახარებელი გვასწავლის:

> „საყვარელნო, ამიერიდან ღვთის შვილები ვართ, მაგრამ ჯერ არ გამჟღავნებულა, რანი ვიქნებით. ვიცით მხოლოდ, რომ, როცა გამომჟღავნდება, მისივე მსგავსნი ვიქნებით, რადგანაც ვიხილავთ მას, როგორიც არის“ (1 იოანე 3:2; იხ. ასევე რომ. 6:5).

ეს კი იმას ნიშნავს, რომ არა მხოლოდ ქრისტეს სხეული უნდა გავიაზროთ ღვთის ტაძრად, არამედ ნებისმიერი ადამიანის, რასაც პირდაპირ ამბობს პავლე მოციქული:

„ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სული წმიდისა, რომელიც გაქვთ ღვთისაგან, და რომ არ ეკუთვნით თქვენსავე თავს“ (1 კორ. 6:19)?

სწორედ ამ სხეულებს – ღვთის ტაძრებს – გვემენ და ატუსაღებენ დღეს ჩვენს თვალწინ რუსთაველზე და სხვა ქუჩებში, ჩვენი ეპისკოპოსები და მღვდლები კი მათ გულგრილად გვერდით ჩაუვლიან ბიზანტიური ოქრომკედით შემკული ომოფორებით და უსულო ქვის ტაძრებისკენ მიიჩქარიან.

როგორი გავლენა მოახდინა ღვთის ტაძრის ადამიანის სხეულად გადააზრებამ ეკლესიის სოციალური მსახურების პრაქტიკაზე, შემდეგი ისტორიული მაგალითიდანაც ჩანს, რომელიც მოგვითხრობს მეოთხე საუკუნეში ძალაუფლების მოყვარეობით ცნობილ ალექსანდრიის პაპ (ანუ პატრიარქის) თეოფილესა და მის იკონომოსს, სულიერი ღვაწლით გამორჩეულ მონაზონ ისიდორეს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების შესახებ:

„ამ მონაზვნებთან მცხოვრები ერთი სარწმუნო კაცისგან გვსმენია, რომ თეოფილეს ორმაგი მიზეზი ჰქონდა ისიდორესადმი შურლისთვის. მისთვის და პეტრე ხუცესისთვის საერთო იყო ის, რომ ორივე მათგანმა უარი თქვა თეოფილეს დისთვის ანდერძით მემკვიდრეობის გადაცემის დამოწმებაზე. პირადად ისიდორეს წინააღმდეგ კი ის მიზეზი ჰქონდა, რომ როცა მასთან ბევრი ფული მიიტანეს, როგორც გლახაკებზე მზრუნველთან, თეოფილემ სცადა მათი აღება, თითქოს ეკლესიათა მშენებლობისთვის, მაგრამ ისიდორემ არ დაუთმო. მან უთხრა: ,უმჯობესია სათანადო მსახურებებით გამოჯანმრთელდნენ ტანჯულთა სხეულები, რომლებიც უფრო მართებულად უნდა გავიაზროთ ღვთის ტაძრებად და რომელთა გამოც იქნა ფული ბოძებული, ვიდრე ავაგოთ კედლები‘. ამ მიზეზით თუ სხვა რამის გამო თეოფილემ ზიარებისგან დააყენა ისიდორე. ისიც წავიდა სკიტში, რადგან იქაური მონაზვნების მეგობარი იყო“.[3]

ქრისტეს მსახურების გაჭირვებულის შეწევნასთან გაიგივებას და შესაბამისად, მისთვის ტაძრის მსახურებაზე უპირატესობის მინიჭებას ყველაზე თვალსაჩინოდ წმინდა იოანე ოქროპირი აყალიბებს, რაც მან საქმითაც დაადასტურა კონსტანტინოპოლის საყდარზე მისი მოღვაწეობისას:

„რა სარგებელია იმაში, რომ ქრისტეს ტრაპეზი ოქროს ლარნაკებით არის დამძიმებული, მაშინ როცა თვითონ ის შიმშილით კვდება? დაიწყე მშიერის დაპურებით და, რაც დარჩება, იმით შეამკე საკურთხეველი. შენ გაქვს ოქროს ბარძიმი და აძლევ ერთ ჭიქა წყალს? რა სარგებელი აქვს ქრისტეს ტრაპეზს ოქრომკედის გადასაფარებლისგან, თუ არ გასცემ საჭირო სამოსელს? ამით რას მიიპოვებ? მითხარი, თუ ხედავ, რომ ქრისტეს აკლია აუცილებელი საკვები და შენ მას მიატოვებ საკურთხევლის ძვირფასი ფარჩებით დასაფარად, ნუთუ მას ეს ეამება? ნუთუ ეს მას უფრო არ განარისხებს? ან კიდევ, ხედავ ქრისტეს ძონძებში შემოსილს, სიცივით გაყინულს, შენ კი არ ფიქრობ, მისცე მას მოსასხამი, არამედ აღმართავ ოქროს სვეტებს ეკლესიაში და ამბობ, რომ ეს მის პატივსაცემად არის. ნუთუ ეს არ არის მისი დაცინვა, რაც უნდა შეფასდეს როგორც მისი შეურაცხყოფა და შეურაცხყოფაზე მეტიც? არ ფიქრობ, რომ ასე ექცევი ქრისტეს, როცა ის მოდის მოგზაური, უცხო და უსახლკარო? და შენ არ

უმასპინძლდები მას, არამედ ამკობ მოპირკეთებულ ქვებს, კედლებს და სვეტების თავებს, ლამპრებს ამაგრებ ვერცხლის ჯაჭვებით? მაგრამ შენ არ გინდა დაინახო, რომ მას ადევს ჯაჭვები ციხეში. მე ამას არ გეუბნები შენი გულუხვობის დასაბრკოლებლად, არამედ იმისთვის, რომ მას თან მოადევნო, ან უფრო სწორად, მას წინ უსწრებდეს ქველმოქმედების სხვა საქმეები. რადგან არავის დასდებენ ბრალად, თუ ის არ გააკეთებს პირველ მათგანს, არამედ იმას, რომ მან უგულებელყო მეორე; ამისთვის მას ემუქრება გეენა და ცეცხლი, და დემონებთან თანაზიარება. ამიტომ, როცა ეკლესიას ამკობ, არ დაივიწყო განსაცდელში მყოფი შენი ძმა, რადგან ეს (ადამიანის) ტაძარი იმ ქვის ტაძარზე გაცილებით უფრო ძვირფასია".[4]

როგორც ვხედავთ, საკუთარ თავში ღმერთისა და ადამიანის გაერთიანებით ქრისტემ ონტოლოგიურ დონეზე გააერთიანა ღმერთისა და მოყვასის სიყვარულის მცნებები. ამიერიდან, ადამიანს არ უწევს არჩევანის გაკეთება ღმერთისა და ადამიანის დაფასებას შორის, არამედ ორივეს ერთ პიროვნებაში ხედავს - უფალ იესო ქრისტეში. და მხოლოდ ამ ერთიანობაში ვლინდება სრულყოფილი სიყვარული. სწორედ ამგვარი სიყვარულის მოსანიჭებლად მოგვევლინა ქრისტე ამქვეყნად და მისი განხორციელების უუნარობისგან ადამიანის გამოსახსნელად. შესაბამისად, მთელი მართლმადიდებლური ასკეტურ-მისტიკური მოძღვრებები მიმართული იყო იქითკენ, რომ პიროვნება შეემზადებინა ამ გამომხსნელი მადლის მისაღებად. შემთხვევითი არაა, რომ ყველა მართლმადიდებელი ბერ-მონაზვნისთვის ასკეტიზმის კლასიკური სახელმძღვანელო, წმინდა იოანე სინელის „კიბე", სულიერი განვითარების უმაღლეს ოცდამეათე საფეხურად (ქრისტეს ასაკის სიმბოლო) სწორედ სიყვარულს წარმოგვიდგენს. წმინდა მაკარი ეგვიპტელის ავტორობით ცნობილი, ჩვენი ეკლესიის სულიერების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე სწავლებები კი შემდეგი სახით გვისურათებს ღმერთთან ცოცხალი მისტიკური ურთიერთობის სიღრმეებში შესული პიროვნების განმსჭვალვას ადამიანის სიყვარულით:

„კითხვა: თუ ლოცვა არის განსვენება, როგორ ამბობენ ზოგიერთები: ‚არ ძალგვიძს ლოცვა'? და ვერ ძლებენ ლოცვაში ყოფნას?

პასუხი: თვით ეს განსვენება იძლევა ჭარბ გულმოწყალებას და სხვა მსახურებებს, როგორიც არის ძმების მონახულება და სიტყვით მსახურება. თვით ბუნებას სურს წასვლა და ძმების მონახულება, და მათთან საუბარი. რამეთუ ცეცხლში ჩაგდებულს არ ძალუძს დარჩეს საკუთარ ბუნებაში, არამედ იძულებით ისიც ცეცხლად იქცევა. ამავე გზით, როდესაც ცეცხლში ჩავყრით ქვიშას, ჩაუქრობელ ქვად იქცევა. ასევე, თუ ვინმე მოისურვებს ზღვაში ღრმად ჩაყვინთვას და შესვლას, შუა ზღვაში ჩაიძირება და გაუჩინარდება, მაგრამ სიღრმეში შესულს მას კვლავ სწადია ამოსვლა, გამოცურვა და ნაპირზე გადმოსვლა, და მიწაზე ადამიანების ნახვა. ამგვარადვე თუ ვინმე შევა მადლის სულიერ სიღრმეში, კვლავ ახსოვს მისი მეგობრები, და თვით ბუნებას სურს ძმებთან გამოსვლა, სიყვარულის აღსრულება და სიტყვით განმტკიცება".[5]

მართლმადიდებლური სულიერების ცნობილ კრებულ „სათნოებისმოყვარეობა-

ში“ შესულ წმინდა მაქსიმე აღმსარებლის „ოთხასეულში სიყვარულის შესახებ“ ვსწავლობთ, როგორი უნივერსალურია ასეთი სიყვარული, რომელიც არ ცნობს რაიმე ნიშნით ადამიანების განსხვავებას, არც იმას, ვინ ცოდვილია და ვინ მართალი:

> „თუ ჩვენ აღმოვაჩენთ ჩვენს გულში რაიმე სიძულვილს რომელიმე ადამიანის მიმართ მის მიერ ჩადენილი ცოდვის გამო, სრულებით გაუცხოებული ვართ ღმერთის სიყვარულისგან, რადგან ღმერთი სრულებით გვიკრძალავს რომელიმე ადამიანის სიძულვილს. უფალი ამბობს, ვისაც მე ვუყვარვარ, ის დაიცავს ჩემს მცნებებს (იოანე 14:15, 23); და ‚ეს არის ჩემი მცნება, რომ გიყვარდეთ ერთმანეთი‘ (იოანე 15:12). ამრიგად, ვისაც მახლობელი არ უყვარს, არ იცავს მცნებას, და ვერ შეძლებს უფლის შეყვარებას. ნეტარია ის, ვისაც ძალუძს ყველა ადამიანის თანაბრად სიყვარული“.[6]

და ბოლოს, სულიერების დიდი მოძღვრის, წმინდა ისააკ ასურის სწავლება ყოვლისმომცველი სიყვარულის შესახებ უკვე სცდება ადამიანთა მოდგმას და არათუ მთელ ქმნილებას მოიცავს ცხოველებისა და მწერების ჩათვლით, არამედ თვით დაცემულ ანგელოზებსაც სწვდება:

> „რა არის მოწყალე გული? ეს არის გული ანთებული მთელი ქმნილების მიმართ სიყვარულით, ადამიანების, ფრინველების, მხეცების, დემონების მიმართ — ყველა ქმნილების მიმართ. ვისაც ასეთი გული აქვს, მას არ ძალუძს იხილოს ან გაიხსენოს ქმნილება ისე, რომ თვალები არ აევსოს ცრემლით მისი მიმართ უსაზღვრო თანაგრძნობის გამო; გული, რომელიც დარბილებულია და ვეღარ უძლებს ხილვას ან მოსმენას სხვისი განსაცდელის, თუნდაც უმცირესი ტკივილის, რასაც განიცდის ქმნილება. ამიტომ, ასეთი ადამიანი არასოდეს წყვეტს ლოცვას ცხოველებისთვის, ჭეშმარიტების მტრებისა და მათთვის, რომლებიც მის მიმართ სჩადიან ბოროტებას, რათა ისინიც დაცული იყვნენ და განიწმინდნენ. ის ასევე ლოცულობს ქვეწარმავლებისთვის, მათ მიმართ უსასრულო სიბრალულით აღვსილი, რაც სუფევს ისეთი ადამიანის გულში, რომელიც შეუერთდა ღმერთს“.[7]

ამ სწავლებების შუქზე როგორ უნდა შევაფასოთ დღეს ჩვენს ეკლესიაში გაბატონებული გულგრილობა ადამიანის ტანჯვისადმი და ზოგჯერ გამოკვეთილი სიძულვილიც; ხშირად სასულიერო პირების მხრიდან ღიად ძალადობისკენ მოწოდებები, და ამავე დროს, მათი გამუდმებული ზრუნვა ტაძართა მშენებლობასა და შემკობაზე? მათ ისევე მკაცრად მიმართავდა უფალი, როგორც მისი მიწიერი ცხოვრების თანამედროვე მწიგნობართ და ფარისეველთ, რადგან დღევანდელი მოძღვარნი ისევე აყალბებენ ღვთის ჭეშმარიტებას, როგორც იმდროინდელნი, რომლებმაც თვით უფალიც ჯვარს აცვეს, და დღევანდელებიც იმავეს იზამდნენ:

> „ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომლებიც იხდით მეათედს პიტნისას, კამისას, კვლიავისას, და დაგიტევებიათ ის, რაც უმთავრესია რჯულში: სამართალი, წყალობა და რწმენა. ეს უნდა გექნათ, და არც ის მიგეტოვებინათ. ბრმა წინამძღვარნო, რომელნიც გადასწურავთ ქინქლს და აქლემს კი შთანთქამთ. ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, გარედან რომ წმენდთ

სასმისსა თუ ჯამს, შიგნით კი სავსენი არიან ნაძარცვითა და ნაოხარით. თვალ-დავსილო ფარისეველო, ჯერ შიგნი-დან გაწმინდე სასმისი თუ ჯამი, რათა წმიდა იყოს გარეთაც. ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთ-მაქცნო, ასე რომ ჰგავხართ შეფეთქილ საფლავებს, რომლებიც გარედან მშვენიერნი ჩანან, ხოლო შიგნით სავსენი არიან მკვდრების ძვლებითა და ყოველგვარი უწმინდურებით. ასევე თქვენც გარეგნულად მართალნი ჰგონიხართ ხალხს, შიგნით კი სავსენი ხართ თვალთ-მაქცობითა და ურჯულოებით. ვაი თქვენ-და, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომელნიც აგებთ წინასწარმეტყველთა სამარხებს და ამკობთ მართალთა ძეგლებს; და ამბობთ: ჩვენი მამების დროს რომ გვეცხოვრა, არ ვიქნებოდით მათი თანამოზიარენი წინასწარმეტყველთა სისხლში. ამრიგად, თქვენი თავის წინააღმდეგ თვითონვე მოწმობთ, რომ წინასწარმეტყველთა მკვლელების ნაშიერნი ხართ. და აღავსეთ საწყაული თქვენი მამების. გველნო, იქედნეს ნაშიერნო, როგორ გაექცევით გეენის სასჯელს? ამიტომ, აჰა, გიგზავნით წინასწარმეტყველთ, ბრძენთა და მწიგნობართ; და ზოგს მოჰკლავთ და ჯვარს აცვამთ, ზოგს მათრახით სცემთ სინაგოგებში და ზოგსაც ქალაქიდან ქალაქად დაუწყებთ დევნას; რათა მოიწიოს თქვენზე ამ ქვეყნად დათხეული ყოველი მართალი სისხლი, აბელ მართლის სისხლიდან ვიდრე სისხლამდე ბარაქიას ძისა, ზაქარიასი, რომელიც მოჰკალით ტაძარსა და საკურთხეველს შორის. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ ყოველივე ეს მოიწევა ამ მოდგმაზე. იერუსალიმ, იერუსალიმ, წინასწარმეტყველთა მკვლელო და შენდამი მოვლინებულთა ქვებით ჩამქოლველო! რამდენჯერ ვცადე შემეკრიბა შენი შვილები, როგორც ფრინველი კრებს ბარტყებს თავის ფრთებქვეშ, და არ ისურვე. და აჰა, გრჩებათ თქვენი სახლი ოხრად. რადგანაც გეუბნებით თქვენ: ვეღარ მიხილავთ ამიერიდან, სანამ არ იტყვით: კურთხეულია მომავალი უფლის სახელით!“ (მათე 23:23-39)

1 „გვიანანტიკურ ხანაში შექმნილ მყარ და თითქმის უხილავ საძირკველზე დაშენებულ იმ ინსტიტუტებსა და იდეებთან შედარებით, რომლებზეც დღემდე დგას ჩვენი სამყარო, ანტიკური სამყაროს წინარე კლასიკურ პერიოდს აქვს სურეალური და თითქმის წონადი გავლენა ჩვენზე“ (Averil Cameron, Introduction, in Late Antiquity: A Guide to the Postclassical World, ed. by G. W. Bowersock, P. Brown, O. Grabar (Cambridge, London: The Belknap Press of Harvard University Press, 1999), p. x.). „რომაული სამყაროს და შემდეგ მთელი დასავლეთის დაპყრობით ქრისტიანობას მხოლოდ ვრცელი და შთაგონებით აღსავსე ნაკრები არ შეუქმნია კულტურული არტეფაქტებისა, მან აგრეთვე შეცვალა ადამიანთა მსოფლაღქმა და ცხოვრების არჩევანი. ქრისტიანულმა ტრადიციამ გავლენა მოახდინა თანამედროვე მგრძნობელობაზე, ღირებულებებზე, ეთიკაზე ...ქრისტიანობის ტრიუმფამდე რომის იმპერია მეტად მრავალფეროვანი იყო, მისი მაცხოვრებლები იზიარებდნენ გარკვეულ კულტურულ და ეთიკურ შეხედულებებს. თუ შევძლებდით ერთი სიტყვით გამოგვეხატა იმ დროის სოციალური, პოლიტიკური და პიროვნული ეთიკის არსი, ეს იქნებოდა სიტყვა „ბატონობა“. ბატონობის, დომინანტობის კულტურაში ძალაუფლების მქონენი ჩვეულებრივ განამტკიცებენ თავიანთ ნებას სუსტებზე; მმართველნი ბატონობდნენ ქვეშევრდომებზე, პატრონები – კლიენტებზე, მონათმფლობელნი – მონებზე, მამაკაცები – თავიანთ ქალებზე. ეს იდეოლოგია არ იყო უბრალოდ ძალაუფლების ცინიკური საფარველი ან ძალადობის გაცნობიერებული გამოვლინება. ეს იყო საყოველთაოდ მიღებული ათასწლოვანი აზრი, რომელიც ფაქტობრივად ყველას მიერ იყო მიღებული და გაზიარებული, თვით სუსტისა და შევიწროებულის ჩათვლით“ (Bart D. Ehrmann, The Triumph of Christianity: How a Forbidden Religion Swept the World (NY: Simon&Schuster, 2018), 20-21.).

2 წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვა 39.16.

3 ჰერმიას სოძომენე, ეკლესიის ისტორია XII.

4 წმ. იოანე ოქროპირი, მათეს სახარების განმარტებები 65.

5 ფს. მაკარი ეგვიპტელი, ჰომილია 40.

6 წმ. მაქსიმე აღმსარებელი, ოთხასეული სიყვარულის შესახებ I, 15-17.

7 წმ. ისააკ ასური, სიტყვა 48.

რა სარგებელია იმაში, რომ ქრისტეს ტრაპეზი ოქროს ლარნაკებით არის დამძიმებული, მაშინ როცა თვითონ ის შიმშილით კვდება? დაიწყე მშიერის დაპურებით და, რაც დარჩება, იმით შეამკე საკურთხეველი. შენ გაქვს ოქროს ბარძიმი და აძლევ ერთ ჭიქა წყალს? რა სარგებელი აქვს ქრისტეს ტრაპეზს ოქრომკედის გადასაფარებლისგან, თუ არ გასცემ საჭირო სამოსელს? ამით რას მოიპოვებ? მითხარი, თუ ხედავ, რომ ქრისტეს აკლია აუცილებელი საკვები და შენ მას მიატოვებ საკურთხევლის ძვირფასი ფარჩებით დასაფარად, ნუთუ მას ეს ეამება? ნუთუ ეს მას უფრო არ განარისხებს? ან კიდევ, ხედავ ქრისტეს ძონძებში შემოსილს, სიცივით გაყინულს, შენ კი არ ფიქრობ, მისცე მას მოსასხამი, არამედ აღმართავ ოქროს სვეტებს ეკლესიაში და ამბობ, რომ ეს მის პატივსაცემად არის. ნუთუ ეს არ არის მისი დაცინვა, რაც უნდა შეფასდეს როგორც მისი შეურაცხყოფა და შეურაცხყოფაზე მეტიც? არ ფიქრობ, რომ ასე ექცევი ქრისტეს, როცა ის მოდის მოგზაური, უცხო და უსახლკარო? და შენ არ უმასპინძლდები მას, არამედ ამკობ მოპირკეთებულ ქვებს, კედლებს და სვეტების თავებს, ლამპრებს ამაგრებ ვერცხლის ჯაჭვებით? მაგრამ შენ არ გინდა დაინახო, რომ მას ადევს ჯაჭვები ციხეში. მე ამას არ გეუბნები შენი გულუხვობის დასაბრკოლებლად, არამედ იმისთვის, რომ მას თან მოადევნო, ან უფრო სწორად, მას წინ უსწრებდეს ქველმოქმედების სხვა საქმეები. რადგან არავის დასდებენ ბრალად, თუ ის არ გააკეთებს პირველ მათგანს, არამედ იმას, რომ მან უგულებელყო მეორე; ამისთვის მას ემუქრება გეენა და ცეცხლი, და დემონებთან თანაზიარება. ამიტომ, როცა ეკლესიას ამკობ, არ დაივიწყო განსაცდელში მყოფი შენი ძმა, რადგან ეს (ადამიანის) ტაძარი იმ ქვის ტაძარზე გაცილებით უფრო ძვირფასია

წმ. იოანე ოქროპირი

მშიოდა და მეცით მე ჭამადი

არქიმანდრიტი დოროთე ყურაშვილი

უფალი ამბობს: „ამინ, გეუბნებით თქვენ: რაც გაუკეთეთ ერთს, ამ ჩემს ძმათაგან მცირეს, მე გამიკეთეთ“ (მათე 25:40). ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ ვინ არის ეს „ძმათაგან მცირე”. „მცირე“ არის ქრისტეს მსახური, ჭეშმარიტი ქრისტიანი, რომელიც ღმერთივით დიდია, ღმერთია ამ ქვეყანაზე და მისი სიდიდე არ ჩანს, რადგან ქრისტეს მოსაპოვებლად, ანუ ქრისტეს გულისთვის, ყოველივე ამქვეყნიური, რაც მას ამქვეყნიურად წარმოაჩენდა როგორც დიდს, დათმო და ამ დათმობით ამქვეყნიურად დამცირდა. ჭეშმარიტი ქრისტიანი არაფერს იტოვებს ამქვეყნიურს თავის დასაცავად. მას მხოლოდ ქრისტე იცავს იმდენად, რამდენადაც ამას ქრისტე ინებებს. უფალი ამბობს: მელიებს სოროები აქვთ და ცის ფრინველებს – ბუდეები, ხოლო ძეს კაცისას არა აქვს, სად მოიდრიკოს თავი (მათე 8:20).

ჭეშმარიტება და ჭეშმარიტების მიმდევარი თავშესაფარს არ ეძებს ამქვეყნიურ მეფობაში, ამქვეყნიურ დიდებაში, ამქვეყნიურ სიმდიდრესა და ძალმოსილებაში. ჭეშმარიტი ქრისტიანი ყოველგვარი ამქვეყნიური მფარველობისგან დაცლილია და ამიტომაც ეწოდება მას „მცირე”, ანუ ამქვეყნიურად უმნიშვნელო ადამიანად იწოდება და ითვლება არა სულიერი, არამედ მიწიერი ძალმოსილების მხრივ. ამქვეყნიურად მცირე იყო პავლე მოციქული, თუმცა სულიერად იმდენად დიდი იყო, რომ მესამე ცამდე იქნა აღტაცებული. ის იდევნებოდა მავანი მეფის მიერ, მას შოლტავდნენ, ქვით ქოლავდნენ. ის მეფეა, ქრისტეს მიერ განღმრთობილია, მაგრამ მას ისე ექცევიან, როგორც მის ღმერთს მოექცნენ.

ზოგჯერ ამბობენ, რომ „მცირე” აღნიშნავს იმას, რომ ქრისტიანები ცოტანი არიან, მაგრამ, ვფიქრობ, „მცირე” აღნიშნავს მათ, ვინც სულიერად დიდია, მაგრამ ამქვეყნიურად ჩანან, როგორც მცირე, ქრისტეს გულისთვის დამცრობილი ადამიანები. რითაც შეეწიეთ ერთს, ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით მე შემეწიეთ, – ამბობს მაცხოვარი (მათე 25:40). ამ ციტატის გააზრება ასე შეიძლება: ვისაც ქრისტე თავის ძმას უწოდებს ან თავის ძმად თვლის, უეჭველად დიდია, რადგან ქრისტეს ძმა არის ის, ვინც ქრისტეს მიემსგავსა და სულით სრულყოფილი გახდა. ქრისტეს მიღებით კი ქრისტეს ემსგავსები და ხდები ისეთივე დიდი, როგორიც არის ქრისტე, მაგრამ ასევე ქრისტეს მსგავსად შენს ძალმოსილებას, შენს დიდებას, შენს რჩეულობას არ იყენებ იმისთვის, რომ ამქვეყნად იმეფო და ამქვეყნიური გაგებით პატივდებული იყო ამქვეყნიური ადამიანებისგან. ამიტომაც ვფიქრობ, რომ „მცირეს” ქრისტე უწოდებს ქრისტეს გულისთვის ამქვეყნიურად დამცირებულ ადამიანებს და არ გულისხმობს მორწმუნეთა სიმრავლეს ან სიმცირეს.

შესაძლებელია, ამა თუ იმ ქვეყანაში უმრავლესობას ქრისტეს მორწმუნეები წარმოადგენდნენ, მაგრამ ამ მორწმუნეთა შორის ქრისტეს გულისთვის დამცირებული და ისეთი, ვისაც ქრისტე თავის ძმას უწოდებს, ძალიან ცოტა იყოს. „ახლა ღვთის შვილები ვართ, ოღონდ ჯერ არ გა-

მომჟღავნებულა, რანი ვიქნებით. ვიცით, რომ, როცა გამოჩნდება, მისი მსგავსი ვიქნებით, რადგანაც ვიხილავთ მას, როგორიც არის" (1იოან. 3:2).

ასევე საგულისხმოა, რომ ქრისტე აქებს მარჯვნივ მყოფებს, ხოლო მარცხნივ მყოფებს საყვედურობს იმის გამო, რომ, როცა თავად მშიერი იყო, მაშინ არ აჭამეს, როცა საპყრობილეში იყო, არ ინახულეს, როცა შიშველი იყო, არ შემოსეს და სხვა. „მე არ გამიკეთეთო", იმიტომ ამბობს, რომ ქრისტე დედამიწაზე მისი გულისთვის დამცირებულ ადამიანებში იმყოფება ამ სამყაროს აღსასრულამდე: „აჰა, მე თქვენთან ვარ დღემუდამ, ვიდრე ქვეყნის დასასრულამდე" (მათე 28:20). ქრისტე კაცობრიობას განიკითხავს იმის მიხედვით, თუ რამდენად იღებდა მას ესა თუ ის ადამიანი ამქვეყნიურობისგან გაშიშვლებულს, დაცლილს, ამქვეყნიური ადამიანებისგან დაპატიმრებულს და ამქვეყნად მიუსაფარს და ჯვარცმულს.

მარჯვნივ მყოფები ვერ ხედავენ, თუ სად და როდის მიხედეს და აჭამეს ქრისტეს; ერთი შეხედვით, გაუგებარია აცდენა ქრისტეს სიტყვებსა და მართლების სიტყვებს შორის, როცა ქრისტე ეუბნება: თქვენ მაჭამეთ, ხოლო მართლები პასუხობენ: სად და როდის გნახეთ და დაგაპურეთ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მეორედ მოსვლისას უფლის მარჯვნივ იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს ვალდებულად თვლიან, რომ ყოველი ადამიანის მიმართ იყვნენ სამართლიანები, კეთილები და სიკეთეს აკეთებდნენ.

ქრისტეს მორწმუნე სიკეთეს აკეთებს არა იმისთვის, რომ ღმერთმა დაუფასოს, არამედ ღმერთისგანაც კი არ ელის სანაცვლოს, ამიტომაც მარჯვნივ მყოფები ეუბნებიან: სად გნახეთ, უფალო, შიშველი, მწყურვალი, მიუსაფარი, და როდის მოგხედეთ? ასე იმიტომ ეუბნებიან, რომ სიკეთეს აკეთებდნენ არა უფლის გულისთვის, არამედ სხვაგვარად არ შეეძლოთ, რადგან მიმსგავსებულნი არიან ქრისტეს, რომელმაც მაშინ გაწირა თავი კაცთა გამოსახსნელად, როცა ამის ღირსი არავინ იყო. ღმერთი თავისი გულისთვის აკეთებს ყოველგვარ სიკეთეს და არა იმიტომ, რომ ამას ვინმე იმსახურებს. ასეთივეა ქრისტეს მიმსგავსებული ყველა ადამიანი. ის სიკეთეს უკეთებს არა მხოლოდ მას, ვისაც ის უყვარს ან ვინც უფასებს სიკეთეს, არამედ თავის მოძულესაც კი. თქვა უფალმა: რა დიდი საქმეა, გიყვარდეს ის, ვისაც უყვარხარ, და სიკეთეს უკეთებდე მას, ვინც სიკეთეს გიკეთებს, რადგან ამას ურწმუნოებიც აკეთებენ (მათე 5:46-47). როცა ქრისტიანი სიკეთეს აკეთებს, ამის მიზეზი არ უნდა იყოს სხვის მიერ გაკეთებული სიკეთე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მისი კეთილი ღმერთის სიტყვა და მასში დამკვიდრებული სულიწმიდა უნდა აღძრავდეს სიკეთის გასაკეთებლად. ისიც აღსანიშნავია, რომ მარჯვნივ მყოფებს უფალი უფასებს იმ სიკეთეებს, რომლებიც თავად არ ახსოვთ, რადგან ყოველი ქრისტიანი, რომელიც სიკეთეს ბუნებრივად აკეთებს, არ თვლის, რომ ამ სიკეთისთვის ჯილდო უნდა მიიღოს, როგორც დედა არ ელოდება ღვთისგან ჯილდოს საკუთარი შვილების აღზრდისთვის. როგორც ჩანს, იმ სიკეთეს, რომელიც ადამიანმა გააკეთა, დაიმახსოვრა და მისთვის ჯილდოს ელის, თუნდაც ღვთისგან, უფალი ივიწყებს.

ადამიანის ყოველ მოქმედებას წინ უძღვის განზრახვა, მიზნები, ამა თუ იმ საქმეს რისთვის აკეთებს. ადამიანის მიერ გაკეთებული სიკეთე იმ ადამიანისთვის, ვისთვისაც სიკეთეს აკეთებენ, ყველა შემთხვევაში სიკეთეა, მაგრამ შეიძლება, გამკეთებლისთვის არ იყოს სიკეთე, რადგან მისი მიზანი შეიძლება იყოს ამქვეყნიური

პატივი და დიდება, ნდობის მოპოვება, მოსყიდვა და სხვა. ამიტომ თქვა უფალმა:

> „ერიდეთ სიმართლის გაკეთებას ადამიანების თვალწინ იმისთვის, რომ მათ დაგინახონ, თორემ ვერ მიიღებთ საზღაურს თქვენი ზეციერი მამისგან. ჰოდა, როცა მოწყალებას იქმ, ნუ გაახმაურებ შენს წინ, როგორც თვალთმაქცნი აკეთებენ ხალხმრავალ ადგილებსა და ქუჩებში, რომ ადამიანებმა აქონ ისინი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მათ უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური. შენ კი, როცა მოწყალებას იქმ, დაე, შენმა მარცხენამ არ იცოდეს, რას იქმს შენი მარჯვენა. რათა შენი მოწყალება იყოს ფარულად, და შენი მამა, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგიზღავს შენ“ (მათე 6:1-4).

მარჯვენა და მარცხენა კეთილ და ბოროტ საქმეებს აღნიშნავს. მაცხოვარი ამბობს: როცა სიკეთეს აკეთებ, არ უნდა იფიქრო, რომ ამის გამო შეგენდობა შენი ბოროტი საქმეები; ამას ნიშნავს, შენმა მარცხენამ არ იცოდეს, რა კეთილ საქმეებს აკეთებს შენი მარჯვენა. მარცხენა, ანუ ჩვენი ბოროტი საქმეები, იმ საქმეების გამოსწორებით შეგვენდობა, რაშიც ბოროტები ვართ, და არა იმით, რომ აქეთ ბოროტება ჩავიდინოთ და იქით ვინმე დავაპუროთ ან სხვა სიკეთე ვაკეთოთ და გვეგონოს, რომ ამით შეგვენდობა ჩვენი ბოროტი საქმეები, რომლებსაც იმავდროულად ჩავდივართ. ამიტომაც ეუბნება მაცხოვარი ფარისევლებს, ნუ ყვირით თქვენი სიკეთეების შესახებ იმისთვის, რომ ხალხმა დაგინახოთ და დაგაფასოთ, რადგან ეს არ უშველის თქვენს ბოროტ საქმეებს. ისინი მართლაც აკეთებდნენ სიკეთეს, მაგრამ ამქვეყნადვე იღებდნენ ხალხისაგან პატივს და დიდებას.

აქ მაცხოვარი იმას არ გვეუბნება, რომ ჩვენი კეთილი საქმე არავინ დაინახოს, რადგან თვითონ უთხრა მოციქულებს: „ასევე ანათებდეს თქვენი სინათლე ადამიანთა წინაშე, რათა ისინი ხედავდნენ თქვენს კეთილ საქმეებს და ადიდებდნენ თქვენს მამას, რომელიც ზეცაშია” (მათ.5,16). ამით მაცხოვარი გვეუბნება იმას, რომ ყოველი სიკეთე, რომელსაც ადამიანებს გავუკეთებთ, ვაკეთოთ არა ამქვეყნიურად ჩვენივე თავის განდიდებისთვის, არამედ იმისთვის, რომ ყოველმა კაცმა, რომელიც ჩვენს სიკეთეს იხილავს, ადიდოს ჩვენი ღმერთი, რომელმაც მოგვიწოდა, გვიყვარდეს მოყვასი და ვაკეთოთ სიკეთე ყოველგვარი ანგარების გარეშე. ჩვენ იმას კი არ უნდა ვცდილობდეთ, რომ არავინ დაინახოს ჩვენი სიკეთე, არამედ სხვის დასანახად არ უნდა ვაკეთოთ ის.

ერთი ფილოსოფოსი ამბობს: კაცთაგან დიდება რომ გინდოდეს, ძალზე დიდი წარმოდგენის უნდა იყო ადამიანებზე. ვინც ღმერთს ვერ ხედავს და ღმერთისგან არ იმართება, რაც არ უნდა კეთილ საქმეს აკეთებდეს, ის ამქვეყნიური ცნობიერებით იმართება და საერთო არაფერი აქვს ღმერთთან. ის თავის სიკეთეს ყოველთვის იყენებს იმისთვის, რომ ადამიანებმა განადიდონ, ამიტომ ამბობს უფალი, რომ ასეთი ადამიანები თავისი სიკეთის სანაცვლოდ აქვე იღებენ ქება-დიდებას ადამიანებისგან და არაფერი რჩებათ საუკუნო სიცოცხლისთვის, რადგან არაფერი გაუკეთებიათ მის მოსაპოვებლად.

როცა სიკეთეს აკეთებ, მაგრამ არ იცნობ იმას, ვინც ყოვლადკეთილია და ყოველი სიკეთის მომცემია, მაშინ ეს სიკეთე შენთვის არ არის საცხონებელი და შეიძლება, ის სიკეთე, რომელსაც აკეთებ, შენთვის არც კი იყოს სიკეთე, რადგან ყოველი კეთილი ადამიანი, რომელიც ღვთის გარეშეა და თვლის, რომ თვითონ კეთილია და მისი საქმეები სწორი და მართე-

ბულია, შორს დგას ღვთისგან. ასეთ ადამიანს, შესაძლოა, უფრო გაუჭირდეს ღმერთის მიღება, ვიდრე ამქვეყნიურად მიღებული, ტრადიციულად მართებული საქმეების დამრღვევს. ამას ეუბნება ფარისევლებს მაცხოვარი: „მრუშები და მეზვერეები უფრო შევლენ სასუფეველში, ვიდრე თქვენ“ (მათე 21:31).

მღვდელმთავრებსა და ფარისევლებს, რომლებიც ზედმიწევნით აღასრულებდნენ მოსეს რჯულს, სამართლიანად იქცეოდნენ და მოწყალებასაც გასცემდნენ სხვების დასანახად, ღმერთი ეუბნება: მძაგს თქვენი დღესასწაულები და თქვენი შესაწირავები (ამოს. 5:21-27). ასევე უფალმა იესო ქრისტემ ფარისევლებს უთხრა: „მიდით და გაარკვიეთ, რას ნიშნავს: წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი“ (მათე 9:13). ეს სიტყვები ასე განიმარტება: მე მსურს არა თქვენი შესაწირავები, არამედ მინდა, რომ გულმოწყალეები იყოთ ერთმანეთის მიმართ და მწირავდეთ ერთმანეთის სიყვარულს, გიყვარდეთ მე და გიყვარდეთ ერთმანეთი. „თქვენი სიკეთე მახარებს და არა მსხვერპლი, უფლის შემეცნება და არა აღსავლენი“ (ოს. 6:6).

ყოველ ადამიანს რაღაც იდეა, რაღაც აზროვნება ამოძრავებს სიკეთისა ან ბოროტების ჩადენისას. ამიტომაც სიკეთის კეთებისას თუ გამოვიძიებთ, რა გვამოძრავებს, და დავინახავთ, რომ, რაც გვამოძრავებს, ქრისტესმიერი არ არის, გამოწვეულია სხვა იდეით, ეს სიკეთე ქრისტეს წინაშე სიკეთედ არ ჩაგვეთვლება.

მამები გვასწავლიან: როცა ზრდასრული ადამიანი ნათელს იღებს ქრისტეს ეკლესიაში, მას მანამდე ჩადენილი ყველა ცოდვა მიეტევება, ხოლო ყველა სიკეთე, რაც გაუკეთებია, ქრისტესთვის გაკეთებულად ჩაეთვლება, რადგან შესაძლოა, სწორედ თავისი კეთილი საქმეების მეშვეობით იპოვა ნამდვილი ღმერთი. ამიტომ ჩვენ მიერ ჩადენილი ყველა სიკეთე ჩვენთვის მაცხონებელი მაშინ ხდება, როცა ამ კეთილი საქმეების მეშვეობით ჩვენს კეთილ ღმერთს, ჩვენთვის ჯვარცმულ იესო ქრისტეს ვიპოვით, მას შევუდგებით და გავაგრძელებთ სიკეთის ქმნას ისე, როგორც მან გვითხრა: გიყვარდეს ღმერთი შენი, გიყვარდეს მოყვასი შენი და გიყვარდეთ ერთმანეთი.

თუ არ ხარ ქრისტიანი, თუ არ მიგიღია ქრისტე და ქრისტეს სული, მაშინ შეუძლებელია, შენმა სიკეთემ გაცხონოს. უფალი ამბობს: ვინც ჩემთან არ აგროვებს, ის აბნევს (მათე 12:30). ხოლო, თუ მიიღებ უფალ იესო ქრისტეს, მაშინ ხდები ყოველი ადამიანის მოყვასი და კეთილისმყოფელი, განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა და კანის ფერისა, როგორც ეს უთხრა ქრისტემ ძველი რჯულის მოძღვარს კეთილი სამარიტელის იგავით: წადი და შენც ისე მოიქეცი, როგორც ის სამარიტელი მოიქცა, რომელმაც უცხოს, სრულიად უცნობ ადამიანს მიხედა.

რჯულის მოძღვარს იმის გარკვევა სურდა, თუ ვინ იყო მისი მოყვასი, ხოლო ქრისტეს პასუხიდან ჩანს, რომ ჩვენ ის კი არ უნდა ვეძებოთ, ვინ არის ჩვენი მოყვასი, არამედ ჩვენ უნდა ვიყოთ მოყვასი, იმას კი არ უნდა ვარკვევდეთ, ვინ არის ჩვენი მოკეთე, არამედ ჩვენ უნდა ვიყოთ კეთილისმყოფელი.

თუ ძველ აღთქმაში ადამიანი ისჯებოდა ბოროტების ჩადენის გამო, როგორც წერია: კბილი კბილის წილ (ლევ. 24:20), ახალ აღთქმაში მდიდრისა და ლაზარეს იგავიდან ჩანს, რომ ადამიანი ისჯება არა მხოლოდ ბოროტების ჩადენის გამო, არამედ სიკეთის არგაკეთების გამოც, რადგან, როგორც სახარების ამ იგავიდან ჩანს, მდიდარს სხვისთვის ბოროტება არ გაუკეთებია. ის მდიდრულად იმოსებოდა და მდიდრულად ნადიმობდა მდიდრებთან, მაგრამ

ვერ ამჩნევდა გაჭირვებაში მყოფ, მის კარებთან მწოლიარე მშიერ-მწყურვალ ლაზარეს, რომელსაც, როგორც იგავიდან ჩანს, იცნობდა, მაგრამ მისი გაჭირვება არ აწუხებდა (ლუკა 16:19-31).

მსგავს მდგომარეობაში არიან ის ადამიანები, რომლებიც უფლის მეორედ მოსვლისას მის მარცხნივ აღმოჩნდებიან, რადგან მიუგებენ უფალს: როდის გნახეთ, უფალო, და არ გემსახურეთ შენ? ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც შიშველში, პატიმარში, მშიერში და ამქვეყნიურად დამცირებულში არ ეძებენ ღმერთს და ამიტომაც ვერ ხედავენ მას. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც ამქვეყნიურ მდიდრებში, ძალმოსილებში და ტირანებში ეძებენ ღმერთს და ღმერთად მიიჩნევენ მათ:

> „მათი ბოლო დაღუპვაა, მათი ღმერთი - მუცელი, მათი დიდება კი - სირცხვილი. ისინი მიწიერზე ფიქრობენ. ხოლო ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია, საიდანაც ველით მაცხოვარს, უფალ იესო ქრისტეს, რომელიც ჩვენს დამდაბლებულ სხეულს გარდაქმნის თავისი დიდების სხეულის მსგავსად“ (ფილიპ. 3:19-24).

როგორც გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობს, იმ მრავალ სიკეთეთა შორის, რაც კი ღმერთს ადამიანისთვის მიუცია, ყველაზე დიდი სიკეთე არის ღმერთის შეცნობის შესაძლებლობა. უფალმა თქვა: „ეს არის საუკუნო სიცოცხლე, რათა შეგიცნონ შენ, ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი“ (იოანე 17:3). სიმეონ ღვთისმეტყველი სვამს კითხვას: თუ ღმერთი მეორედ მოსვლისას კაცობრიობას მხოლოდ იმის მიხედვით განიკითხავს, თუ რა გაუკეთა მოყვასმა მოყვასს, თუ რამდენად დააპურა მშიერი და შემოსა შიშველი, მაშინ რა უნდა ქნან იმ განდეგილებმა, რომლებმაც სოფელი სრულიად დატოვეს და დაცარიელდნენ ყოველგვარი ამქვეყნიური შესაძლებლობებისგან? და თვითონვე პასუხობს, რომ ყოველი განდეგილი თვითონ იკვებება ღმერთით და, თუ შესაძლებლობა აქვს, სხვებსაც აპურებს ღვთის სიტყვით.

როცა მოწაფეებმა უფალს საჭმელი შესთავაზეს, მან უპასუხა: მე მაქვს საჭმელი, რომელიც თქვენ არ იცით (იოანე 4:32). გრიგოლ ღვთისმეტყველი განმარტავს ამ სიტყვებს და ამბობს: ღმერთს შია, რომ ჩვენ გვშიოდეს ღმერთი. ღმერთს მოწყურებული ყველა ადამიანი ღვთის სიტყვით იკვებება, რომელიც არის ყველაზე დიდი და დაუსრულებელი საკვები. ბიბლიაში უფალი ამბობს: „აჰა, დგება დღეები, ამბობს უფალი ღმერთი, როცა მოვავლენ ქვეყანაზე შიმშილს, არა შიმშილს პურისას და წყურვილს წყლისას, არამედ უფლის სიტყვების მოსმენისას” (ამოს. 8:11). როგორც ღვთის სიტყვა არის აღმატებული პურზე, ასევე ის ადამიანები, რომლებიც ღმერთის სიტყვით იკვებებიან და კვებავენ სხვებსაც, ყველა ქველმოქმედზე აღმატებულნი არიან.

დღეს ჩვენი ერი განიცდის არა იმდენად პურის უქონლობას, არამედ ქრისტეს ჭეშმარიტი, მართალი სიტყვის შიმშილს, რადგან, როგორც უფალმა თქვა: არა მხოლოდ პურით ცოცხლობს კაცი, არამედ ყოველი სიტყვით, რომელიც გამოდის ღმერთის პირიდან (მათე 4:4). პურით შესაძლებელია მხოლოდ ხორცი ვაცოცხლოთ, მაგრამ ღვთის სიტყვის გარეშე სული შიმშილობს და ვერ ცოცხლობს, რადგან მისი მაცოცხლებელი მხოლოდ ღვთის სიტყვაა. „ნეტარნი არიან მშიერნი და მწყურვალნი სიმართლისათვის” (მათე 5:6). ნეტარია, ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც სწყურია და შია ღვთის სამართალი, ღვთის სიტყვა, და ეძებს და პოულობს მას.

მღვდელმთავრებსა და ფარისევლებს, რომლებიც ზედმიწევნით აღასრულებდნენ მოსეს რჯულს, სამართლიანად იქცეოდნენ და მოწყალებასაც გასცემდნენ სხვების დასანახად, ღმერთი ეუბნება: მძაგს თქვენი დღესასწაულები და თქვენი შესაწირავები (ამოს. 5:21–27). ასევე უფალმა იესო ქრისტემ ფარისევლებს უთხრა: „მიდით და გაარკვიეთ, რას ნიშნავს: წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი“ (მათე 9:13). ეს სიტყვები ასე განიმარტება: მე მსურს არა თქვენი შესაწირავები, არამედ მინდა, რომ გულმოწყალეები იყოთ ერთმანეთის მიმართ და მწირავდეთ ერთმანეთის სიყვარულს, გიყვარდეთ მე და გიყვარდეთ ერთმანეთი. „თქვენი სიკეთე მახარებს და არა მსხვერპლი, უფლის შემეცნება და არა აღსავლენი“ (ოს. 6:6)

არქიმანდრიტი დოროთე ყუჩაშვილი

სამსჯავრო სიყვარულის ენით:

ქრისტიანული განსჯის თეოლოგიური ანალიზი

არქიმანდრიტი ილია ჯინჯოღავა

მათეს სახარების ოცდამეხუთე თავის 31-36-ე მუხლებში წარმოდგენილი ესქატოლოგიური სცენა არის ახალი აღთქმის კორპუსში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქრისტოცენტრული ტექსტი, რომელშიც საყოველთაო სამსჯავროს მოტივი განიხილება არა სამართლებრივი კატეგორიების, არამედ სიყვარულის ეთოსის ჭრილში. „როცა მოვა კაცის ძე დიდებითა თვისითა...", - ასე იწყება განკითხვის სურათი, რომლის ცენტრშიც დგას არა მხოლოდ ქრისტე, როგორც ნამდვილი მეფე და მსაჯული, არამედ თავად ის, ვინც შიმშილს, წყურვილს, უცხოობას, სნეულებასა და ტყვეობას იზიარებს. სწორედ აქ იკვეთება საღვთისმეტყველო პარადიგმა, რომელიც გარდაქმნის ქრისტიანულ ეთიკას: სამსჯავრო ხდება არა მხოლოდ განსჯის, არამედ ღვთის სიყვარულში თანამონაწილეობის გამოცდა.

ახალი აღთქმის ამ მონაკვეთში ვხედავთ არა უბრალოდ სამართლებრივ ტრიბუნალს, არამედ განხილვას სიყვარულის ენაზე, რაც უკვე თავისთავად განსჯის წესი და კრიტერიუმია. ქრისტეს სიტყვებში, „რაც ერთს ამ მცირეთაგანს უყავით, მე მიყავით" (მათე 25:40), ჩანს, რომ სასუფევლის გამოცდილება ეფუძნება ადამიანის მოყვასთან ურთიერთობას, რაც ღვთის ხატთან შეხვედრას გულისხმობს.

ამ სტატიაში შევეცდებით, საღვთისმეტყველო ანალიზის მეშვეობით წარმოვადგინოთ ამ ტექსტის ესქატოლოგიური, ქრისტოლოგიური და ეკლესიოლოგიური განზომილებები. განსაკუთრებით გამოვყოფთ ორ ცენტრალურ თეოლოგიურ ხაზს:

1. ქრისტე, როგორც უძლური — ანუ მეფე, რომელიც თავს აიგივებს განდევნილთან;
2. სიყვარული, როგორც საბოლოო კრიტერიუმი ისტორიის დასასრულის შეფასებისთვის.

სტატია აგებულია პატრისტიკული წყაროების ინტეგრაციით, თანამედროვე მართლმადიდებლური თეოლოგიის სინთეზითა და ბიბლიური ეგზეგეზის საფუძველზე. გამოვიყენებთ როგორც აღმოსავლური ეკლესიის მამების (ათანასე დიდი, ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი, მაქსიმე აღმსარებელი), ასევე თანამედროვე თეოლოგების (იოანე ზიზიულასი, დუმიტრურ სტანილოე, ემილიანოს ტოსკოსელი) ინტერპრეტაციებს, რათა განვმარტოთ, როგორ იქცევა სამსჯავრო სიყვარულის საბოლოო გამოცხადებად.

სამსჯავროს სიუჟეტის სტრუქტურა და მათეს სახარების ლიტერატურულ - თეოლოგიური კონტექსტი

მათეს სახარების ოცდამეხუთე თავი წარმოადგენს იესოს ესქატოლოგიური ქადაგებების თეოლოგიურ მწვერვალს — სი-

ტყვათა იმ კულმინაციას, რომელიც ზეთისხილის მთაზე წარმოთქმულ საუბრებშია ჩაწერილი (მთ. 24:1 - 25:46) და რომელიც ბიბლიურ მეცნიერებაში ცნობილია როგორც ე.წ. „ოლივეთის საუბარი“ (Olivet Discourse). აღნიშნული დისკურსი აერთიანებს წინასწარმეტყველურ პარაბოლებსა და სამსჯავროს წინასწარმჭვრეტელურ სურათს, რომელშიც სამსჯავროს სცენა (მთ. 25:31-46) იკავებს არსებითად განსხვავებულ პოზიციას — იგი გადადის ალეგორიულიდან რეალურ სურათზე და ხდება მთელი დისკურსის ქრისტოლოგიური ღერძი.

სამსჯავროს სიუჟეტი შეგნებულად სტრუქტურირებულია სიმბოლურ და იუდეურ-აპოკალიფსურ მოტივებზე დაყრდნობით:

პირველი ეტაპი: კაცის ძის დიდებით გამოცხადება, ანგელოზთა თანხლებით დიდების ტახტზე დაბრძანება (მათე 25:31);

მეორე ეტაპი: ხალხთა შეკრება მის წინაშე და გაყოფა – როგორც მწყემსი არჩევს ცხვრებსა და თხებს (25:32-33);

მესამე ეტაპი: განსჯის სიტყვა – ჯერ მარჯვნივ მდგომთადმი მოწოდება, შემდეგ – მარცხნივ მდგომთა დაგმობა (25:34-46).

ეს სიუჟეტი მკვეთრად ქრისტოლოგიური ხასიათისაა: „კაცის ძე“ (ὁ υἱὸς τοῦ ἀνθρώπου), რომელიც დანიელის წიგნის მე-7 თავის აპოკალიფსურ ხილვაშია დაფუძნებული, ქრისტეში იძენს საბოლოო ღვთაებრივ ღირსებას, რომელიც თანაბრად არის მეფური და მსაჯულებრივი (შდრ: დან. 7:13-14; მთ. 16:27; 19:28).

გარდა ამისა, ტექსტი აშკარად ეფუძნება სემიტურ იურიდიულ მეტყველებას, რომელშიც მეფე წარმოჩენილია საბოლოო მსაჯულად. მაგრამ ქრისტე ამ უფლებამოსილებას განახორციელებს არა როგორც ფორმალური იურისტი, არამედ როგორც სიყვარულში თანამონაწილეობის შემფასებელი, რაც სრულიად ახალ კონტექსტს სძენს ღვთის სამართლიანობას. წმინდა იოანე ოქროპირი აღნიშნავს: „ღმერთი სამართალს ლოგიკით არ აღასრულებს, არამედ სიყვარულით, რომელიც უფრო მეტად გვასამართლებს, ვიდრე კანონი“ [Homiliae in Matthaeum, PG 57, 450].

ამასთან, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მათეს სახარების 25-ე თავის 31-46-ე მუხლების თხრობა არის ნიმუში იმისა, თუ როგორ ურთიერთწნეხში ვითარდება დოგმატური ჭეშმარიტება და ეთიკური მოთხოვნები ქრისტიანულ ცხოვრებაში. იგი იძლევა არა მხოლოდ ესქატოლოგიური გადაწყვეტილების ფორმულას, არამედ ქრისტიანული ყოფიერების შეფასების კრიტერიუმს — „რაც გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს უმცირეს ჩმათაგანს, მე გამიკეთეთ“ (მათე 25:40).

შინაარსობრივადაც კი ტექსტში გრძელდება წინა პარაბოლების თემატური ხაზი: ბრძენი და უგუნური ქალწულების შესახებ (25:1-13) და ტალანტების შესახებ (25:14-30) და ყველა ერთსა და იმავე საკითხზე მეტყველებს – მესიანური მოლოდინის პრაქტიკული განხორციელება ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც კრიტიკულად განისჯება არა ფორმით, არამედ ადამიანურ ურთიერთობაში გამოცხადებული ღმრთის ხატთან ურთიერთობით.

ქრისტე, როგორც უძლურთა შორის მყოფი მსაჯული: ქრისტოლოგიური პარადოქსი და ღირსების განზომილება

მათეს ოცდამეხუთე თავში თავმოყრილი სამსჯავროს სცენა წარმოგვიდგენს ქრისტეს, როგორც კაცის ძეს, რომელიც „დიდებით მოდის“ (მათე 25:31) მეფის და მსაჯულის როლში, თუმცა მისი მსჯავრი არა ძალაუფლების ან იურიდიული ძალის დემონსტრირებაა, არამედ ღვთაებრივი სიყვარულის გამოხატულება და ემპათია უძლუ-

რებისა და მოწყვლადთა მიმართ. აქ ვლინდება ერთ-ერთი მთავარი ქრისტოლოგიური პარადოქსი — ქრისტე არის როგორც ყოვლისშემძლე მეფე, ისე ღარიბთა და დაუცველთა თანამგრძნობი.

ქრისტეს სიტყვებით, სადაც იგი საკუთარ თავს აიგივებს მცირეთაგანთან (მათე 25:40) როცა ამბობს, რომ „რაც ერთს ამ მცირეთაგანს უყავით, მე მიყავით", ვხედავთ ღმრთის სიწმინდის დინამიკას, რომელიც ღვთაებრივ პატივისცემასა და სიყვარულს ანიჭებს არა ძლიერებსა და დიდებულებს, არამედ „მცირეთაგანს" — შიმშილს, წყურვილს, უცხოობას, სიშიშვლეს, სნეულებას, ტყვეობას. ეს აღნაგობის გარდაქმნა გახლავთ, რომლის მიხედვითაც ღვთის სამეფო და სამსჯავრო არ განისაზღვრება მიწიერი ძალაუფლებით ან რანგით, არამედ მდაბალთა აღორძინებითა და ღირსების შერჩენით.

პატრისტიკული ტრადიცია ამ პარადოქსს ასე განმარტავს:

წმინდა ათანასე დიდი ხაზს უსვამს, რომ ქრისტეს მსაჯულობა არა დამნაშავეთა დასჯა, არამედ სამართლიანობის აღსრულებაა „იმათადმი, ვინც სიყვარულით ზრუნავდა მშიერ-მწყურვალზე" („ღვთის სიტყვის განკაცების შესახებ" / De Incarnatione Verbi Dei, PG 25, 192).

წმინდა მაქსიმე აღმსარებელი გვასწავლის, რომ უფლის სამსჯავრო იმით არის გამორჩეული, რომ იგი „სულიერი სნეულების თვითკურნების სამსჯავროა, სადაც მსაჯული თავისი საყვარელი მკურნალი ხელით განკურნავს მოყვასს" (Ambigua, PG 91, 1069).

აღსანიშნავია, რომ სამსჯავროს ამგვარ ხედვას თანამედროვე მართლმადიდებელი თეოლოგებიც იზიარებენ. მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი აღნიშნავს, რომ ქრისტეს მსაჯულობა არის „სასამართლო სიხარული და სიყვარულის განსაზღვრა, რომელიც მიმართულია მოყვასის საჭიროების გათვალისწინებით". (შდრ. Being as Communion, 177). ეს სასარგებლოა იმის აღქმისთვის, რომ მართლმადიდებლური ესქატოლოგია არა შიშისა და სასჯელის, არამედ განმათავისუფლებელი მადლიერების სწავლებაა.

ამ ქრისტოლოგიურ პარადოქსში ვხედავთ სრულყოფილ ერთობას — ღვთაებრივი მეფობა და სამსჯავროს ძალა მთლიანდება სიყვარულისა და სიბრალულის გამოვლინებებში, რომელიც ხორციელდება და არსებით მნიშვნელობას იძენს კაცობრიობის „მცირე ძმებში", ანუ ადამიანთა შორის უძლურებში, მშიერ-მწყურვალებსა და ტანჯულებში. აქ ვხედავთ საღვთისმეტყველო სიღრმეს, სადაც სამსჯავრო წარმოგვიდგება არა როგორც მრისხანე განკითხვა, არამედ როგორც მოწყალე მეფის სიყვარული, რომელმაც თავისი არსით შეიყვარა და გამოარჩია თავისი შვილები.

სიყვარულის ესქატოლოგიური კრიტერიუმი (მათე 25:34–36) და მისი ეკლესიოლოგიური მნიშვნელობა

მათეს ოცდამეხუთე თავში მოცემული სამსჯავროს სცენის უდიდესი მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო მსაჯულობით, არამედ სიყვარულის აქტის, როგორც საბოლოო მსჯავრის კრიტერიუმის, აღიარებით. ქრისტე, როგორც „მეფე", უყურებს კაცთა საქციელს არა მხოლოდ პიროვნულ, არამედ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობისა და მოყვასისადმი სიყვარულის თვალსაზრისით.

1. სიყვარულის კრიტერიუმის შინაარსი

„მწყუროდა და მასვით, უცხო ვიყავი და მიმიღეთ, შიშველი ვიყავი და შემმოსეთ,

სნეული ვიყავი და მინახულეთ, საპყრობილეში ვიყავი და მომაკითხეთ“ (მთ. 25:35-36) — ეს არ არის მხოლოდ ბრძნული რჩევა, არამედ ამაღლებული სამართლიანობისა და ღვთაებრივ სასუფეველში შესვლის პირობა, რომელიც სასუფევლის „კარის გასაღებად“ არის მოცემული.

წმინდა გრიგოლ ნოსელი განმარტავს, რომ ამ კრიტერიუმში ქრისტე წარმოადგენს მოწყალების პრაქტიკულ რეალიზაციას — ანუ სიყვარული არა მარტო თეორიული, არამედ ქცევითი პასუხისმგებლობაა, რომელიც ეკლესიის მოწოდებას გამოხატავს: „ეს არა უბრალოდ საყვედურია, არამედ კეთილი საქმეების დომინანტური პირობაა, რომელსაც მხოლოდ მორწმუნე შეიძლება განიცდიდეს“ (Oratio 37, PG 35, 853-854).

2. ეკლესიოლოგიური და სოციოეთიკური განზომილება

ამ ტექსტში შეგვიძლია დავინახოთ არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ ეკლესიოლოგიური განზომილება: საყოველთაო სამსჯავრო, რომლის წინაშეც ყველა ერი დგას, სინამდვილეში არის ეკლესიის მიერ წარმოჩენილი სამართლიანობის გამოკვლევა და ჭეშმარიტების განმსაზღვრელი კრიტერიუმი.

წმინდა იოანე ოქროპირი აღნიშნავს: „სიყვარული, რომელიც ქრისტეს მიერ არის განკაცებული და ეკლესიაში აღსრულებული, წარმოადგენს მართლმსაჯულების წყაროსა და არსს. ეკლესია არა მხოლოდ შეწირულთა კრებულია, არამედ მოწყალების დამადასტურებელი კრებითი სხეულია“ (PG 62, 323).

ამგვარად, მათეს სახარების 25-ე თავის 34-36-ე მუხლებში გადმოცემული სიყვარული წარმოადგენს ეკლესიის სულიერ-ეთიკურ პროგრამას, რომლის მიხედვითაც არა სარწმუნოების დოგმატები, არამედ სიყვარული განსაზღვრავს მის ნამდვილ სახეს და შინაარსს.

3. თანამედროვე კონტექსტი და გამოწვევები

დღევანდელ სამყაროში, სადაც დეგრადაცია, სოციალური უთანასწორობა და ემპათიის ნაკლებობა მძვინვარებს, ამ ტექსტის ესქატოლოგიური პათოსი იძლევა სწორ და ღვთივკურთხეულ პასუხს.

წმინდა მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი ასკვნის: „საყოველთაო სამსჯავრო წარმოაჩენს, რომ ქრისტიანული სიყვარული არა თეორიული დოქტრინა, არამედ სულიერი და სოციალურ პასუხისმგებლობაა, რომელიც ეკლესიის ყოფიერების არსსა და მის მისიონერულ ამოცანას განსაზღვრავს“ (თეოლოგიური ნაშრომები 2015, 98).

სამსჯავროს მარცხნივ მდგომთა დაგმობა და სჯულის სიღრმეები (მათე 25:41-46)

თხები, რომლებიც მარცხნივ აღმოჩნდნენ, წარმოადგენენ არა მხოლოდ ქმედების ნაკლებობის სიმბოლოს, არამედ სიყვარულის უქონლობის მტკიცებულებას, რაც მათე მახარებლის მიერ გადმოცემულ სამსჯავროს სცენაში არამარტო სარწმუნოების გაუმჟღავნებლობას, არამედ ქრისტიანული ცხოვრების სრულ სიცარიელეს ავლენს.

„მაშინ ეტყვის მათაც, მარცხნივ მდგომთ: განეშორეთ ჩემგან, წყეულნო, მარადიულ ცეცხლში, რომელიც გამზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვის... რადგან მწყუროდა და არ მასვით...“ (მათე 25:41-42)

ეს სიტყვები არის ღვთაებრივი სამართლიანობის ფორმულირება, რომელშიც ღვთის საბოლოო გადაწყვეტილება იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მკითხველი ხე-

დავს არა მხოლოდ განკითხვის სიმკაცრეს, არამედ ღვთის გულისტკივილს უმოქმედობის მიმართ.

1. სიყვარულის მიტოვება და არარაობის კრიტერიუმი

მარცხნივ მდგომთა სარჩელი შესანიშნავად ასახავს ერთ თვალსაჩინო კონსტატაციას: მათ არ ჩაუდენიათ ბოროტება, მაგრამ არ უქმნიათ სიკეთე, რაც ქრისტიანულ ეთიკაში ყველაზე მძაფრად იკითხება. თავად ის ფაქტი, რომ მათ უკვირთ უფლის სიტყვები, ამხელს მათ გონებრივ წყვდიადს: „როდის გიხილეთ მშიერი, ან მწყურვალი, ან უცხო, ან შიშველი, ან სნეული, ან საპყრობილეში და არ გემსახურეთ?“ (მათე 25:44)

აქ ვლინდება სულიერი უგრძნობლობა — მდგომარეობა, როცა ადამიანი აღარ არის უბრალოდ ცოდვილი, არამედ აღარ იცის, რა არის ჭეშმარიტება, სიყვარული და პასუხისმგებლობა. სწორედ ამას უწოდებს წმინდა კიპრიანე კართაგენელი„ბნელ სინიდისს, რომელიც სინათლეს ვერ იტევს, რადგან არ ილტვის შიგნით ნათლისაკენ“ (De opere et eleemosynis, PL 4, 663C).

2. სამსჯავროს განტოლება სიყვარულზე

ამ ქვეთავში ჩანს, რომ ქრისტეს სამსჯავრო არ განისაზღვრება დოგმატური ცოდნის საფუძველზე, არამედ არის განკითხვა სიყვარულის მიხედვით, როგორც იოანე ასწავლის: „ვინც არ მოყვასობს, იგი არ იცნობს ღმერთს, რადგან ღმერთი სიყვარულია“ (1 იოენე 4:8).

ამ აზრს ავითარებს წმინდა ბასილი დიდი, როცა ამბობს: „საყოველთაო სამსჯავროს ერთადერთი გასაღები შემდეგია: თუ სხვის ტკივილს შენში აღიქვამ, შენ ხარ ქრისტესთან, ხოლო თუ სხვისი ტკივილი შენში არ იგრძნობა, უკვე შენში აღარ არის ქრისტე“ (Homilia in Psalmum 14, PG 29, 244B).

3. მარადიული განშორება და ღვთის მსჯავრის ტრაგიზმი

სიტყვები: „განეშორეთ ჩემგან...“ წარმოადგენს ყველაზე სავალალო შედეგს, რაც ადამიანის ბუნებას შეიძლება დაემართოს — ღმერთისგან განშორება. ეს არის არა შურისძიება, არამედ თავისუფლად არჩეული განდგომა ღვთის სამართლიანობისგან. როგორც წმინდა გრიგოლ ნაზიანზელი ასწავლის, ცეცხლი, რომელზეც აქ ითქმება, არის „ღვთის მადლის უკუგდება, რაც თავად იქცევა სინდისის მტკივნეულ ცეცხლად და სულიერი მარტოობის მდგომარეობად“ (Oratio 40, PG 36, 417C).

4. სჯულის სიღრმე - ეკლესიის მოწოდება ქრისტეს შესახებ

ეკლესიის მოწოდება და პასუხისმგებლობა აშკარად ცხადდება: ეკლესია არ არის მხოლოდ მრწამსის აღმსარებელთა საზოგადოება, არამედ — ქრისტეს სხეული, რომელიც სჭირდება მშიერს, მწყურვალს, უცხოს, შიშველს.

მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი იმეორებს: „სამსჯავრო, როგორც ესქატოლოგიური კატეგორია, არ არის ეკლესიისთვის მხოლოდ მომავლის მოლოდინი, არამედ მისი ყოველდღიური სამოძღვრო და ეთიკური პრაქტიკის გადამწყვეტი საზომია“ (Being as Communion, 177).

სასუფევლის ჭეშმარიტი აღქმა და სამსჯავროს პარადოქსი: სად იწყება მარადიულობა

სამსჯავროს ესქატოლოგიური ხატი, რომელიც მაცხოვრის მიერ წარმოდგენილია მათეს სახარებაში (25:31-46), ევქარისტი-

ული და საყოველთაო ცხოვრების სინთეზში იკითხება, როგორც მოწოდება: იესოს დოქსოლოგიური მოსვლა გულისხმობს არა მხოლოდ „დროის დასასრულს“, არამედ იმ ჭეშმარიტების გამოცხადებას, რომელიც ყოველ ჟამს მზად არის, რომ განხორციელდეს — სასუფეველს, რომელიც უკვე არის, მაგრამ ჯერ არ არის სრულად.

1. მარადიულობის საწყისი „აქ და ახლა“

ქრისტეს სიტყვები: „მოდით, ჩემი მამის კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ სამყაროს დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სასუფეველი“ (მათე 25:34), მოწმობს, რომ სასუფეველი არ არის მხოლოდ მომავლის რეალობა, არამედ ღვთის მარადიულ განზრახვაში დამკვიდრებული მოწვევა, რომელიც ადამიანმა უნდა შეიცნოს და შეასრულოს.

წმინდა მაქსიმე აღმსარებელი წერს: „სასუფეველი არის ღვთის ნება, რომელიც სიყვარულით მოქმედებს ქმნილებაში და ვინც ამ ნებას ყოველდღიურ ყოფაში იცნობს და აღასრულებს, უკვე ცხოვრობს მარადიულობაში“ (Ambigua 7, PG 91, 1084B).

ამგვარად, სამსჯავრო იქცევა ნიშნულად, რომელიც ადამიანისთვის მორალურ-სულიერი თვითშემეცნების ზღვარს წარმოადგენს და არა მხოლოდ მომავალ განკითხვას.

2. სამსჯავროს პარადოქსი: განკითხვისთანავე გამოცხადებული სასუფეველი

სამსჯავრო პარადოქსულია იმით, რომ ის არ განიხილავს რწმენის სიტყვიერ დადასტურებას, არამედ მხოლოდ სიყვარულის რეალობას. ე.ი. ქრისტე არ ჰკითხავს ადამიანს რწმენის ფორმულას, არამედ მხოლოდ ერთს: იცხოვრე სიყვარულით?

აქ იკითხება ღვთისმეტყველური პარადოქსი: დოგმატური ჭეშმარიტება ემყარება ეთიკურ განზომილებას, ხოლო ეთიკური სიცარიელე დოგმატური განდგომაა. სიყვარულის გარეშე „სჯულიც“ კარგავს ძალას: „სჯულიც კი უძლურია, თუ ის სიყვარულით არ არის აღსრულებული,“ — ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი (In Epistolam ad Romanos, PG 60, 452).

3. სასუფეველი, როგორც ურთიერთობაში შემოსული მარადიულობა

ეკლესიოლოგიური გაგებით, სასუფეველი არის ურთიერთობის ტრინიტარული სივრცე, რომლის ნიადაგიც სიყვარულია. ვინც „უცხო მიიღო“, მან ღვთის სახე შეიცნო. ვინც „შიშველი შემოსა“, მან „ქრისტეს სხეული“ პატივით დაფარა (შდრ. 1 კორ. 12:23). ეს აღარ არის მხოლოდ ქმედება, არამედ ტრინიტარული ცხოვრებით სუნთქვა, რაც არის სასუფევლის არსი.

როგორც მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი ასწავლის: „სასუფეველი არის არა სივრცე, არამედ ყოფიერება ურთიერთობაში — ზიარება, რომელიც ღმერთშია და ადამიანებში მოქმედებს ეკლესიის მეშვეობით“ (Being as Communion, 125).

ამიტომ სამსჯავრო, თავისი ექსტრემალურობით, სწორედ ის სივრცეა, სადაც ეკლესია საკუთარ ჭეშმარიტ ბუნებას გამოავლენს — სივრცე, სადაც ზიარება და პასუხისმგებლობა ერთდროულად იძენს მარადიულ მნიშვნელობას.

შინაგანი „მსაჯული“ და თავისუფლების სული

ადამიანში მოქმედებს უხილავი ძალა — შინაგანი „მსაჯული“, რომელიც არაცნობიერად წარმართავს მის ქცევასა და მსჯა-

ვრს. ეს „მსაჯული“ ყალიბდება საზოგადოებრივი ნორმებისა და მორალური შეხედულებების თანდათანობითი შეთვისების შედეგად; ის იზრდება როგორც კეთილზნეობის, ისე უზნეობის გავლენით — სინდისისა თუ უსინდისობის, მორალისა თუ ამორალურობის სახით.

ჯერ ბავშვობაში გვეუბნებოდნენ, რომ რაღაც „არ შეიძლება“, მოგვიანებით კი ამავე სიტყვებით გვესაუბრება საზოგადოება, თუმცა უკვე სხვაგვარი ტონითა და მიზნებით. ამგვარად ჩამოყალიბებული შინაგანი ხმა, როდესაც მის დადგენილ წესს გადავუხვევთ, გვამხელს, გვაყვედრის და განგვსჯის — სინდისად ქცეული „მსაჯული“ შიგნიდან გვიტევს.

ჩნდება კითხვა: როდის არის ეს შინაგანი „მსაჯული“ ჭეშმარიტად მართალი, თუ იგი არა თავისუფლების სულით, არამედ იძულებითი აკრძალვებით არის აღზრდილი? წმინდა პავლე მოციქული ამბობს: „უფალი სულია, და სადაც უფლის სულია, იქ არის თავისუფლება“ (2 კორ. 3:17). მაშასადამე, სადაც სული თავისუფალი არ არის, იქ უფალი არ მოქმედებს. ხოლო როდესაც ჩვენი მორალური თვითშეგნება არ არის ნაყოფი მადლმოსილი ჭეშმარიტებისა, არამედ ეფუძნება მხოლოდ გარეგნულ აკრძალვებსა და საზოგადოებრივ ზეწოლას, იგი სულიერ თავისუფლებას ვერ აღძრავს.

სარწმუნოებაშიც გვემუქრება იგივე საფრთხე: როდესაც რწმენას საფუძვლად უდევს არა მადლის გამოცდილება, არამედ „არ შეიძლებას“ ლოგიკა, იგი კარგავს ქრისტესმიერი თავისუფლების სულს და გარდაიქმნება განკითხვად. ასეთ შემთხვევაში რწმენა გვიხშობს გულს შემწყნარებლობისა და მიტევებისათვის, ხოლო შინაგანი „მსაჯული“ ღრმავდება, გამკაცრდება და ჩვენივე სულიერება მის განაჩენებს ემორჩილება.

მაგრამ ქრისტიანობა „არ შეიძლებას“ რელიგია არ არის. ეს არის მაცხოვრის გზავნილი, რომელშიც ვლინდება ქრისტიანული ცნობიერების საფუძვლები — სულიერი თანაზიარობა, სიყვარული და შეწყნარება და არა მხოლოდ მორალური სისუფთავის გარე ფორმა.

სანამ ქრისტეს ამქვეყნად მოსვლის მიზეზი უცხოა თვით ქრისტიანთათვის, მანამ რწმენაც იქცევა ქრისტესგან დაცლილ რელიგიურ წესთა ერთობლიობად, რომელშიც შინაგანი „მსაჯული“ იზრდება, ხოლო მადლი მცირდება. ასეთ ვითარებაში ადამიანი ქრისტიანად იწოდება, მაგრამ ქრისტეს გარეშე ცხოვრობს.

ამიტომ ამბობს პავლე მოციქული: „თავისუფლებისათვის განგვათავისუფლა ქრისტემ; მაშ, ნუ დავდგებით კვლავ მონობის უღელში“ (გალ. 5:1). მაცხოვარმა არა მხოლოდ ცოდვისგან გვიხსნა და მარადიული სიცოცხლის ნიჭი გვიბოძა, არამედ ადამიანთა ურთიერთობის სრულიად ახალი ხედვა მოიტანა ერთობისა და თანასწორობის საფუძველზე: „თქვენ ყველანი ერთნი ხართ ქრისტე იესოში“ (გალ. 3:28).

ქრისტიანობა არ არის წესების მორჩილებით შეზღუდული მორალური სისტემა, არამედ ღვთის სულით აღსავსე სულიერი თავისუფლებაა. აქ სინდისი უკვე არა მორალურ ინსტანციად, არამედ მადლით განათებულ სულიერ გრძნობად იქცევა, რომელსაც არა ადამიანური განკითხვა, არამედ ღვთიური ნათელი წარმართავს.

●

და ბოლოს, მათეს სახარების ოცდამეხუთე თავის 31-36-ე მუხლები წარმოადგენს ქრისტიანული ანთროპოლოგიისა და ეკლესიოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტექსტს, რომელიც გამოკვეთილად აჩვენებს, რომ ადამიანური ყოფიე-

რება ფასდება არა მხოლოდ რწმენის აღსარებით, არამედ სიყვარულით ნასაზრდოები ურთიერთობით.

ეკლესია, როგორც ხატი სამსჯავროსი და ზიარების სხეული, მოწოდებულია, იმოქმედოს ამქვეყნად ისე, თითქოს უკვე დგას მის წინაშე მარადიული ჭეშმარიტება — ქრისტე, რომელიც შიმშილობს, მოწყურებულია, შიშველია და უცხოა.

ეკლესიის მოწოდება და პასუხისმგებლობა აშკარად ცხადდება: ეკლესია არ არის მხოლოდ მრწამსის აღმსარებელთა საზოგადოება, არამედ — ქრისტეს სხეული, რომელიც სჭირდება მშიერს, მწყურვალს, უცხოს, შიშველს

ARCHIMANDRITE ILIA JINJOLAVA

როგორ გავიგოთ მათეს სახარების 25:31-46 მუხლები

ძველი ტექსტის - იესო ქრისტეს სიტყვების აქტუალობა

ილუმენი ეფრემ ღომიძე

საშინელი სამსჯავროსა და საყოველთაო განკითხვის შესახებ იესო ქრისტეს სიტყვების (მათე 25:31-46) მოხმობით დღეს ადამიანებს სურთ დაამტკიცონ, რომ პიროვნების საბოლოო გადარჩენისთვის საკმარისია მოყვასისადმი სიკეთის (სიქველე, სიყვარული, თანადგომა, ემპათია, მეგობრობა) გამოვლინება. მართლაც, მათეს სახარების მიხედვით, იესო, როგორც მწყემსი, განარჩევს ერთმანეთისგან თიკანსა და კრავს, ასე განარჩევს ადამიანებს ერთმანეთისაგან თავიანთი საქმეების მიხედვით: „მაშინ ეტყვის მეუფე მის მარჯვნივ მდგომთ: მოდით, კურთხეულნო მამაჩემის მიერ, და დაიმკვიდრეთ სასუფეველი, თქვენთვის გამზადებული ქვეყნის დასაბამიდან. რადგან მშიოდა და მომეცით საჭმელი; მწყუროდა და მასვით; უცხო ვიყავი და შემიწყნარეთ; შიშველი ვიყავი და შემმოსეთ; სნეული ვიყავი და მომხედეთ; საპყრობილეში ვიყავი და მინახულეთ. ...მაშინ ეტყვის მარცხნივ მდგომთაც: წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვისაა გამზადებული. რადგან მშიოდა და არ მომეცით საჭმელი; მწყუროდა და არ მასვით; უცხო ვიყავი და არ შემიწყნარეთ; შიშველი ვიყავი და არ შემმოსეთ; სნეული ვიყავი და არ მომხედეთ; საპყრობილეში ვიყავი და არ მინახულეთ. ...და წავლენ ესენი საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი - საუკუნო სიცოცხლეში“ (მათე 25:34-36; 41-43; 46). მაცხოვრის ამ სიტყვების მიხედვით, პიროვნების გადარჩენისთვის, მისი ცხონებისათვის ყველაზე უმოკლესი გზა მეორე ადამიანი ანუ მოყვასის სიყვარულია: ადამიანის ადამიანისადმი მსახურება, მისი უფლებების, საკუთრებისა და თავისუფლების დაცვა, რომელი სოციალური ფენის, ეთნიკური წარმომავლობისა თუ რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს იგი. ეს არის წმინდად სახარებისეულ პრინციპი. შესაბამისად იესო ქრისტეს მოციქულების მიერ დაფუძნებული ეკლესიის პირდაპირი ამოცანა და პასუხისმგებლობაა ყოველ დროში ამ პრინციპების თავიდან აღმოჩენა, გააზრება და პრაქტიკაში დამკვიდრება. თუმცა, არის კი ეს საკმარისი, რომ ადამიანმა საუკუნო სიცოცხლე დაიმკვიდროს? რა არის მსგავსი აზროვნების არსი და სად იმალება მისი ფესვი?

ფესვები ჰუმანიზმსა და ფილანთროპიაში

ადამიანის ცხოვრებისა და აზროვნების გამოცდილება გვაჩვენებს, რომ არსებობს ფილოსოფიური, სოციალური თუ სხვა მსოფლმხედველობრივი ხასიათის მქონე ახსნა-განმარტებები, რომელთა მიხედვით სამყაროს ცენტრი, ყოფიერების უმაღლესი პრინციპი და მიზანი არის თავად ადა-

მიანი, ხოლო ყველაფრის საწყისი შემოქმედი ღმერთი კი მეორეხარისხოვანია, ანდა საერთოდ გამქრალია. ვგულისხმობთ რენესანსს, რომელიც მე-14 საუკუნის იტალიაში, ხოლო შემდეგ მთელ ევროპის კონტინენტზე გავრცელდა. რენესანსული მოძღვრების ცენტრში იდგა ადამიანი. ასეთი მიდგომით შეიქმნა ჰუმანიზმის ინტელექტუალური სისტემა.[1] რენესანსულმა მსოფლაღქმამ გავლენა იქონია თეოლოგიაზეც და ეს დღემდე გრძელდება. მის მიხედვით, სამყაროსა და აზროვნების ცენტრი ხდება ადამიანი. შეიძლება ითქვას, რომ, პრაქტიკულად, ღმერთის პრიმატი ჩანაცვლდა ადამიანის პრიმატით.[2]

ჩვენს ეპოქაში ჩამოყალიბდა ხსენებული ჰუმანისტური სისტემის ახალი სახეცვლილება, რომელიც ფილანთროპიის (philanthropia) სახელითაა ცნობილი.[3] ბერძნულიდან (φιλάνθρωπος) მომდინარე სიტყვა ქართულად შეგვიძლია გავიგოთ, როგორც „კაცთმოყვარე ადამიანი“, ვინც გამოირჩევა კეთილი საქმეებით, მოწყალებითა და ქველმოქმედებით. მოწყალე ადამიანებად, ფილანთროპებად, მოიაზრებიან ის ადამიანები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საქველმოქმედო და არაკომერციულ პროექტებში. მათ მთავარ საქმიანობას წარმოადგენს სოციალურ-კარიტატიული ინიციატივების განხორციელება, რომელთა მთავარი მიზანია ადამიანის ყოფიერებისთვის უკეთესი პირობების შექმნა, სიღარიბის დაძლევა, განათლების უზრუნველყოფა და მსგავსი.

თანამედროვე საზოგადოებაში ფილანთროპია იმდენად აქტუალურ სისტემად იქცა, რომ ამ ეგიდით დაარსდა უამრავი ფონდი და ორგანიზაცია. Glanville Downe-ის მიხედვით, ეს სახელწოდება ერთ-ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდებოდა ანტიკურ ხანაში წარმართული ფილოსოფიური იდეების შეხვედრა ქრისტიანობასთან.[4] წარმართი მწერლები (თემისტიუსი, ლიბანიუსი, იმპერატორი იულიანე და სხვები), ცდილობდნენ ფილანთროპია წარმოეჩინათ, როგორც საზოგადო თუ კერძო ქცევის პრინციპი. ასეთი მიდგომით ისინი საზოგადოებას ქრისტიანული აგაპე-ს (ან აღაპე: agape: უმაღლესი საფეხურის [ასევე საღმრთო] სიყვარული) ალტერნატიულ მოდელად სთავაზობდნენ ფილანთროპიას. ამგვარად, ისინი ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ წარმართობას, როგორც ცხოვრების წესს, შეუძლია უზრუნველყოს პრინციპები, რომლებიც ისევე კარგია, როგორც ქრისტიანული პრინციპები.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ცნება (ფილანთროპია) და მისი შინაარსი ცნობილი იყო პატრისტიკული პერიოდის მამებისათვისაც.[5] აქ ჩვენთვის საინტერესოა იმ ფენომენზე ხაზგასმა, რომ უნიკალური და გამორჩეული აგაპეს სახით ქრისტიანობამ წარმართული გაგების ფილანთროპიას შესძინა უფრო ღრმა და სრულყოფილი მნიშვნელობა.[6] მაგალითად, როცა წმ. კლიმენტი ალექსანდრიელი (150-215) იყენებს ტერმინ ფილანთროპიას, ის მოიაზრებს ადამიანის სიყვარულს ღვთისადმი და ამავე დროს მეორე ადამიანისადმიც; წმ. კლიმენტის მიხედვით მხოლოდ ასე შეუძლია პიროვნებას იქცეს კაცთმოყვარედ (φιλάντρωπός).[7]

წმ. კლიმენტის გვერდით ორიგენე ალექსანდრიელი (185-254) ბერძენი ფილოსოფოსის კელსოს წინააღმდეგ ნაშრომში მრავალგზის იყენებს სიტყვა „ფილანთროპიას“ სხვადასხვა მოტივით, მათ შორის, ქრისტეს ჩვენდამი სიყვარულით განპირობებული განკაცების (φιλανθρωπίας κατάβασιν) აღსაწერადაც.[8] ეს სიტყვა ანტიკურ ხანაში მიიღეს ქრისტიანებმა და „აგაპეს“ გააზრებისას ღვთის სიყვარულისა და ადამიანთა ურთიერთსიყვარულის აღმნიშვნელ

კონოტაციას შეიცავდა. დღეს მის ტერმინოლოგიურ გაგებაში ღმერთის ადგილი აღარაა. ეს ფაქტი აგაპეს აშორებს წარმართობიდან ნამემკვიდრეევ ქრისტიანულ ფილანთროპიასთან. ქრისტიანულ ფილანთროპიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია ღვთის მიმართ ადამიანის სიყვარული, რომლის ჩანაცვლებაც მხოლოდ ფილანთროპიას არ შეუძლია.

ამგვარად, დღეისათვის მივიღეთ ამ ცნების სრულიად ახალი, ანუ ისევ წარმართული გაგების კონოტაცია, რომელიც თავისი თანამედროვე გაგებით ქრისტიანულ შინაარსს სცდება. ფილანთროპია დღეს თავისი ბუნებით მისიონერულია, მსგავსად აგაპესი, რომელიც ადრექრისტიანული ეკლესიის ისტორიაში აგრეთვე მისიონერული იყო. ერთი მხრივ, ფილანთროპია საჭირო, მნიშვნელოვანი და უალტერნატივოა, მით უმეტეს, მართლმადიდებლურ კონტექსტში, სადაც სოციალურ-კარიტატიული ინიციატივების დიდი ნაკლებობაა.[9] თუმცა მეორე მხრივ, არ უნდა დამკვიდრდეს მართლმადიდებლურ ცნობიერებაში ისეთი ტიპის ფილანთროპიის სისტემები, რომლებიც ეკლესიის მეხსიერებისთვის უცხოა და რომელი აქტივობებიც ვერტიკალური განზომილების გამორიცხვის ხარჯზე მხოლოდ მის ჰორიზონტალურ პერსპექტივას წაახალისებდა. ეს კი ხელს შეუწყობს ფილანთროპიის პირველი, ანუ წარმართული გაგების პროგრესს და საფრთხის ქვეშ დააყენებს აგაპეს, ანუ ქრისტიანულ ფილანთროპიას. ეს შეუძლებელს ხდის გავაიგივოთ წარმართობიდან ნამემკვიდრეევი აგაპე და ქრისტიანული ფილანთროპია. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე. მივდივართ შემდეგ თეზისამდე: ფილანთროპიის დღეისათვის გაბატონებული გაგება და პრაქტიკა მეტად მიმზიდველი კონცეფციაა და ამავდროულად ახალი წარმართობის საფრთხეს შეიცავს,[10] რადგან მას ქრისტიანობა წმინდა ჰორიზონტალურ-ადამიანურ დონემდე დაჰყავს. მათეს სახარების 25-ე თავის წმინდა წერილის სხვა დანარჩენი ნაწილისგან იზოლირებულად წაკითხვა კი ხელს შეუწყობდა ამ ფენომენის დამკვიდრებას.

მხოლოდ რწმენა – მარტინ ლუთერი

ეკლესიის ისტორიის მეხსიერება იცნობს ჰუმანისტური ფილანთროპიის საპირისპირო რადიკალურ მიდგომას მარტინ ლუთერის (1483-1546) ღვთისმეტყველების სახით, რომელიც სულის გადარჩენისა და ადამიანის საბოლოო ცხონებისათვის მოიაზრებს არა საქმეებს (Werkgerechtigkeit), არამედ მხოლოდ რწმენას (sola fide). ლუთერი თვლიდა, რომ ადამიანის ხსნა არა კეთილი საქმეების კეთებით, არამედ მხოლოდ გულწრფელი რწმენითაა შესაძლებელი. ამ თეზას განსამტკიცებლად იგი ეყრდნობოდა წმ. პავლე მოციქულის სიტყვებს: „რადგანაც ჩვენ ვამტკიცებთ, რომ კაცი რწმენით მართლდება, რჯულის საქმეთა მიუხედავად“ (რომაელთა 3,28). ლუთერის ამ ხედვამ წარმოშვა ახალი საღვთისმეტყველო კონცეფცია, კერძოდ მხოლოდ რწმენით (sola fide) გამართლება (Rechtfertigung).[11]

ლუთერის აზრით, ჩადენილი საქმეებით გამართლება (Werkgerechtigkeit) ნიშნავს, რომ ქველმოქმედების გზით ღვთის წინაშე შეიძლება გადაიფაროს ადამიანის დანაშაულებრივი საქციელი, ანუ, ცოდვილი, რომელიც კეთილ საქმეს აკეთებს, ღვთისგან პატიებას ღებულობს. ლუთერი უარყოფს ამ კონცეფციას. ამის გამო მან საღვთისმეტყველო დოქტრინაში მოახდინა ცვლილება. მან საქმეებით გამართლების (ხსნა) გზა შეცვალა რწმენით გამართლების (ხსნის) გზით.[12] აქედან გამომდი-

ნარე, მან იაკობის კათოლიკე ეპისტოლე პრობლემატურად მიიჩნია. ხსენებულ ეპისტოლეში რწმენა და საქმეები ერთმანეთთან არის დაკავშირებული, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ. ამავე მიზეზით ლუთერმა შეცვალა ახალი აღთქმის წიგნების თანმიმდევრობა და იაკობის ეპისტოლე (ებრაელთა მიმართ ეპისტოლესთან ერთად) ახალი აღთქმის ბოლოს განათავსა. ლუთერის მოძღვრებაში იაკობის ეპისტოლეს შესახებ ისეთ გამოთქმებსაც ვნახავთ, როგორიცაა: „ამიტომ არ მინდა, რომ ის ჩემს ბიბლიაში იყოს!"[13] „გააქრეთ იაკობი"[14]. ამის მიზეზი კი სწორედ ის იყო, რომ იაკობის ეპისტოლეს თეოლოგია არ შეესაბამებოდა ლუთერის გამართლების დოქტრინას, მან უარყო იაკობის ეპისტოლე, როგორც ღვთის სიტყვის ავტორიტეტი.[15] ლუთერის გამართლების თეოლოგია, ასე ვთქვათ, ჰუმანისტური ფილანთროპიის ანტითეზას წარმოადგენს: მხოლოდ რწმენაც საკმარისია, რადგან მის ცენტრში მხოლოდ ღმერთი და მისი მადლია და არა – ადამიანის საქმე (ქმედება).

საქმისა და რწმენის ერთობა წმ. იაკობის კათოლიკე ეპისტოლეში

ეკლესიის ისტორია, მისი ცხოვრების, დინამიკისა და აზროვნების გამოცდილება მისივე ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე და ეპოქაში გვასწავლის, რომ ადამიანის ცხონება და გადარჩენა არც მხოლოდ საქმეებითაა შესაძლებელი (ჰუმანისტური ფილანთროპია) და არც მხოლოდ რწმენით (მარტინ ლუთერი). ჯერ კიდევ უფლის სიტყვის პირველი განმმარტებლები წერენ, რომ მხოლოდ რწმენა საქმის გარეშე მკვდარია:

> „ასევე რწმენაც, საქმის გარეშე, თავისთავად მკვდარია. მაგრამ მავანი იტყვის: ‚შენა გაქვს რწმენა, მე კი მაქვს საქმე'. მიჩვენე შენი რწმენა საქმის გარეშე და მე ჩემს საქმეთაგან გიჩვენებ ჩემს რწმენას. შენ გწამს, რომ ღმერთი ერთია? კეთილი და პატიოსანი. ეშმაკებსაც სწამთ და ძრწიან კიდეც. შენ კი, ამაო კაცო, გნებავს იცოდე, რომ საქმის გარეშე რწმენა მკვდარია? განა საქმით არ გამართლდა მამაჩვენი აბრაამი, როცა თავის ძეს ისააკს მსხვერპლად სწირავდა? ხომ ხედავ, რომ რწმენა შეეწია მის საქმეს, საქმემ კი სრულყო რწმენა. და აღსრულდა წერილი, რომელიც ამბობს: ‚ერწმუნა აბრაამი ღმერთს, რაც სიმართლედ შეერაცხა' და ღვთის მეგობრად იწოდა იგი. განა საქმითვე არ გამართლდა მეძავი რახაბიც, როცა მიიღო მსტოვარი და სხვა გზით წარავლინა შინ? როგორც ხედავთ, კაცი საქმით მართლდება და არა მხოლოდ რწმენით. ვინაიდან როგორც სხეული მკვდარია სულის გარეშე, ასევე რწმენაც მკვდარია საქმის გარეშე" (იაკობი 2:17–26).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ადამიანის საბოლოო გამართლება და ცხონება დამოკიდებულია არა მხოლოდ რწმენაზე, არამედ, აგრეთვე საქმეზე, არა მხოლოდ თეორიაზე, არამედ, აგრეთვე პრაქტიკაზეც. ამ ლოგიკით მივდივართ შემდეგ სინთეზამდე, რომ ქრისტიანობაში რწმენა არასდროს არსებობს საქმეების გარეშე ან, პირიქით, ქველმოქმედება იესო ქრისტესადმი რწმენის გამოხატულებაა.

საღმრთო წერილის ჰერმენევტიკული გააზრება

ამ ფუნდამენტური საკითხების მოკლედ განხილვის შემდეგ შეგვიძლია მივუბრუნდეთ ჩვენს მთავარ თემას. რა მეთოდით და რა კრიტერიუმებით გვსურს წინამდე-

ბარე საკითხის – საშინელი სამსჯავროს (საყოველთაო განკითხვის) – გააზრება და განხილვა? გვსურს ვაჩვენოთ მათეს სახარების 25:31-46 ეს მონაკვეთი მხოლოდ ჰუმანისტურ-ფილანთროპიული პერსპექტივიდან? თუ გვსურს, რომ გავიაზროთ ის მხოლოდ რწმენის პრიმატის კვალდაკვალ? თუ არსებობს კიდევ სხვა შესაძლებლობა, რომელიც ზემოთ ხსენებულ სინთეზზე მიუთითებდა?[16] წმ. წერილის განმარტების (ἐξήγησις: exēgesis) რომელ მეთოდს უნდა დავესესხოთ?

არა მხოლოდ ამ მოცემულ კონტექსტში, არამედ ზოგადად მნიშვნელოვანია თეოლოგების შეთანხმება იმაზე, თუ რა პრინციპები და კრიტერიუმები გვსურს ავირჩიოთ, რომ საკითხი ისე იქნას განხილული, რომ, ერთი მხრივ, არ გავცდეთ თავად იესო ქრისტეს ხედვას, უწყებას, კონცეფციას ოთხთავში, და, მეორე მხრივ, არაფერი დავაკლოთ მას, ანუ საკითხი განვიხილოთ არა ფრაგმენტულ-სუბიექტურად, არამედ, შევძლოთ მისი მთლიანი რეკონსტრუქცია, რომელსაც საფუძვლად არა კონკრეტული დროის სულის კარნახი (Zeitgeist) უდევს, არამედ თავად გამოცხადების პრინციპი: ღმერთი მოქმედებს ‚დროში' და არა ‚დროის საშუალებით'.
არსებობს წმ. წერილის განმარტების, მისი ინტერპრეტაციის ანუ ჰერმენევტიკის სხვადასხვა გზა, როგორიცაა, მაგალითად, ისტორიულ-კრიტიკული მეთოდი, ინტერკულტურული ეგზეგეტიკა თუ ფემინისტური ინტერპრეტაცია. მათი ცოდნა და გამოყენება თავისთავად მნიშვნელოვანია და აუცილებელიც. მათ გვერდით არსებობს აგრეთვე მეთოდი, რომელიც ეგზეგეტიკაში კვლავ გამოიყენება დაახლოებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ამერიკაში (და შემდეგ ევროპაშიც), და „Canonical Exegesis" სახელითაა ცნობილი.[17] მას შეუძლია საკუთარ თავს კანონიკური უწოდოს, რადგან ის ცალკეულ ტექსტებს განმარტავს მთელი წმინდა წერილის კონტექსტში.[18] ანუ მის განზრახვას წარმოადგენს, წავიკითხოთ ბიბლიის ცალკეული ტექსტი არა იზოლირებულად, არამედ ერთიანი წმინდა წერილის კონტექსტში, რის საფუძველზეც ყველა ცალკეული ტექსტი სრულიად ახლებურად წარმოგვიდგება. Joseph Ratzingerისათვის ეს მეთოდი არ ცვლის და არ ანაცვლებს გონივრულ ისტორიულ-კრიტიკულ მეთოდს, პირიქით, ეს მეორე ეხმარება პირველს (კანონიკურ ეგზეგეტიკას), რის გამოც ის მნიშვნელოვნადაც კი მიიჩნევს ისტორიულ – კრიტიკულ მეთოდს. აქვე უნდა ითქვას, რომ მთლიანობაში წმ. წერილის ინტერპრეტირებისას საქმე გვაქვს ორ დიდ ჯგუფთან, ორ სხვადასხვა სკოლასთან, რომლებიც, თავის მხრივ, მე-20 საუკუნის ფენომენს წარმოადგენენ, კერძოდ: 1) ისტორიულ იესოსთან და 2) ქრისტესთან, რომელსაც რწმენის გზით ვიცნობთ. ანუ, როგორ უნდა გავიგოთ იესო ქრისტე – უნდა გავიაზროთ ის მხოლოდ ისტორიულ-კრიტიკული მეთოდის გზით, რამაც შეიძლება ქრისტე დაიყვანოს მხოლოდ ისტორიულ იესომდე, თუ უნდა გავიაზროთ ქრისტე პატრისტიკული ლოგიკის, მთლიანი ადრეული საეკლესიო ტრადიციის, ქრისტიანული რწმენის რიტორიკის კვალდაკვალ, როდესაც ერთ პიროვნებაში იესო ქრისტეს ღმერთკაცობრივი თანაზიარება წარმოადგენდა განკაცების საიდუმლოს ახსნის ცენტრალურ ხაზს.

მათე 25:31-46 -ის უკეთ გაგებისათვის

ზემოთ მოკლედ წარმოვაჩინეთ გზები, როგორ შეგვიძლია გავიგოთ წმ. წერილი. ამის კვალდაკვალ გვსურს, შევეცადოთ თავად ჩვენი დასახული მიზნის მიღწევას – მათე მახარებლის ამჯერად ჩვენთვის ყუ-

რადსაღები მონაკვეთის გააზრებას, კერძოდ, როგორ მოხდება ადამიანის განსჯა და როგორ წარიმართება საბოლოო სამსჯავროზე ადამიანის დიალოგი ღმერთთან და მისი ხვედრის განსაზღვრა. ეს კითხვები, რომლებიც თავისთავად ლეგიტიმური და მნიშვნელოვანია, მოითხოვს ასევე არაფრაგმენტულ და არასელექციურ განმარტებას. თუ საკითხს განვიხილავთ მხოლოდ ისტორიულ-კრიტიკული მეთოდის კვალდაკვალ, მაშინ უნდა ვიკითხოთ: ეკუთვნის კი ეს გამოთქმა თავად იესო ქრისტეს? იქნებ ის წარმოადგენს იესოს გამოთქმის ინტერპრეტაციას მათე მახარებლის მიერ, რომელმაც იესოს ამ სიტყვების ლიტერატურული ფიქსაცია მოახდინა, ანდა იქნებ საერთოდაც ტექსტში გვიანდელ დანამატს წარმოადგენს? ხოლო თუ ამოვალთ კანონიკური ეგზეგეზის პრინციპებიდან და შევუერთდებით ადრეული ეკლესიის იმ საერთო რწმენით გამოცდილებას და ლოგიკას, მაშინ მივიღებთ პასუხს, რომ მათე მახარებლის ეს სიტყვები ადრეული ტრადიციის წმ. წერილის განმმარტებლებს არასოდეს დაუყენებიათ ეჭვქვეშ და ასევე არ წაუკითხავთ ის წმინდა წერილის სხვა დანარჩენი ნაწილისგან იზოლირებულად, არამედ კითხულობდნენ და იაზრებდნენ ბოლო ჟამის შესახებ იესო ქრისტეს სხვა გამონათქვამებთან ერთად.

პასუხი: „ყველას, ვინც მაღიარებს კაცთა წინაშე, მეც ვაღიარებ ჩემი ზეციერი მამის წინაშე.“

მივუბრუნდეთ ისევ თავად წმ. წერილს და პატრისტიკული ლოგიკის (Canonical Exegesis) გზით გადავხედოთ სახარებებში სხვადასხვა ადგილას გადმოცემულ იესო ქრისტეს სწავლებას საშინელი სამსჯავროს, საყოველთაო განკითხვის შესახებ. გარდა მათეს სახარების 25:31-46-ის სიტყვებისა, მაცხოვარი სხვა ადგილას აგრეთვე ამბობს:

> „ყველას, ვინც მაღიარებს მე კაცთა წინაშე, მეც ვაღიარებ ჩემი ზეციერი მამის წინაშე. ხოლო ვინც უარმყოფს მე კაცთა წინაშე, მეც უარვყოფ ჩემი ზეციერი მამის წინაშე“ (მათე 10:32-33).

წმ. ლუკა მახარებლის მიხედვით, მაცხოვარი ამბობს:

> „ამასაც გეტყვით: ყველას, ვინც მაღიარებს კაცთა წინაშე, ძეც კაცისა აღიარებს ღმრთის ანგელოზთა წინაშე. ხოლო ვინც უარმყოფს კაცთა წინაშე, თავადაც უარიყოფა ღმრთის ანგელოზთა წინაშე. ყველას, ვინც იტყვის სიტყვას კაცის ძის წინააღმდეგ, მიეტევება; მაგრამ ვინც იტყვის გმობას სულის წმიდის წინააღმდეგ, არ მიეტევება“ (ლუკა 12:8-10).

წმ. მარკოზ მახარებელთან კი ვკითხულობთ:

> „რადგან ვისაც ვერცხვინები მეცა და ჩემი სიტყვებიც ამ მემრუშე და ცოდვილ მოდგმაში, ძეც კაცისა სამარცხვინოდ მიიჩნევს მას, როდესაც მოვა მამის თვისის დიდებითა და წმიდა ანგელოზთა თანხლებით“ (მარკოზი 8:38).

მაცხოვრის ამ გამონათქვამებიდან ცხადი ხდება, რომ საშინელ სამსჯავროზე კეთილი საქმეებით წარდგენა და ადამიანის გადარჩენა დაკავშირებულია აგრეთვე აღმსარებლობასთან, დაკავშირებულია ფილანთროპიიდან აგაპეზე გადასვლასთან, დაკავშირებულია საქმისა და რწმენის ერთობასთან, სადაც სიკეთისა და სიქველის გვერდით უალტერნატივო გზას წა-

რმოადგენს ღვთის რწმენა. იესო ქრისტეს აღიარება სხვა არაფერია, თუ არა მისი მიმდევრობა, მისადმი რწმენით ცხოვრება, რაც მოწმდება იმ აღთქმის აღსრულებაში, რაც მან თავისი მოციქულებისა და მათ მიერ დაფუძნებული ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის გზით გვიანდერძა. ეს კი გულისხმობს არა რომელიმე ღმერთის სიყვარულს და რწმენას, არა რომელიმე აბსტრაქტული იდეის აღიარებას, არამედ კონკრეტულის – ინკარნატორული ღმერთის დამოწმებას, ვინც იესო ქრისტეში განგვეცხადა. ამის უარყოფამ შეიძლება მიგვიყვანოს ახალ წარმართობამდე, რამაც არა მხოლოდ თავად ქრისტიანულ საზოგადოებაში, არამედ ქრისტიანულ საღვთისმეტყველო აზროვნებაშიც კი შეიძლება გაიდგას ფესვი. წმ. წერილის სხვადასხვა ადგილას ნაჩვენები იესო ქრისტეს სწავლების შეფასება საშინელი სამსჯავროს, საყოველთაო განკითხვის შესახებ ნათელს ხდის, რომ არა მხოლოდ თეზა (მარტო საქმე),[19] ანდა მხოლოდ ანტითეზა (მარტო რწმენა)[20] არის მთავარი და გადამწყვეტი პიროვნების ცხონებისათვის, არამედ ამ ორის სინთეზი: საქმისა და რწმენის ერთობა,[21] რაც გულისხმობს იესო ქრისტესადმი რწმენას (credo) და აღმსარებლობას (Confession), რომელიც საქმეში უნდა მტკიცდებოდეს. პიროვნება მხოლოდ საქმით ვერ გამართლდება, თუ ის თავის თავში და ასევე საზოგადოებაში არ აღიარებს და დაამოწმებს იესო ქრისტეს, ვინც ადამინისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამო ჯვარცმული და აღდგომილი, არის წყარო ჭეშმარიტი ჰუმანიზმისა და ჭეშმარიტი ფილანთროპიის.

---

1 უფრო მეტი ამ თემატიკის შესახებ იხ. მაგ. Alexander Lee, Humanism and Empire. The Imperial Ideal in Fourteenth-Century Italy, Oxford 2018. მოცემულ სტატიაში შეუძლებელია ცალკეული ტერმინისა და ისტორიის სიღრმისეული წარმოჩენა და მათი სისტემური განხილვა და არც არის სტატიის მთავარი მიზანი. მათი სახით ნაჩვენებია მხოლოდ კონტურები, რაც მთავარი სათქმელის უკეთეს გაგებას ემსახურება.

2 უფრო მეტი ამ თემატიკის ირგვლივ იხ. Henri de Lubac, Über Gott hinaus. Tragödie des atheistischen Humanismus (Übertr. von Eberhard Steinacker. Durchges., erg. u. mit e. Vorw. versehen von Hans Urs von Balthasar), Einsiedeln 1984; Humanismus und Christentum. Symposium „Christlicher Humanismus – Woher, Wohin, Wozu?“ (Gudrun Trausmuth / Julia Wächter [Hg.]), Regensburg 2020.

3 ცნება ფილანთროპიის წარმოშობისა და განვითარების შესახებ პირველ საუკუნეებში იხ. Glanville Downey, Philanthropia. Religion and Statecraft in the Fourth Century after Christ, In Historia: Zeitschrift für Alte Geschichte, 1955, Bd. 4, H. 2/3 (1955), 199–208. ფილანთროპიის ეკონომიკურ სისტემად ჩამოყალიბების შესახებ იხ. Wolfgang Lauterbach Michael Hartmann / Miriam Ströing (Hrsg.) Reichtum, Philanthropie und Zivilgesellschaft, Wiesbaden 2014.

4 შეად. აქ და ქვემოთ Downey, Philanthropia, 199.

5 შეად. აქ და ქვემოთ Downey, Philanthropia, 200.

6 შეად. Downey, Philanthropia, 200.

7 შეად. Clem. Alex. strom. VII, 3. პატრისტიკული პერიოდის მამების სახელებისა და ნაშრომების შემოკლებები იხ. Lexikon für Theologie und Kirche. Abkürzungsverzeichnis, Freiburg u.a. 1993.

8 იხ. მაგ. Orig. Cels. I,67: „Καὶ ἔτι γε τὸ ὄνομα τοῦ Ἰησοῦ ἐκστάσεις μὲν διανοίας ἀνθρώπων ἀφίστησι καὶ δαίμονας ἤδη δὲ καὶ νόσους, ἐμποιεῖ δὲ θαυμασίαν τινὰ πρᾳότητα καὶ καταστολὴν τοῦ ἤθους καὶ φιλανθρωπίαν καὶ χρηστότητα καὶ ἡμερότητα ἐν τοῖς μὴ διὰ τὰ βιωτικὰ ἤ τινας χρείας ἀνθρωπικὰς ὑποκριναμένοις ἀλλὰ παραδεξαμένοις γνησίως τὸν περὶ θεοῦ καὶ Χριστοῦ καὶ τῆς ἐσομένης κρίσεως λόγον;“ Orig. Cels. IV, 17: „Εἶδε δ᾽ ἂν καὶ μίαν ἐξαίρετον ἀπὸ πολλῆς φιλανθρωπίας κατάβασιν ὑπὲρ τοῦ ἐπιστρέψαι τά, ὡς ἡ θεία ὠνόμασε μυστικῶς γραφή, «ἀπολωλότα πρόβατα οἴκου Ἰσραήλ», καὶ καταβάντα ἀπὸ τῶν ὁρῶν πρὸς ἃ ὁ ποιμὴν ἕν τισι παραβολαῖς καταβεβηκέναι λέγεται, καταλιπὼν ἐν τοῖς ὄρεσι τὰ μὴ ἐσφαλμένα.“ უფრო მეტი φιλανθρωπία-ს შესახებ პატრისტიკულ ტრადიციაში, თუ ის რომელ მამასთან რა გაგებით გამოიყენება, იხ. Lampe, Geoffrey W. H., A Patristic Greek Lexicon, Oxford 131997, 1475-1476.

9 მაგალითად, იგივე მართლმადიდებლური მონასტრები და მათი აქტიურობა უფრო რიტუალურ-ლიტურგიულია, ვიდრე სოციალურ-კარიტატიული. არათუ თავად ეს ფენომენი, არამედ მართლმადიდებლური ბერმონაზვნობის შესახებ სოციოლოგიური ანალიზიც კი აკადემიური კვლევის ხელშეუხებელ სფეროდ რჩებოდა მე-20 საუკუნეში, რაც ჯერ კიდევ 1962 წელს ბერძენმა რელიგიის სოციოლოგმა და ფილოსოფოსმა დემოსთენეს სავრამისმა (1925-1990) თავის სადისერტაციო ნაშრომში დაასკვნა (იხ. Demosthenes Savramis, Zur Soziologie des byzantinischen Mönchtums, Leiden, Köln 1962).

10 ახალი წარმართობის შესახებ დასავლურ ქრისტიანულ კონტექსტში იხ. Joseph Ratzinger, Die neuen Heiden, in: Joseph Ratzinger, Gesammelte Schriften. Band 8/2, Freiburg, Basel, Wien 2010, 1143–1158.

11 ამ თემატიკის ირგვლივ იხ. Paul Althaus, Die Theologie Martin Luthers, Güthersloh 1963 (მეორე გადამუშავებული გამოცემა); აგრეთვე: Robert Kolb, Martin Luther: Confessor of the Faith, Oxford, New York 2009 და აგრეთვე: Todd R. Hains / Robert Kolb, Martin Luther and the Rule of Faith. Reading God's Word for God's People, Paris 2022. წინამდებარე სტატიაში შეუძლებელია ლუთერის ამ კონცეფციის საფუძვლიანი განხილვა.

12 შეად. Althaus, Die Theologie Martin Luthers, 111-112.

13 მარტინ ლუთერი, ციტატა Althaus, Die Theologie Martin Luthers, 82 მიხედვით.

14 მარტინ ლუთერი, ციტატა Althaus, Die Theologie Martin Luthers, 79 მიხედვით.

15 შეად. Althaus, Die Theologie Martin Luthers, 79.

16 იხ. ზემოთ ქვეთავი: 4.

17 ამ საკითხის შესახებ იხ. Chen Xun-ის კვლევა: Theological Exegesis in the Canonical Context: Brevard Springs Childs' Methodology of Biblical Theology (Studies in Biblical Literature 137), New York 2010. წმ. წერილის გააზრების ამ პრინციპებში მოიაზრება ასევე ადრეული ეკლესიის მამების კომენტარები, რასაც შუა საუკუნეების პატრისტიკული ლოგიკა შეგვიძლია ვუწოდოთ.

18 ვრცლად იხ. Joseph Ratzinger / Benedikt XVI., Jeusu von Nazareth, Freiburg, Basel, Wien 2007, 10-23.

19 იხ. ზემოთ ქვეთავი: 2.

20 იხ. ზემოთ ქვეთავი: 3.

21 იხ. ზემოთ ქვეთავი: 4.

წმ. კლიმენტი ალექსანდრიელი (150–215) იყენებს ტერმინ ფილანთროპიას, ის მოიაზრებს ადამიანის სიყვარულს ღვთისადმი და ამავე დროს მეორე ადამიანისადმიც; წმ. კლიმენტის მიხედვით მხოლოდ ასე შეუძლია პიროვნებას იქცეს კაცთმოყვარედ (φιλάντρωπός). წმ. კლიმენტის გვერდით ორიგენე ალექსანდრიელი (185–254) ბერძენი ფილოსოფოსის კელსოს წინააღმდეგ ნაშრომში მრავალგზის იყენებს სიტყვა „ფილანთროპიას“ სხვადასხვა მოტივით, მათ შორის, ქრისტეს ჩვენდამი სიყვარულით განპირობებული განკაცების (φιλανθρωπίας κατάβασιν) აღსაწერადაც. ეს სიტყვა ანტიკურ ხანაში მიიღეს ქრისტიანებმა და „აგაპეს“ გააზრებისას ღვთის სიყვარულისა და ადამიანთა ურთიერთსიყვარულის აღმნიშვნელ კონოტაციას შეიცავდა. დღეს მის ტერმინოლოგიურ გაგებაში ღმერთის ადგილი აღარაა. ეს ფაქტი აგაპეს აშორებს წარმართობიდან ნამემკვიდრევ ქრისტიანულ ფილანთროპიასთან. ქრისტიანულ ფილანთროპიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია ღვთის მიმართ ადამიანის სიყვარული, რომლის ჩანაცვლებაც მხოლოდ ფილანთროპიას არ შეუძლია

ილუმენი ეფრემ ღომიძე

ღმერთის დანახვის უბრალოება

დეკანოზი მიქაელ გალდავა

„ღმერთი არასოდეს არავის უნახავს“, – მოწმობს ახალი აღთქმა (იოანე 1:18). „...არ ძალუძს ადამიანს, მიხილოს...“ – ეუბნება უფალი მოსეს ძველ აღთქმაში (გამოსლ. 33:20). თუმცა იგივე ღმერთი მაუწყებლობს, რომ მოსე ჭვრეტს უფლის სახეს, აშკარად და არა – გადატანითი მნიშვნელობით, ანუ ხედავს მას. ერთი შეხედვით აქ (და, ზოგადად, არა მხოლოდ აქ, არამედ ხშირად ბიბლიურ მოცემულობაში) აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. საქმე ის გახლავთ, რომ წმინდა წერილში არ მოიძევება ურთიერთგამომრიცხავი, ურთიერთსაწინააღმდეგო ორი აზრი, არამედ არსებობს ერთი ჭეშმარიტების სხვადასხვა ასპექტი, რომელსაც წარმოაჩენს და გვითვალისწინებს ესა თუ ის კონკრეტული კონტექსტი. როცა ვამბობთ, რომ ვიღაცამ იხილა ღმერთი, ეს ითქმის მხოლოდ გარკვეული აზრით: ადამიანს ენიჭება მადლი (მაგ., მოსე წინასწარმეტყველს) და ხედავს ღმერთის დიდებას, მაგრამ – გარკვეულწილად, ხედავს იმ ზომით, რა ზომითაც უშვებს უფალი მის ხილვას. მაგრამ შეუძლებელია, ადამიანი სრულად ხედავდეს იმ ერთადერთს, „რომელსაც უპყრია უკვდავება, მკვიდრობს მიუწვდომელ ნათელში, რომელიც არავის უხილავს ადამიანთაგან და არც ძალუძს მისი ხილვა“ (1 ტიმ. 6:16).

ეს „დაუნახაობა“, უხილველობა ცხადყოფს ადამიანის უძლურებას. მან არაფერი იცის, თუ არ გაუცხადეს, და უცხადებდა კიდეც უფალი კაცობრიობას გამოცხადებითი თუ ბუნებითი რჯულით. ღმერთი არავის უნახავს, ამბობს წმ. იოანე მახარებელი, მაგრამ ეს ფრაზა შინაარსობრივად აქ არ სრულდება: „მხოლოდშობილმა ძემ, მამის წიაღში მყოფმა, გააცხადა“ (იოანე 1:18).

რა გაგვიცხადა განკაცებულმა ძე ღმერთმა, რომელიც მამა ღმერთის ერთარსია და ხედავს მას? მრავალი რამ. და ეს სიმრავლე შემოუკრიბა მხოლოდ ერთს: სიკვდილს მიცემული ადამიანის გადარჩენას, მის გამოხსნას. ის არის გზა და ის არის ჭეშმარიტება და ვერავინ მივა მამასთან მის გარეშე. ვინც ნახა ძე, მან ნახა მამა. ვისაც ეს არ სწამს, მაშინ იხილონ მის მიერ აღსრულებული საქმეები და საქმეებისა მაინც ირწმუნონ (იოანე 14:9-10). საქმეები კი აღურაცხელია: განრღვეულთა და ეშმაკეულთა კურნება, ბრმათა თვალების აღხილვა, კეთროვანთა განწმენდა, მრუშთა და მეძავთა შეწყალება, მექრთამეთა და მომხვეჭელთა სინდისის გამოღვიძება, სულიერ-ზნეობრივად მთვლემარეთა გამოფხიზლება, განუწყვეტელი სწავლება მარადიული ღირებულებებისა, სიყვარულის ქადაგება, მკვდართა აღდგინება, ყველა ის ქმედება, რომელიც, დაწვრილებით რომ დაწერილიყო, ქვეყანაც კი ვერ დაიტევდა (იოანე 21:25).

ადამიანმა უკვე უკეთ იცის, რა უნდა მოიმოქმედოს, რომ იყოს ადამიანი. ერთ დროს არაფრიდან ყოფიერებაში შემოყვანილი, მარადიული სიხარულისათვის მოწოდებული, შემდგომ – ცთომილებით თავგზა-

დაკარგული და უფლის მიერ კვლავ გამართული იძულებულია, თავს შეახსენოს, საიდან მოსული ახლა სად არის და სად მიდის. ადამიანმა ნახა ღმერთი და, რადგან ნახა, მის შესახებ მეტი იცის. ეს ცოდნა აძლევს იმის საშუალებას, რომ მეტი იცოდეს საკუთარ თავზეც, რაც, პირველ ყოვლისა, ერთს მაუწყებლობს: ზეცაში მკვიდრ ღმერთს ამქვეყნად ფიზიკურად ვერ შეხვდები, თაყვანს ვერ სცემ, ვერ მოემსახურები, ტაბლას ვერ დაუგებ, ფეხებს ვერ დაბან. გრჩება ერთი რამ: უხილავს მადლობა შესწირო, ევედრო, მის გამომსახველ სიწმინდეებს პატივი სცე, მაგრამ არც ერთი აქ ჩამოთვლილი სათნოება, თავისთავად, არ იმეტყველებს შენს რეალურ, რელიგიურ, მლოცველის პორტრეტის მიღმა არსებულ ადამიანობაზე, მით უფრო, სარწმუნოებაზე, რადგან ღმერთის არსებობა სჯერათ და სწამთ დაცემულ ანგელოზებსაც და ძრწიან კიდეც უფლის წინაშე (იაკ. 2:19), მაგრამ კეთილად როდი მოქმედებენ. ასე რომ, ადამიანებსა და დაცემულ ანგელოზებს ასხვავებთ არა რწმენითი, არამედ პრაქტიკული, საქმითი სივრცე. კარგია რწმენა, მაგრამ იგივე რწმენა, რომელსაც ძალუძს „ღვთის მეგობრად“ სახელდოს ადამიანი (იქ. 2:23. შდრ.:დაბ. 15:6; 2 ნეშტ. 20:7; ეს. 41:8; რომ. 4:3; გალ. 3:6) სრულიად უსარგებლოა კეთილი საქმეების გარეშე. როგორც სხეული სულის გარეშე მკვდარია, ასევე სარწმუნოება მკვდარი გახლავთ საქმეების გარეშე (იქ. 2:26).

რა თქმა უნდა, ლოცვა-ვედრება და უფლის დიდებისმეტყველებაც საქმე გახლავთ, მაგრამ ის მოყვასის მსახურების გარეშე ყოველგვარ აზრს მოკლებულია, რადგან ღვთისადმი მსახურება, უპირველესად, ადამიანისადმი მსახურებით განისაზღვრება.

> „თუ ვინმე ამბობს, რომ ღმერთი მიყვარსო, თავისი ძმა კი ეჯავრება, იგი ცრუა, ვინაიდან ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა ეყვარება ღმერთი, რომელსაც ვერ ხედავს? ...ღვთის მოყვარულს თავისი ძმაც უნდა უყვარდეს“ (1 იოან. 4:20-21).

ამგვარად, „...ვისაც თავისი ძმა სძულს, ბნელში დადის და არ იცის, საით მიდის, ვინაიდან სიბნელემ დაუბრმავა თვალები“ (იქ. 2:11).

სიყვარული ყოველთვის გულისხმობს მსახურებას. სხვაგვარად მისი რეალიზება შეუძლებელია. ზემოხსენებული „ძმა“ ჩვენი მოყვასია, „სხვა“ ადამიანი. მისდამი მსახურება ღმერთის მსახურებას ცხადყოფს. გარდა ამისა, ამგვარი მსახურებით, რეალურად, ჩვენსავე თავს ვემსახურებით. ვიღვწით სხვისთვის და მოვიპოვებთ საკუთარ თავს; ვშორდებით ჩვენეულ საზღვრებს და ვბრუნდებით ჩვენსავ წიაღში; გავცემთ და შეგვეძინება. ეს მოპოვება-დაბრუნება-შეძენა არ განეკუთვნება მხოლოდ ესქატას, სამყაროს დასასრულს და ახალი სამყაროს დასაწყისს, მარადისობის ფენომენს, არამედ ამქვეყნადაც ცხადდება იგი, გარკვეულწილად, და ეს, უმთავრესად, ადამიანებში სულიერ სიხარულად ვლინდება.

საბოლოო სამსჯავროზე ყველას, მთელ კაცობრიობას, მართალსაც და ცრუსაც, ერთი გულწრფელი კითხვა დაებადება: უფალო, როდის გნახეთ შენ? (მათე 25:37). სახარებაში პირველად გაჟღერებული ეს შეკითხვა მართლებს ეკუთვნით, რომლებმაც არ იციან, რომ მართლები არიან და რომლებსაც უკვირთ ეს სიმართლე და გამართლება, რადგან არასოდეს ყურადღება არ მიუქცევიათ იმისათვის, რომ ოდესღაც აღსრულებული მათი კეთილი საქმეები რაღაც განსაკუთრებული იყო. მათ ჰქონდათ ის შინაგანი კულტურა, რომელიც სიჩუმითა და რიდით გამოვლენილ სათნო-

ებებს გულისხმობს, რომლის შესახებაც ამბობს უფალი: „...როცა შეასრულებთ ყველაფერს, რაც ნაბრძანები გქონდათ, თქვით: უბრალო მონები ვართ, რადგან გავაკეთეთ ის, რაც უნდა გაგვეკეთებინა“.

მართალთა, ეს შეკითხვა (როდის გნახეთ, უფალო?) მათი შეწყალების, გამართლების, საზღაურის უწყებას მოსდევს, რადგან მათ დააპურეს და დაარწყულეს მშიერ-მწყურვალი, ისტუმრეს უცხო, შემოსეს შიშველი, მიხედეს სნეულს, მოინახულეს პატიმარი. მათ არ უფიქრიათ, რომ ყოველი მათგანი ღმერთი იყო, ან ყოველ მათგანში იყო ღმერთი. ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ ამ სიკეთეებს, როგორც ადამიანი არ აქცევს ყურადღებას სუნთქვას, რომელიც მისივე სიცოცხლის უცილობელი და უპირველესი დასტურია. მართალთა გაკვირვება რეალურია და, როგორც ვამბობდით, გულწრფელი. საბოლოოდ კი, შეჭირვებულთა მსახურება ღმერთის მსახურება აღმოჩნდა, რამაც გაკვალა გზა უფლის წიაღისაკენ.

ასეთივე გულწრფელი შეკითხვა ებადებათ ცრუთაც. მათ არასოდეს უნახავთ უფალი, ვერავინ უსაყვედურებს მათ, რომ ვერ იცნეს იგი. არსად შეუმჩნევიათ მშიერ-მწყურვალი, შიშველი, უცხო, სნეული და პატიმარი ღმერთი, თორემ, რომ ენახათ, რა თქმა უნდა, მსახურებასა და პატივისცემას არ დააკლებდნენ. ასე ფიქრობდნენ და ფიქრობენ ისინი, შეცბუნებულები, რომ ამგვარი მცირე გაუგებრობის გამო კარგავენ სასუფეველს. შეჭირვებულთა „დაუნახაობამ“ ღმერთის დაუნახაობა განაპირობა. დრო, რომელიც სიბრმავეში გაილია, ვერასოდეს მობრუნდება უკან, „ავი“ „კარგად“ ვერ შეიცვლება, ფიზიკურად, დროსა და სივრცეში, ხელახლა ვერავინ დაიბადება (რუსთველი).

არავის უნახავს ღმერთი. ამას ადამიანთა მოდგმის კითხვა ადასტურებს (როდის გნახეთ, უფალო?). შეკითხვა ერთნაირია, ყოველ შემთხვევაში, ფორმობრივად. მაგრამ აქ თავს იჩენს მისი შინაარსობრივი, ცხოვრებისეული წარმომავლობა. მართლები ღმერთს არ ეძებდნენ და ნახეს. ცრუნი, პირუკუ, ღმერთს ეძებდნენ და ვერ ნახეს. პირველთ, სიცოცხლეშივე რომ ენახათ, მათში არც არაფერი შეიცვლებოდა, რადგან ასეთია მათი ცხოვრების წესი. ღმერთთან ახლომყოფობისთვის, გარკვეული აზრით, სულაც არ გახლავთ აუცილებელი, ხორციელ სიკვდილს ელოდო.

კაცთა მოდგმის მეორე ნაწილს კი, ფიზიკურად რომც ენახა უფალი, მაინც ვერ შეიცნობდა მას. ღმერთის ხორციელად დანახვით არც მათში შეიცვლებოდა რაიმე, რადგან ადამიანისადმი გაქვავებული გული ღვთის მიმართ ვერ მორბილდება. ამ მხრივ, საყურადღებოა მდიდრისა და ლაზარეს იგავი, სადაც თავის სიცოცხლეში უფლის ვერდამნახავი მდიდარი მამამთავარ აბრაამს სთხოვს, მკვდრეთით აღმდგარი ლაზარე მიუვლინოს სახლში, რათა მისმა ხუთმა ძმამ უფლის დაუნახაობით იგივე სატანჯველი არ დაიმკვიდროს, რა სატანჯველშიც თვითონ იმყოფება. მდიდრის აზრით, მკვდრეთით აღმდგარი ადამიანის ნახვას შეუძლია, შეცვალოს ცხოვრების წესი. აბრაამის პასუხი ასეთია, რომ ცოცხლებმა უნდა უსმინონ უფლის წმინდა ადამიანებს (ამ შემთხვევაში, მოსეს და წინასწარმეტყველებს), და, თუკი მათ სიტყვებს არ მოუსმენენ, არც მკვდრეთით აღმდგარის სიტყვებს ირწმუნებენ (ლუკა 16:19–31).

ასე რომ, ხილული სასწაული არ გახლავთ ღმერთის დანახვის უპირობო გარანტი. სიცოცხლის წიგნი ნათლად და გარკვევით სთავაზობს კაცობრიობას უფლის ხილვის სრულიად უბრალო წესებს: მოწყალე გული, სუფთა სინდისი, სიმდაბლე, თანაგრძნობა, სიყვარული, პატივისცემა და ყურადღება ადამიანებისადმი. და არა მხო-

ლოდ ადამიანებისადმი, არამედ მთელი სამყაროსადმი, რადგან ყველაფერი, რაც ჩვენ გარშემოა, ზუსტად ის ფენომენია, რომლის მიმართ დამოკიდებულებით მივაბიჯებთ დროდან ზედროულობისაკენ, ჩინებულობიდან რჩეულობისაკენ.

მაგრამ ღმერთის დანახვას დიდი სიმამაცე სჭირდება, რაც, უპირველესად, გულისხმობს გამუდმებულ თვითშეწირვას, საკუთარი თავის იძულებას, ქვენა-მე-ს შეძვრას, გარკვეულ დისკომფორტს. ყოველთვის არ არის იოლი, შეჭირვებულ ადამიანს რომც ვხედავდეთ, საკუთარი გემრიელი ლუკმის დათმობა, გაცემა იმ ტანსაცმლისა, რაც ძალზე გვიხდებოდა, სნეულთა მონახულება, როცა, მით უმეტეს, დიდია საფრთხე, ამ დროს, თავად დავსნეულდეთ. არ არის იოლი კილომეტრების გავლა და საპყრობილეში პატიმრის მონახულება, არც სტუმრის წრფელი ღიმილით მიღება, როცა გადაღლილი და მრავალი ცხოვრებისეული წვრილმანით გულშეღონებული ხარ. და სწორედ ასეთი შეწუხებების ფონზე ეძიებს პატიოსანი ადამიანი, ერთი შეხედვით, სადღაც შორს გადაკარგულ სიმამაცეს და ისიც მოდის, როგორც მისივე კეთილი ნების მოწმე, როგორც უფლის წყალობა, როგორც ქრისტეს გაწვდილი მარჯვენა პეტრესადმი (მათე 14:31).

ისიც უნდა ითქვას, რომ, იქნებ, ვერც ვნახოთ მშიერ-მწყურვალი, სნეული, პატიმარი. იქნებ ისე ვიცხოვროთ, რომ არც გვქონდეს, ფიზიკურად, მათი ნახვის შესაძლებლობა, მაგრამ თავსხმა წვიმაში წვიმით გალუმპულ მგზავრს, რომელმაც ხელით მანიშნა და დამგზავრება მთხოვა, მანქანა არ გავუჩერე, რადგან მეუღლესთან ერთად ვმგზავრობდი და ოჯახური მყუდროების დარღვევა არ ვისურვე, თან წვიმით დასველებული ადამიანი მანქანის სალონს შემილახავდა. ან, იქნებ, ბოროტმოქმედი იყო და ჩემი გაძარცვა ჰქონდა განზრახული. ასე რომ, მანქანა არ გავაჩერე და მე არ დავაპურე მშიერი, არ დავარწყულე მწყურვალი, არ შევმოსე შიშველი, არ შევიფარე უცხო, არ ვინახულე სნეული და არ მივედი საპატიმროში მოყვასის სანუგეშოდ. ჩვეულებრივ წვიმიან დღეს მე ჩვეულებრივ ვერ დავინახე ჩვეულებრივი ღმერთი.

რატომ არის ღმერთი მშიერ-მწყურვალში, უცხოში, სნეულში, უტანსაცმლოში, პატიმარში. განა მიატოვა ადამიანი, რომელსაც არ შია, არ სწყურია, აქვს საკუთარი სახლ-კარი, არ არის ავად, არ ჩაუდენია კანონსაწინააღმდეგო რამ და არ იმყოფება საპატიმროში? ნუთუ ბედნიერ ადამიანში არ არის ღმერთი და მათდამი ყურადღება არაფერს მოასწავებს? ჩვენ ხომ იმისათვის შევეწევით შეჭირვებულთ, რომ ისინი უკეთესად იყვნენ, იყვნენ ბედნიერები და ამგვარი უკეთ მყოფობით მაცოცხლებელი მადლიერებით აღივსონ.

რა თქმა უნდა, კურთხეულია ღმერთი, რომელსაც ყველას გადარჩენა სურს. მაგრამ ჩვენ სოფელში ვართ და არა - ზეშთასოფელში. როგორც მართალთათვის არ მოსულა ამქვეყნად უფალი, არამედ ცოდვილთათვის, ასევე, რაც „შეწევნადაა“ სახელდებული, უმთავრესად, შეჭირვებულებს სჭირდებათ იგი, რადგან რას არგებს შენი პური ადამიანს, როცა სამყოფი თავისივე აქვს, რას შესძენს შენი სამოსელი უამრავი ტანსაცმლის მქონეს?

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათ, ვისაც, ამ მხრივ არაფერი უჭირს, შესაძლოა, ჰქონდეთ სხვა საჭიროება და მათაც სჭირდებოდეთ, ამ თვალსაზრისით, სხვისი შეწევნა, სულიერი და მორალური თანადგომა და ამის დანახვაც, ბუნებრივია, ადამიანის დანახვაა, რაც, ასევე, ღმერთის დანახვამდე არის ამაღლებული. სოფელმა ადამიანი, შესაძლოა, ნებისმიერი პრობლემით გაიმეტოს, გაწიროს და ამისათვის არ

არის აუცილებელი, ვინმეს შიოდეს, სწყუროდეს, იყოს შიშველი, სნეული და პატიმარი. ასეთ განსაცდელებს უფალი ასახელებს მხოლოდ მაგალითისათვის, რაც მხოლოდ აქ ჩამოთვლილი შეჭირვებებით არ იფარგლება, ისევე, როგორც ჩვენ მიერ სახელდებული „ცხრა ნეტარება“ ნეტარებათა რეალურ რიცხვს (ცხრას) როდი მოასწავებს.

ხორციელი პრობლემები, ბუნებრივია, მძიმე უღელია. ადამიანს, ხშირ შემთხვევაში, არ ძალუძს მარტომ იტვირთოს იგი და უცილობელია მისდამი მოყვასებრივი შეხიდება. ამ თვალსაზრისით, კარგი რამ არის ინდივიდუალური და კერძო მცდელობანი, მაგრამ უდავოდ მეტი მასშტაბისაა კრებსითი დამოკიდებულება, სოციალური ინსტიტუციების არსებობა, რაც მყარ, ზნეობრივი ღირებულებებით გამართულ სისტემას გულისხმობს და, თავის მხრივ, გამორიცხავს შესაწევნელთა დაყოფას რაიმე ნიშნით, სადაც ყურადღება ყველას თანაბრად, სამართლიანად და მიუკერძოებლად სწვდება. დრომ, რომელმაც „უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები“ (გალატიონი), ადამიანს ადამიანი დაავიწყა და, რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ დავიწყების ეპოქაში კაცობრიობა დროდადრო მაინც ამზევებს მზრუნველობისეული კიდობნის სიკეთეებს.

ამასთანავე, როგორც აღვნიშნეთ, არ უნდა მიეცეს დავიწყებას ის სინამდვილეც, რომ არ არსებობს მხოლოდ ხორციელი პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ საშურველია ხორციელი განსაცდელის ჟამს თანადგომა, არსებობს უფრო დიდი ადამიანური ტკივილიც, რომლის დანახვა, გარეგნულად, პრაქტიკულად, თითქმის შეუძლებელია. ასეთია ადამიანის, როგორც შემოქმედებითი არსების დავიწყება, მისი მიტოვება, მისი მხატვრული სახის უგულებელყოფა. ეს არის „მარტოობა სულისა“, „სწორის“ დაკარგვა, რამაც, შესაძლოა, საბოლოო სასოწარკვეთამდე უბიძგოს ადამიანს. სულიერი მარტოობა, ანუ სხვისგან მიტოვებულობა გაცილებით მძიმეა, ვიდრე ობლობა, უთვისტომობა, სამშობლოსთან, მეგობრებთან და ნათესავებთან ფიზიკური სიშორე. იკარგება არსებობისთვის აუცილებელი ნდობა, რადგან ჩანს მხოლოდ აღმსარებელი და არსად – მეგობარი (ბარათაშვილი). ამგვარი ადამიანური დავიწყება, მიტოვებულობა იწვევს ღვთისაგან მიტოვების განცდას და შეგრძნებას, და ჩვენც, უნებლიეთ, მეტ, მძიმე პასუხისმგებლობას დავექვემდებარებით, რადგან ჩვენმა უყურადღებობამ ან სულიერი პრობლემებისადმი სიზარმაცემ ღვთის შემწეობისადმი არამართებული და უსამართლო აზრი გამოაჩინა.

სოფელი არ სწყალობს ადამიანს, მაგრამ მისგან გაწირულს არ გაწირავს ის ღმერთი (რუსთაველი), რომელმაც ადამიანს ადამიანისადმი მსახურებით ადამიანის შემოქმედი დაანახა.

ხილული სასწაული არ გახლავთ ღმერთის დანახვის უპირობო გარანტი. სიცოცხლის წიგნი ნათლად და გარკვევით სთავაზობს კაცობრიობას უფლის ხილვის სრულიად უბრალო წესებს: მოწყალე გული, სუფთა სინდისი, სიმდაბლე, თანაგრძნობა, სიყვარული, პატივისცემა და ყურადღება ადამიანებისადმი. და არა მხოლოდ ადამიანებისადმი, არამედ მთელი სამყაროსადმი, რადგან ყველაფერი, რაც ჩვენ გარშემოა, ზუსტად ის ფენომენია, რომლის მიმართ დამოკიდებულებით მივაბიჯებთ დროდან ზედროულობისაკენ, ჩინებულობიდან რჩეულობისაკენ

დეკანოზი მიქაელ გაღდავა

.

პასუხისმგებლობის დიფუზია:

ალბათ პოლიციაში უკვე დარეკეს...

მღვდელმონაზონი საბა კევლიშვილი

1964 წლის მარტში ნიუ-იორკში მომხდარმა მკვლელობამ მთელი ამერიკის მოსახლეობა შეძრა. 28 წლის კიტი ჯენოვეზეს (Kitty Genovese) ღამის საათებში თავს მკვლელი დაესხა, სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და გააუპატიურა. თავად დანაშაულზე უფრო მეტად საზარელი იყო ის ფაქტი, რომ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ამბავს ჰყავდა არანაკლებ 38 თვითმხილველი, რომელთაც დაინახეს და გაიგონეს რომ ახალგაზრდა ქალი შველას ითხოვდა. ზოგიერთ ბინაში სინათლეც აინთო, რამაც მკვლელი თავიდან შეაშინა, მაგრამ ის უკან მობრუნდა და დაწყებული საშინელი საქმე ბოლომდე მიიყვანა. მხოლოდ ერთმა ადამიანმა გადაწყვიტა, შეეტყობინებინა პოლიციისთვის მომხდარის შესახებ, თუმცა დაგვიანებული რეაგირების გამო მსხვერპლი ტრაგიკულად გარდაიცვალა.

ამ ამბის გასაჯაროებამ დიდი ალიაქოთი გამოიწვია მთელ ქვეყანაში, საუბრობდნენ თანამედროვე საზოგადოების გულგრილობაზე, ურბანიზაციის პრობლემებზე, უსიყვარულობაზე. ფსიქოლოგებმა გადაწყვიტეს, ამ ამბავს სერიოზულად მოჰკიდებოდნენ და დაიწყეს იმ მიზეზების კვლევა, რომლებმაც ნიუ-იორკის მცხოვრებლები ისეთ აპათიამდე მიიყვანა, რომ მათ თვალწინ მომხდარ დანაშაულს გულგრილად უყურებდნენ და არ ჩაერივნენ ახალგაზრდა ქალის გადასარჩენად.

კვლევებმა წარმოაჩინა სოციალური ფსიქოლოგიაში არსებული ფენომენი - რომელსაც პასუხისმგებლობის დიფუზიის სახელით ვიცნობთ. ეს არის ტენდენცია, როდესაც სოციუმში მყოფი ადამიანი ფიქრობს, რომ მის გასაკეთებელს „სხვა“ გააკეთებს, ან უკვე გააკეთა კიდეც. პასუხისმგებლობის დიფუზია მხოლოდ თეორიული ფსიქოლოგიის სფეროს არ განეკუთვნება, იგი თითოეულ ადამიანზე ახდენს გავლენას და განსაკუთრებით მტკივნეულია, როდესაც მას სახარების პერსპექტივიდან გავიაზრებთ. ვისი პასუხისმგებლობაა ღარიბის დახმარება, მშიერის დაპურება, პატიმრის ნუგეში? უპიროვნო, აბსტრაქტული სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციებისა თუ თითოეული ჩვენგანის, რომელნიც თავს ქრისტიანებად მივიჩნევთ?

საშინელი სამსჯავრო

მოყვასზე ზრუნვა ქრისტიანული ეთიკის ცენტრში დგას. მათეს სახარებაში, ერთ პასაჟში (მათე 25:31-46), სადაც მაცხოვარი მეორედ მოსვლის და საშინელი სამსჯავროს შესახებ გვაფრთხილებს, ხაზგასმულია იმ პიროვნულ პასუხისმგებლობაზე, რომელიც თითოეული ქრისტიანისთვის იქნება განმსაზღვრელი იმისა, თუ რომელ მხარეს აღმოჩნდება - მარჯვნივ, მათთან ერთად, ვისთვისაც მარადიული ნეტარებაა გამზადებული მამის სავანეში, თუ მარცხნივ, რომელთაც უფალი იესო ქრისტე საუკუნო სატანჯველის შესახებ აფრთხილებს.

მოციქულთა საქმეები გვაწვდის საკმარის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო სოციალური მსახურება ახალი აღთქმის ეკლესიის პირველსავე პერიოდში, როდესაც ქრისტიანობის ცენტრი ჯერ კიდევ იერუსალიმში იყო. სწორედ სოციალური მსახურებისათვის ხდება შვიდი დიაკვნის გამორჩევა (საქმ. 7), რათა მოციქულები არ დაბრკოლდნენ უპირატესის, ღვთის სიტყვის ქადაგების საქმეში. მოგვიანებით, წმ. პავლე მოციქული აგროვებს შესაწირავებს მის მიერ დაარსებულ ეკლესიებში, რათა იუდეაში მყოფ, მატერიალურად შეჭირვებულ ძმებს დაეხმაროს, რომელთაც არაერთი დევნა გადაიტანეს იუდეველთა თუ რომაელთა მხრიდან (2 კორ. 8).

ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ქრისტიანული ეთოსი არ დაიყვანება მხოლოდ ბოროტების პასიურ უარყოფამდე, არამედ იგი მოგვიწოდებს სიკეთის ქმნისკენ. საკმარისი არ არის, რომ ბოროტება არ ჩაიდინო, საჭიროა აქტიურად აღასრულებდე სიკეთეს: „მოიქეც ბოროტისაგან და ჰქმენ კეთილი“ (ფს. 33:14), გვასწავლის დავით მეფსალმუნე. მთაზე ქადაგებაში (მათე 5: 6-7) მაცხოვარი ხაზს უსვამს იმას, რომ მხოლოდ მოყვასის სიყვარული დიდი ვერაფერი საქმეა (მათე 5:46-47), რადგან ეს ბუნებრივია ნებისმიერი ადამიანისთვის, მიუხედავად რელიგიური და კულტურული განსხვავებებისა. ყველას უყვარს თავისი შვილი, და, ძმა, ნათესავი... იესო ქრისტე მიზნად გვისახავს თავის მიმდევრებს, რომ აღვემატოთ ამ ბუნებრივ მდგომარეობას, რომელსაც წარმართებიც მისდევენ და მსგავსი დამოკიდებულება გვქონდეს უცხო ადამიანის მიმართაც, რადგან საბოლოოდ ყველანი ერთი მამის შვილები ვართ.

მათეს სახარების 25-ე თავის ის მუხლები, რომლებზეც ვსაუბრობთ, კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს სხვისთვის მსახურების აუცილებლობას, მეტიც - კრიტერიუმი, რომლითაც ადამიანები განვისჯებით მეორედ მოსვლის დროს, სწორედ ეს იქნება და არა ის, თუ რამდენჯერ დავესწარით ღვთისმსახურებას, ვიყავით თუ არა აქტიური მრევლი ან რამდენად ზედმიწევნით გვესმოდა საღვთო დოგმატთა შინაარსი. წმინდა იოანე ოქროპირი წერილის ამ ადგილის განმარტებისას გამოკვეთს სიმარტივეს ამ მცნებების ასრულებისა. წმინდა მამის მიხედვით, მაცხოვარს არ დაუვალებია ჩვენთვის ავადმყოფის განკურნება ან პატიმრის განთავისუფლება, არამედ მხოლოდ მონახულება და ნუგეში მათი. მატერიალურს რაც შეეხება, იგი წერს: „და შიმშილისათვისცა არა ძნელსა რაისმე ითხოვს ანუ სანოვაგეთა სიმრავლესა, არამედ პურსა ხოლო, საჭიროსა მას და სათანადოსა საზრდელსა.“

რომაელთა მიმართ ეპისტოლეში პავლე მოციქულს შემოაქვს რწმენით გამართლების იდეა. იგი წერს: „და უსასყიდლოდ მართლდებიან მისი მადლით, ქრისტე იესოში გამოსყიდვით“ (რომ. 3:24). პროტესტანტულმა რეფორმაციამ, წმინდა წერილის ამ ადგილზე დაყრდნობით ერთგვარად უარი თქვა ადამიანის გადარჩენაში კეთილი საქმეების მნიშვნელობაზე. Sola fide (მხოლოდ რწმენით) [გამართლება] ერთ-ერთია ცნობილი ხუთი პროტესტანტული სოლადან. ეკლესიის სწავლების აპოლოგეტები ყოველთვის მიუთითებდნენ პროტესტანტული ხედვის ცალმხრივობის შესახებ, რადგან წმ. პავლე მოციქულის ამ პასაჟთან ერთად წმინდა წერილი ასევე გვასწავლის, რომ რწმენა საქმეების გარეშე მკვდარია (იაკ. 2:14-17). რატომ? ნუთუ წმინდა წერილი თავის თავს ეწინააღმდეგება? ცხადია, არა. საეკლესიო განმარტება ხაზს უსვამს იმას, რომ საჭიროა მთელი წმინდა წერილის ერთ მთლიანობაში აღქმა. ადამიანის გამართლების საქმეში ცოცხალი რწმენა (რაც

თავისთავად უპირობო მოთხოვნაა) დაკავშირებულია სწორედაც რომ კეთილ საქმეებთან, როგორც მედლის მეორე მხარე. ვერ ვიქნებით ქრისტიანები, თუ ჩვენს რწმენას შესაბამისი ნაყოფი არ გამოაქვს. ეს ნაყოფი კეთილი საქმეებია, ჩვენი საუბრის კონტექსტში კი – სოციალური მსახურება.

საუკუნეების განმავლობაში წმინდა წერილის უამრავი ერეტიკული ინტერპრეტაცია მომხდარა, თუმცა არავის არასდროს დაუყენებია ეჭვქვეშ სიკეთის ქმნა, როგორც მორალური მაქსიმა ყოველი ქრისტიანისათვის.

პასუხისმგებლობის დიფუზია

დავუბრუნდეთ იმ ამბავს, რომელიც წერილის დასაწყისში ვახსენე. ჯენოვეზეს მკვლელობამ უამრავი კითხვა გააჩინა: როგორ მოხდა, რომ 38 მოწმიდან მხოლოდ ერთმა დარეკა პოლიციაში, ისიც დაგვიანებით? როგორ მოხდა, რომ არავინ ჩავიდა ახალგაზრდა ქალის დასახმარებლად, რომელიც განწირული ითხოვდა შველას? ნუთუ მართლა ასეთი გულგრილი გახდა თანამედროვე ადამიანი სხვისი ტკივილისა და ტანჯვის მიმართ? ფსიქოლოგებმა, ბიბ ლეიტეინმა და ჯონ დარლეიმ (Bibb Latane, John Darley) ამ საკითხის საფუძვლიანი კვლევა დაიწყეს. მათ მიერ მიღებული შედეგები სოციალურ ფსიქოლოგიაში ცნობილია გამვლელის ჩარევისა (bystander intervention) და პასუხისმგებლობის დიფუზიის (diffussion of responsibility) სახელით. ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში თვითმხილველთა დიდი რაოდენობა უარყოფით კორელაციაშია მათი მხრიდან ჩარევის შესაძლებლობასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კიტი ჯენოვეზეს მკვლელობა არა შუა ქალაქში, უამრავი ადამიანის თანდასწრებით, არამედ სადმე ჩიხში, ხიდის ქვეშ ან უბრალოდ უცხო თვალისგან მოფარებულ ადგილას რომ მომხდარიყო, რომელსაც ერთი ან ორი შემთხვევითი გამვლელი დაინახავდა, ალბათობა იმისა, რომ ისინი მყისიერად შეატყობინებდნენ პოლიციას ან უშუალოდ ჩაერეოდნენ ახალგაზრდა ქალის გადასარჩენად, გაცილებით მაღალი იქნებოდა. მიზეზი მარტივია, თუ მე ერთადერთ ვარ, ვინც ვხედავ ისეთ სიტუაციას, რომელშიც მესამე პირის ჩარევა აუცილებელია, ცხადია, რომ მთელი პასუხისმგებლობა ჩემზეა, მაგრამ თუ იგივე ამბავს სხვა 50 ადამიანთან ერთად შევესწრები, მაშინ ჩარევის პასუხისმგებლობა თანაბრად ნაწილდება ყველა თვითმხილველზე, ყველა ფიქრობს, რომ ვიღაცამ უკვე დარეკა პოლიციაში და მისი ქმედება საჭირო აღარ არის.

ეს მოხდა სწორედ კიტი ჯენოვეზეს მკვლელობის ტრაგიკულ ღამეს. ქუჩიდან შემოსულ უეცარ ხმაურზე არაერთ ბინაში გაღვიძათ და შუქი აანთეს, რაც მკვლელმა შენიშნა და თავიდან გაერიდა კიდეც ადგილს (ამ დროს ქალი ჯერ მხოლოდ დაჭრილი იყო და მისი გადარჩენა შეიძლებოდა), მაგრამ სიტუაციის მთელი ცინიკურობა ისაა, რომ მკვლელის გარდა, მეზობლებმაც დაინახეს ერთმანეთის ფანჯრებში ანთებული სინათლე და იფიქრეს, რომ რადგან სხვებმაც გაიგეს, მათ ქმედებას არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა და მშვიდად გააგრძელეს ძილი.

სოციალური სახელმწიფო და სახარებისეული მოწოდება

პასუხისმგებლობის დიფუზია – ფსიქოლოგიური ფენომენი, როდესაც ადამიანი თავს არიდებს მოყვასზე ზრუნვას, შეგვიძლია სახარების შუქზე განვიხილოთ.

კაცობრიობა განვითარდა, მსოფლიოში ეკონომიკური ზრდა არნახულ მასშტაბებს

აღწევს, მიუხედავად ალაგ-ალაგ მცირე ჩავარდნებისა. გასულმა საუკუნე-ნახევარმა იდეოლოგიების ჭიდილში ჩაიარა, ფაშიზმი ცალსახად დამარცხდა, ხოლო სოციალიზმი და ლიბერალიზმი (კაპიტალიზმი) ერთმანეთთან ჭიდილში უცნაურ ჰიბრიდად გარდაისახა. გაგვიჭირდება რომელიმე ერთი ისეთი ქვეყნის მოძიება, რომელიც მთლიანად სოციალისტური ან მთლიანად კაპიტალისტურია. განვითარებული ქვეყნების დიდმა ნაწილმა ორივე იდეოლოგიის ელემენტები შეისისხლხორცა. ამგვარად მივიღეთ სისტემა, რომელშიც ეკონომიკას დიდწილად ისევ „ბაზრის უხილავი ხელი“ მართავს, ამავე დროს კი სახელმწიფოები აქტიურად არიან ჩართულნი სოციალური კეთილდღეობის შექმნასა და განმტკიცებაში.

მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში არსებობს სოციალური დახმარების პროგრამები, რომლებიც ზოგჯერ სახელმწიფოს მიერ არის ორგანიზებული, ზოგჯერ კი კერძო ფონდები ეწევიან საქველმოქმედო საქმიანობას და რესურსები არა გადასახადებიდან აკრეფილი თანხით, არამედ ნებაყოფლობით შესული შესაწირავებით გროვდება. ამგვარად, თანამედროვე მსოფლიოში ქველმოქმედების ორგანიზება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ეკლესიის „ექსკლუზივი“ და პრეროგატივა იყო, თავის თავზე სეკულარულმა ორგანიზაციებმა აიღეს. მართლაც, პირველი საერთო საავადმყოფოების, მოხუცთა თავშესაფრების, სწავლა-განათლების კერების დაარსება სწორედ ეკლესიის წიაღში ხდებოდა და უპირველესად სამონაზვნო დასი იყო ამ საქმიანობით დაკავებული, მისდევდნენ რა მაცხოვრის მიერ მოცემულ მცნებას.

სოციალური პასუხისმგებლობის სახელმწიფოს მხრიდან თავის თავზე აღებამ, უამრავ სიკეთესთან ერთად, ეთიკური შინაარსის პრობლემები მოუტანა თანამედროვე ადამიანს: ყველა ჩვენგანი ვიხდით გადასახადებს და შესაბამისად, ვიღებთ კიდეც სარგებელს სახელმწიფოსგან, შესაბამისად, ჩნდება კითხვა: ვინ უნდა დაეხმაროს ჩემს მშიერ მეზობელს, მე თუ სახელმწიფო?

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო არასდროს ყოფილა იმაზე უფრო უზრუნველყოფილი მატერიალურად, როგორც დღეს არის, ჩვენ მაინც ყოველდღიურად ვაწყდებით უკიდურესი სიღარიბის ფაქტებს. სიღარიბე რომც არ იყოს, მედიცინის არნახული განვითარების მიუხედავად, მაინც არსებობს უკურნებელი სნეულებები. და, რა თქმა უნდა, არიან და ყოველთვის იქნებიან პატიმრები, რომელთაც ისევე სჭირდებათ ნუგეში, როგორც სხვა ყველა ადამიანს. ამგვარად, ჩვენ წინ ძევს მაცხოვრის მცნების აღსრულების ყველანაირი შესაძლებლობა. ამასთან, ალბათ ყველა ჩვენგანს გაახსენდება ერთი ისეთი შემთხვევა მაინც, როდესაც მძიმე სოციალური სიდუხჭირის შემხედვარეს თავად უთქვამს ან უფიქრია მაინც – სად არის სახელმწიფო? განა ეს უნდა ხდებოდეს ჩვენს ქვეყანაში? გულისწყრომის მიზეზი სამართლიანია: მე ვიხდი გადასახადებს, ამიტომ შენ ვალდებული ხარ, ყველანაირი პრობლემა მოაგვარო, რაც ქვეყანაშია.

აქ ჩნდება კითხვა: თანამედროვე განვითარებულ მსოფლიოში, როცა სახელმწიფოს ან თუნდაც კერძო ორგანიზაციებს აქვთ აღებული თავის თავზე ღარიბებზე, უმწეოებზე, სნეულებზე ზრუნვა, ჩვენ ყველანი ხომ არ აღმოვჩნდებით ხოლმე ჯენოვეზეს მკვლელობის მოწმე 38 ადამიანის მსგავს სიტუაციაში, როდესაც ვფიქრობთ, რომ ჩვენს გასაკეთებელს სხვა გააკეთებს, რადგან ჩვენ გადასახადები უკვე გადახდილი გვაქვს?! სოციალურ ქსელში პოსტიც ხომ გავაზიარეთ და თანხაც ჩავრიცხეთ?! ხომ არ ხდება ისე, რომ, სახარებისეულ მოწოდებას უშუალოდ ადა-

მიანის, მოყვასის მსახურებაზე, რასაც მაცხოვარი გვიდებს მცნებად მორწმუნეებს, გადავამისამართებთ ხოლმე უპიროვნო, თითქმის აბსტრაქტული ორგანიზაციების პასუხისმგებლობად?

ეს საფრთხე ნამდვილად არსებობს, თუმცა რეალობა არც ისე მუქია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. გასულმა 30-მა წელიწადმა ეს დაადასტურა ჩვენი საზოგადოების მაგალითზე. სამოქალაქო ომის შემდგომმა პერიოდმა, აგვისტოს ომმა თუ COVID პანდემიამ გმირობის, მოყვასისთვის თავის დადებისა და ზრუნვის არაერთი მაგალითი გვაჩვენა. როდესაც საჭირო იყო ერთმანეთის გვერდით დგომა, ჩვენმა ხალხმა ეს გააკეთა და ამით ჩვენ შევასრულეთ სახარების მცნება. ასევე დღესაც, ყველა ჩვენგანი ვყოფილვართ მონაწილე სოციალურ ქსელში გაჩაღებული კამპანიისა ამა თუ იმ პიროვნების დასახმარებლად. მაგრამ აქვეა საფრთხე გაუცხოებისა, საფრთხე პირადი პასუხისმგებლობის სხვაზე გადაბარებისა იმგვარად, რომ დისტანციურად გაღებულმა სიკეთემ (რაც ცხადია, ასევე არ დაიკარგება ღვთის წინაშე), შესაძლოა გააუფერულოს იმის სურვილი, რომ ადამიანი უშუალოდ, თავისი ხელით ჩაერთოს სოციალურ მსახურებაში.

ამ წერილის მიზანი არ არის რომელიმე სოციალური ინსტიტუტის დაკნინება, ან იმ სიკეთეების უგულებელყოფა, რომლებიც მათგან შეიძლება მოდიოდეს. მთავარი მიზანი იყო, რომ მათეს სახარების იმ პასაჟის მიხედვით რომელზეც ვსაუბრობდით, გამოგვეკვეთა თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობა, ვაკეთოთ სიკეთე აქ და ახლა, ჩვენი ხელით. მართლაც, შესაძლოა პატიმარს ჩვენგან სულაც არ სჭირდებოდეს მატერიალური შემწეობა, მხოლოდ მისვლა, მოკითხვა და საუბარი იყოს მისთვის ნუგეში. ამას ხომ ვერც გადასახადებით და ვერც საქველმოქმედო ფონდში გადარიცხული თანხით ვერ შევძლებთ?!

პასუხისმგებლობის დიფუზიის ფენომენი გვიჩვენებს, რომ თუ 38 მოწმიდან მხოლოდ ერთმა და ისიც გვიან, დარეკა პოლიციაში, რადგან ფიქრობდა, რომ სხვა გააკეთებდა ამას, საფრთხე გაცილებით დიდია თანამედროვე ციფრულ სამყაროში, როდესაც არათუ ერთი რომელიმე ქვეყანა, არამედ მთელი მსოფლიო ვიქეცით, გარკვეული თვალსაზრისით, დიდ სამეზობლოდ, სადაც არათუ მხოლოდ ამბები ვრცელდება, არამედ უშუალოდ შეგვიძლია შევიდეთ ინტერაქციაში დედამიწის მეორე ბოლოში მცხოვრებ ადამიანთან. ამიტომ, ვფიქრობ, საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს მაცხოვრის სიტყვები: „რაც უყავით ერთ ამ მცირეთაგანს, მე მიყავით.“

მათეს სახარების 25-ე თავის ის მუხლები, რომლებზეც ვსაუბრობთ, კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს სხვისთვის მსახურების აუცილებლობას, მეტიც - კრიტერიუმი, რომლითაც ადამიანები განვისჯებით მეორედ მოსვლის დროს, სწორედ ეს იქნება და არა ის, თუ რამდენჯერ დავესწარით ღვთისმსახურებას, ვიყავით თუ არა აქტიური მრევლი ან რამდენად ზედმიწევნით გვესმოდა საღვთო დოგმატთა შინაარსი. წმინდა იოანე ოქროპირი წერილის ამ ადგილის განმარტებისას გამოკვეთს სიმარტივეს ამ მცნებების ასრულებისა. წმინდა მამის მიხედვით, მაცხოვარს არ დაუვალებია ჩვენთვის ავადმყოფის განკურნება ან პატიმრის განთავისუფლება, არამედ მხოლოდ მონახულება და ნუგეში მათი. მატერიალურს რაც შეეხება, იგი წერს: „და შიმშილისათვისცა არა ძნელსა რაისმე ითხოვს ანუ სანოვაგეთა სიმრავლესა, არამედ პურსა ხოლო, საჭიროსა მას და სათანადოსა საზრდელსა“

მღვდელმონაზონი საბა კევლიშვილი

სიმართლის თქმა სიყვარულით

საშინელი სამსჯავროს კვირიაკე

პროტოპრესვიტერი თომა ჰოპკო

პროტოპრესვიტერი თომა ჰოპკო - (1939 - 2015) - ამერიკაში მართლმადიდებელი ეკლესიის (OCA) გამოჩენილი მოღვაწე და ღვთისმეტყველი. მამა თომა სხვადასხვა დროს მსახურობდა ამერიკაში მართლმადიდებლური ეკლესიის სხვადასხვა ტაძარში, ასწავლიდა წმინდა ვლადიმერის სახელობის მართლმადიდებლურ სასულიერო სემინარიაში (დოგმატური ღვთისმეტყველება, სამოძღვრებო ღვთისმეტყველება...), 1992-2002 წლებში (პროტ. იოანე მეიენდორფის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ) იყო ამ სემინარიის რექტორი. პენსიაში გასვლის შემდეგ მამა თომა მეუღლესთან ერთად დასახლდა პენსილვანიის შტატის ქალაქ ელვუდსიტიში, უფლის ფერისცვალების დედათა მონასტრის გვერდით. აქ მან ინტერნეტრადიოში დაიწყო ლექციების კითხვა მართლმადიდებლობის შესახებ. მამა თომა გარდაიცვალა 2015 წელს. დაკრძალულია ქალაქ ელვუდსიტის უფლის ფერისცვალების დედათა მონასტრის სასაფლაოზე.

•

მართლმადიდებლურ ეკლესიაში დიდმარხვამდელი პერიოდის მესამე ანუ თვით დიდი მარხვის დაწყებამდე მეორე კვირას საშინელი სამსჯავროს კვირიაკე ეწოდება. ამ კვირას საღმრთო ლიტურგიის ღვთისმსახურებაზე მაცხოვრის ცნობილი იგავი იკითხება მათეს სახარებიდან (25:31-46) საშინელი სამსჯავროს შესახებ. ამ დღეს, როგორც წესი, მთელი საღმრთო საგალობლები — მწუხრი, ცისკარი და განსაკუთრებით კი ცისკრის მთელი ერთი კანონი - სრულად ეძღვნება საშინელი სამსჯავროსა და საყოველთაო განკითხვის თემას.

ამ იგავში იესო ამბობს, რომ როდესაც ძე კაცისა მოვა თავისი დიდებით ანგელოზთა თანხლებით და დიდების ტახტრევანზე დაჯდება, შეკრებს მთელ ერებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო ჟამს დედამიწაზე მცხოვრები ყველა ერი, ხალხი და ინდივიდუალურად თითოეული ადამიანი პასუხს აგებსსაკუთარ ცხოვრებაზე. მართლმადიდებლურ ეკლესიაში ამ საბოლოო განკითხვის მოლოდინი მორწმუნის გარდაცვალებისთანავე იწყება — ადამიანი გარდაცვალების შემდეგ პირისპირ წარდგება მკვდრეთითაღმდგარი და განდი-

დებული ქრისტეს წინაშე და ეს შეხვედრა უკვე წარმოადგენს სამსჯავროს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს სამსჯავრო თვით ქრისტეში ყოფნაა. როგორც თავად იესო ამბობს იოანეს სახარებაში: „არა მოვედ მე სჯად სოფლისა, არამედ რადთა ვაცხოვნო სოფელი....“ (იოანე 12:47). ამით ის ფაქტობრივად ამბობს, რომ სამსჯავრო თვით ჩემი სიტყვებია, ჩემი სუფევა, მე კი არ განგსჯი, შენ თვითონ განისჯები, მე მხოლოდ შენს საცხონებლად მოვედი. თუმცა ეს ის სამსჯავროა, რომელიც უკვე მოსულია. წმ. იოანე ამბობს: „და ესე არს სასჯელი, რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად, და შეიყუარეს კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი, რამეთუ იყვნეს საქმენი მათნი ბოროტ“ (იოანე 3:19). ამიტომ ღვთიური ნათელი თავადვე გვევლინება სამსჯავროდ. ის ჭეშმარიტებას ასხივებს და ყველაფერი ისე ცხადდება, როგორც სინამდვილეშია. ქრისტიანებს გვწამს, რომ სიკვდილის შემდეგ ჩვენ როგორღაც გადავეშვებით სამყაროს დასასრულში და ქრისტეს წინაშე წარვდგებით.

წმინდა იოანე ოქროპირი, რომელსაც ხშირად ვახსენებთ ხოლმე, ამბობს: „ეს რა უცნაური სამსჯავროა — აქ არც მსაჯულია, არც ვექილი, არც ბრალმდებელი, არც ნაფიცი მსაჯულები — მხოლოდ ქრისტე და შენ ხართ - სულ ესაა.“ ჩვენ საკუთარ თავს გამოვუტანთ განაჩენს. როგორ? იგავი გვპასუხობს: ქრისტე ამბობს, რომ დაყოფს ადამიანებს — „მარჯვენით მდგომებად“ და „მარცხენით მდგომებად“. სხვათა შორის, „გაყოფიდან“ მოდის ზმნა „განსჯა, კრიზისი”(κρίσις), რაც ნიშნავს შუაში იმ ზღვარის გავლებას, რომელიც ჭეშმარიტებას ააშკარავებს. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ განსჯა ნიშნავს ამ გადაწყვეტილების მიღებას: სად დგახარ? სად აყენებ თავს ამ განსჯისას? სწორედ ეს არის სამსჯავრო — ზღვარი სიმართლისა.

შემდეგ ძალიან საინტერესოა, როგორ ეუბნება უფალი იგავში მარჯვნივ მდგომთ: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენთვს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისადთ“ (მათე 25:34). შემდეგ ის უხსნის მათ, რომ ისინი სასუფეველს დაიმკვიდრებენ, „რამეთუ მშიოდა, და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და მასუთ მე; უცხო ვიყავ, და შემიწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ, და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილესა ვიყავ, და მოხუედით ჩემდა“ (მათე 25:35-36). საოცარი ისაა, რომ მარჯვნივ მდგომი მართლები, ისინი, ვინც უნდა ცხონდნენ, ვინც სამსჯავროზე გამართლდებიან, თვითონვე ეკითხებიან უფალს: „უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი და გასუთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ? ანუ შიშუელი და შეგმოსეთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უძლური ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა“

(მათე 25: 37-39). მაშინ მეუფე და უფალი იესო ქრისტე მათ პასუხობს: „ამენ გეტყვ თქუენ: რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“ (მათე 25: 40).

საინტერესოა აღინიშნოს გამონათქვამი — „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ“, ბერძნულად გამოითქმის როგორც „ამინ“ — „ამინ, გეუბნებით თქვენ“. ეს ერთ-ერთი იმათგანია, რასაც მკვლევრები ხშირად შეისწავლიან ახალ აღთქმაში, როგორც რაღაც ისეთს, რაც ნამდვილად ორიგინალურია, რასაც არავითარი წინასახე არ მოეძებნება ძველ აღთქმაში - იესო ახალ აღთქმაში ხშირად მიმართავს ადამიანებს ასე: „ამინ, ამინ“ ანუ „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად“ (ან, ძველი ინგლისური კინგ ჯეიმსის თარგმანით - Verily verily). ბერძნულად — „ἀμήν, ἀμήν, λέγω ὑμῖν“ („ამინ, ამინ, ლეგო იმინ“). იესო „ამინს“ წინადადების დასაწყისშივე ამბობს. ჩვეულებრივ, როდესაც ვინმე ლაპარაკობს, წესით მსმენელებმა უნდა დაუდასტურონ პასუხით „ამინ, იყოს ასე“. თუმცა, იესო „ამინს“ თავიდანვე ამბობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ნათქვამის უტყუარობა არ განიხილება: მე თქვენგან კი არ ველი დამოწმებას, არამედ თავად ვამბობ „ამინს“ თავიდანვე, რითაც მიგანიშნებთ, რომ ეს ჭეშმარიტებაა და განხილვას არ ექვემდებარება“. ამიტომაც ამბობს: „ამენ გეტყვ თქუენ: რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“ (მათე 25: 40).

შემდეგ მარცხნივ მდგომთ მიმართავს, რომლებიც როგორც ნათქვამია, განცალკევებული ჰყავს, როგორც თხები - ცხვრებისაგან. ერთხელ ვიღაცამ იკითხა: რა აქვს უფალს თხების საწინააღმდეგოო? ცხადია, არაფერი. ეს უბრალოდ იგავია, სადაც სხვადასხვა სახეობის ცხოველები არიან განცალკევებულები. მნიშვნელოვანი აქ ისაა, რომ უფალი აქ მარცხნივ მყოფებს მიმართავს: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვს და ანგელოზთა მისთათვის“ (მათე 25:41). და შემდეგ იგივეს ეუბნება, რაც მარჯვნივ მდგომებს უთხრა, მხოლოდ შებრუნებულად: „რამეთუ მშიოდა, და არა მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და არა მასუთ მე;, უცხო ვიყავ, და არა შემიწყნარეთ მე; შიშველ ვიყავ, და არა შემმოსეთ მე; უძლურ ვიყავ და საპყრობილესა, და არა მოხუედით ჩემდა“ (მათე 25:42-43). ისინიც ისევე გაიკვირვებენ, როგორც მართლები, როდის უფალო, როდის გიხილეთ მშიერი, მწყურვალი, შიშველი, უძლურებაში ან საპყრობილეში მყოფი და არ მოვედით შენს დასახმარებლადო, ის კი პასუხობს: „ამენ გეტყვ თქუენ: რაოდენი არა უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ“ (მათე 25:45). შემდეგ ამბობს: „წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი – ცხორებასა საუკუნესა“ (მათე 25:46).

მაშასადამე, გამოდის, რომ იმის მიხედვით განვიკითხებით, თუ

როგორ ვექცევით ადამიანებს. საბოლოო ჯამში, სამსჯავრო სიყვარულია: განვისჯებით იმის მიხედვით, შევიყვარეთ თუ არა ჩვენი მოყვასი, ჩვენი მტერი, გვიყვარდა თუ არა თანამოძმეები. სულ ესაა, რადგან ღვთის მცნება, დიდი და წმინდა მცნება, „შემა ისრაელი“, არის ის, რომ „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა“ (მარკოზი 12:30). ასეა ციტირებული ახალ აღთქმაში. ძველ აღთქმაში არ არსებობს ცნება „გონება“, რადგან ებრაულად „გული“ და „გონება“ ერთსა და იმავეს ნიშნავდა, მაგრამ ბერძნულენოვან ახალ აღთქმაში „გონება“ ხაზგასმულად არის დამატებული. ეს, რა თქმა უნდა, ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გვიყვარდეს ღმერთი ყველაფრით, რასაც ვფიქრობთ, ყველაფრით, რაც გვსურს, ყველაფრით, რაც ვიცით. „ყოვლითა სულითა“ ნიშნავს ზოგადად ჩვენს ქცევას, ჩვენს ყოფას („ნეფეშს“), ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს საქმიანობას. „ყოვლითა ძალითა“ არ ნიშნავს იმ ფიზიკურ ძალას, რომელსაც სპორტდარბაზში ან სავარჯიშო ცენტრში ვიყენებთ. ეს ძალა ნიშნავს მთელ იმ ძალაუფლებას, რაც გაქვს: ქონებას, ფულს, გავლენას საზოგადოებაში, რა სახისაც არ უნდა იყოს ეს ძალაუფლება, განსაკუთრებით კი მატერიალური. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ღმერთი ამ ყველაფრით: გონებით, სულით, გულითა და ძალით.

და შემდეგ ლევიტელთა კოდექსიდან მეორე დიდი მცნება, რომელიც პირველს თან ახლავს, არის ის, რომ უნდა გვიყვარდეს მოყვასი, როგორც საკუთარი თავი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ საკუთარ თავს მოყვასში ვპოულობთ. ზოგჯერ ადამიანებს სურთ საკუთარი თავის სიყვარულზე საუბარი, გვარწმუნებენ, რომ უნდა გვიყვარდეს საკუთარი თავი. ეს მართალია. არ უნდა ვიყოთ უკმაყოფილოები, არ უნდა ვუსაყვედუროთ საკუთარ თავს, არ უნდა დავტანჯოთ საკუთარი თავი, არ უნდა ჩავვარდეთ სასოწარკვეთილებაში საკუთარი სისუსტის გამო. ჩვენ ღმერთმა შეგვქმნა და მას ვუყვარვართ.

თუმცა, თვითსიყვარული, ბერძნულად philofteia ჩვენი ერთ-ერთი დიდი წმინდანის, წმინდა მაქსიმეს თქმით, პირველქმნილი ცოდვაა, როდესაც არ გიყვარს ღმერთი და მოყვასი, არამედ უბრალოდ გიყვარს საკუთარი თავი. ეკლესიის მამების აზრით, საკუთარი თავის სიყვარული მეტად დამანგრეველია, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ საკუთარ თავში არ გვაქვს საკუთარი ‘მე’. ჩვენ შექმნილნი ვართ იმ ღვთის ხატად და მსგავსად, რომელიც სიყვარულია, ამიტომ ერთადერთი გზა, რომლითაც შეგვიძლია ნამდვილად გვიყვარდეს საკუთარი თავი, არის ჩვენი მოყვასის სიყვარული. ებრაულადაც კი, ალბათ, ასე უნდა ითარგმნოს: „გიყვარდეს მოყვასი შენი, რადგან შენი მოყვასი შენივე თავია. შენ არ გაქვს საკუთარი

თავი საკუთარ თავში“. თქვენ მხოლოდ საკუთარი თავის უარყოფით და მოყვასის სიყვარულით პოულობთ და ახდენთ საკუთარი თავის რეალიზებას და მხოლოდ ამ გზით ხდება თქვენი ‘მეს’ განცხადება. აქ, ვფიქრობ, აღსანიშნავია ის, რომ ახალი აღთქმის პერიფრაზები, რომლებიც ამბობს: „გიყვარდეს მოყვასი შენი ისე, როგორც საკუთარი თავი გიყვარს“, არ წარმოადგენს ტექსტის ზუსტ ინტერპრეტაციას.

ნებისმიერ შემთხვევაში, წმინდა წერილის აშკარა სწავლება ისაა, რომ ღვთისადმი ჩვენი სიყვარულის მტკიცების ერთადერთი გზა ჩვენ გვერდით მყოფი ადამიანის, ჩვენი მოყვასის სიყვარულია. რა თქმა უნდა, იესო გვასწავლის, რომ ჩვენი მოყვასია ჩვენი ყველაზე საშიში მტერიც, რაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ. სინამდვილეში, თუ გვსურს შევაფასოთ, როგორ ვმოღვაწეობთ როგორც ადამიანები, როგორც ქრისტიანები, უბრალოდ ვკითხოთ საკუთარ თავს: „როგორ მოვექცეოდი იმ ადამიანს, რომელიც ყველაზე მეტად მძულს და რომელსაც ყველაზე მეტად ვძულვარ? როგორ ვექცევი მას, ვინც ჩემთვის ყველაზე საზარელი მტერია?“ როდესაც დავინახავთ, როგორ ვექცევით მას, მხოლოდ მაშინ შევაფასებთ, გვიყვარს თუ არა ღმერთი, რადგან მისი სიყვარული სწორედ ამ ადამიანის სიყვარულს გვავალდებულებს.

ამგვარად, ღვთის სიყვარული მოყვასის სიყვარულით დასტურდება და ეს პირდაპირ არის ნათქვამი იოანეს პირველ ეპისტოლეში, სადაც ის ცრუს უწოდებს მათ, ვინც ამბობს, ღმერთი მიყვარსო, თავისი ძმა კი სძულს, რადგან თუ თავისი ძმა არ უყვარს, რომელსაც ხედავს, როგორღა შეიყვარებს ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავს? მისი თქმით, ასეთი ადამიანი უბრალოდ მატყუარაა. ღმერთის სიყვარული ადამიანის სიყვარულში უნდა გამოვლინდეს. მხოლოდ ასე შეგვიძლია მისი დამტკიცება.

წმინდა იოანე თავის პირველ წერილში ასევე ამბობს: „ნუ ვიყუარებით სიტყვთა ხოლო, ნუცა ენითა, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა“ (1 იოანე 3:18), რადგან სიყვარულის დემონსტრირების ერთადერთი გზა არის ქმედება, ჩვენი ქცევა. წმინდა იაკობი წმინდა წერილში ამბობს, რომ მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ მორწმუნეები ვართ: „მიჩვენე შენი რწმენა საქმის გარეშე“ (იაკობი 2:18). ამის გაკეთება შეუძლებელია. საქმეების გარეშე რწმენა მკვდარია. ეშმაკს სწამს ღმერთის, მაგრამ ის არ აღასრულებს სიყვარულის საქმეს და ამიტომ ძრწის, – ამბობს მოციქული იაკობი. ამიტომ ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ, ჩვენ უნდა ვიშრომოთ.

მთელ წმინდა წერილში – ფსალმუნებში, იგავებში, წინასწარმეტყველებთან, ახალ აღთქმაში – ნათქვამია, რომ განკითხვის დღეს ჩვენ ჩვენი საქმეებისამებრ განვიკითხებით (ბერძნულ ენაზე კატა

ტა ერგა (κατὰ τὰ ἔργα). ეს იგივეა, რაც წერია სიცოცხლის წიგნში, საშინელი სამსჯავროს წიგნში, რომლის შესახებაც ამ დღეს ბევრი საგალობელი იგალობება ეკლესიაში. წერია ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ, არა ის, რასაც ვამბობდით ან სიტყვიერად და გონებრივად ვადასტურებდით; არა ის, რაც ვთქვით, არამედ ის, რაც გავაკეთეთ, ეს ქმედებაა.

სიყვარული უნდა გამოიხატოს კონკრეტულ, სპეციფიკურ ქმედებებში და სწორედ ამას ეფუძნება სამსჯავრო. ამავე დროს, ეს ძალიან კარგი მაგალითია იმის დასამტკიცებლად, რომ შეუძლებელია წმინდა წერილიდან რომელიმე ტექსტის გამოყოფა; ნებისმიერი ტექსტი უნდა წაიკითხოთ, როგორც წმინდა მამები ამბობენ, მთელი წმინდა წერილის სკოპოსის, ანუ მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით. როდესაც ვფიქრობთ სამსჯავროს ამ იგავზე, უნდა ვიცოდეთ, რომ ის ქმედებები, რომლებიც გამოხატავს სიყვარულს, რომლებიც სრულიად აუცილებელია - მშიერთა გამოკვება, მწყურვალისთვის სასმელის მიცემა, შიშველთა შემოსვა, უცხოს, უსახლკაროს დაბინავება, სნეულისა და პატიმრის მონახულება - ის ქმედებებია, რომლებიც სიყვარულს უნდა გამოხატავდეს თუმცა, აქ წმინდა მამები აღნიშნავენ, რომ წმინდა წერილის თანახმად, ასეთი გარეგანი ქმედებებიც კი შეიძლება შესრულდეს სიყვარულის გარეშე და ასეთ შემთხვევაში ისინი არანაირ სარგებელს არ გვაძლევს, როგორც მოციქულმა პავლემ თქვა, და არაფერს წარმოადგენს.

ასე რომ, მათეს სახარების 25-ე თავი უნდა წავიკითხოთ 1 კორინთელთა მე-13 თავის გათვალისწინებით, სადაც მოციქული პავლე არა მხოლოდ ამბობს: „კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, ... და მქონდეს მთელი რწმენა, ისე, რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ“ (1 კორ. 13:1-2). თუმცა, ის ამასაც ამბობს: „მთელი ჩემი ქონება რომ გავიღო გლახაკთათვის და დასაწვავად მივცე ჩემი სხეული, სიყვარული თუ არა მაქვს, არას მარგია“ (1 კორ. 13:3). ეს ძალიან საშიშია, რადგან შესაძლებელია მშივრების გამოკვება და მწყურვალებისთვის წყლის მიცემა, შიშველთა შემოსვა, უსახლკაროთა დაბინავება და უძლურებისა და პატიმრების მონახულება მათ მიმართ ნამდვილი სიყვარულის გარეშე.

და სწორედ ამიტომ ამბობს იესო, რომ ეს უნდა იყოს აღსრულებული, როგორც „ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა“ მიმართ. ჩვენ ამ ადამიანებში ქრისტე უნდა დავინახოთ. ჩვენი ქმედება არ უნდა იყოს უბრალოდ, ასე ვთქვათ, ქველმოქმედების ან ფილანთროპიის აქტი. თუმცა, ამავე დროს, ეს უნდა იყოს ჭეშმარიტი ფილანთროპია, რადგან მას საფუძვლად უნდა ედოს ფილია, მეგობრობა, მაგრამ ამ სრულიად ობიექტურად კარგი სა-

ქმეების კეთებაც კი შესაძლებელია სიამაყის, ქედმაღლობის, ამპარტავნების მიზნით, თუნდაც იმ ადამიანების განსასჯელად, ვინც იმავეს არ აკეთებს. მაგალითად, შემიძლია მშიერი გამოვკვებო და ვთქვა: „შემომხედეთ! მე ვკვებავ მშიერს და ისე კი არ ვიქცევი, როგორც ქუჩის გადაღმა მცხოვრები, რომელიც ასე არასდროს იქცევა“. შემიძლია მოვინახულო ხალხი საავადმყოფოში ან ციხეში და ვთქვა: „შემომხედეთ!“ და ამ შემთხვევაში ეს ადამიანები ციხეში ან საავადმყოფოში, უბრალოდ ჩემივე ქედმაღლობის პროექტებად იქცევიან.

იოანე კიბისაღმწერელმა თქვა: „რატომ ხდება, რომ ზოგიერთი ადამიანი ჯანმრთელად ყოფნისას ესოდენ ჩინებულ და კეთილ საქმეებს აღასრულებს - მოინახულებს უძლურებაში მყოფთ და ეხმარება უსახლკაროებს - მაგრამ როგორც კი ავადდებიან და აღარ შეუძლიათ ამის გაკეთება, ისინი მყისვე ურჩხულებად იქცევიან“, გაღიზიანებულები, გაბოროტებულები და განკითხვის სულით შეპყრობილნი ხდებიან. ის კითხულობს: „რატომ ხდება ასე?“ ან რატომ ხდება, რომ შეიძლება ძალიან სათნო ერისკაცი შევიდეს მონასტერში და სრულ საშინელებად იქცეს? თვითონვე პასუხობს: „მიზეზი ის არის, რომ მაშინდელი მართალი საქმიანობა, როდესაც ჩვენ ჩვენს თანამოძმეებს შორის ვცხოვრობდით და მათთან ურთიერთობის უნარი არ გვქონდა, ამაოების დაბინძურებული ჩამდინარე წყლით ირწყვებოდა “.

წმინდა კვიპრიანე კართაგენელი კიდევ უფრო შორს წავიდა და თქვა, რომ ჩვენ შეგვიძლია ქრისტესთვის მოწამებრივადაც კი მოვკვდეთ და მაინც ვერ ვცხონდეთ, რადგან შეიძლება ეს მსხვერპლი ამპარტავნების, ქედმაღლობის, სიამაყისა და სხვების განსჯის გამო გავიღოთ. მან თქვა, რომ თუ ადამიანი მოწამებრივად მოკვდება თვითნებობის გამო და არა იმიტომ, რომ დაიჭირეს და დევნიან, ის არღვევს მცნებას და უბრალოდ ჯოჯოხეთში აღმოჩნდება. ამიტომ, ამაზე ფიქრი ძალიან მძიმეა.

მაგრამ იესომ ეს თვითონ თქვა მთაზე ქადაგებისას: „მრავალნი მეტყვიან იმ დღეს: უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვაძევებდით ეშმაკთ? და შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასწაულს” (მათე 7:22). ცდუნებას ვერ ვუძლებ და ხუმრობით ვიტყვი: „უფალო, შენი სახელით არ ვსაუბრობდით და ვუსმენდით Ancient Faith Radio-ს?“ შემდეგ კი შეგვიძლია გავაგრძელოთ: „შენი სახელით მშივრებს ვაჭმევდით. შენი სახელით მწყურვალებს ვასმევდით. შენი სახელით შიშველებს ვმოსავდით. შენი სახელით სნეულებსა და პატიმრებს მოვიკითხავდით“. შემდეგ კი გვესმის იესოს სიტყვები მთაზე ქადაგებისას: „არასოდეს მიცვნიხართ თქვენ: გამშორდით, ურჯულოების მოქმედნო.“. სამჯერ წერია: „შენი სახელით ვაკეთებდით

ამას“, და ის ამბობს: „გამშორდით. არასდროს გიცნობდი. ურჯულო ხარ“.

როგორ არის ეს შესაძლებელი? პასუხი საკმაოდ ნათელია. იმიტომ, რომ ეს ყველაფერი უსიყვარულოდ აღვასრულეთ. სინამდვილეში, ჩვენ ეს ღვთისა და მოყვასის სიყვარულისთვის არ ჩავიდინეთ, არამედ ჩვენივე ინტერესებისთვის, საკუთარი თავმოყვარეობისთვის, საკუთარი ამპარტავნობისთვის, საკუთარი სიამაყისთვის, სხვების განსასჯელად გავაკეთეთ. ასე რომ, საბოლოო ჯამში, სამსჯავრო სიყვარულზეა დაფუძნებული! რა თქმა უნდა, სიყვარული უნდა გამოიხატოს კონკრეტულ ქმედებებში, რომლებსაც უფალი ამ იგავში ჩამოთვლის, მაგრამ ჩვენ წმინდა წერილიდან და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით, პავლე მოციქულისგან ვიცით, რომ ეს ქმედებები სიყვარულის გარეშეც შეიძლება აღსრულდეს და ამ შემთხვევაში ისინი არანაირ სარგებელს არ მოგვიტანენ. თუკი ასე, სიყვარულის გარეშე ვიმოქმედებთ, შეიძლება განკითხვის დღეს გავიგონოთ: „წადი ჩემგან, ურჯულოვ. არასდროს გიცნობდი“.

ახლა, როდესაც ამ იგავზე ვფიქრობთ, მის მშვენიერ ინტერპრეტაციას ვხვდებით ნეტარ ავგუსტინესთან და ასევე მსგავს ინტერპრეტაციას - წმინდა სიმეონ ახალ ღვთისმეტყველთან. ჩემი ვარაუდით, წმინდა სიმეონისათვის არ იყო ცნობილი, რა თქვა ნეტარმა ავგუსტინემ ამის შესახებ. შეიძლება იცოდა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ისინიც იმავეს ამბობენ და ამბობენ შემდეგს: ამ იგავში იესო ამტკიცებს, რომ რასაც სხვებს უკეთებ, თვით მას უკეთებ, რადგან ღვთის ძე ადამიანი გახდა და თავი ყველა ადამიანთან გააიგივა. გარდა იმისა, რომ როდესაც ქრისტეს ხედავ, მაშინ ღმერთს ხედავ, ამავე დროს ხედავ ყველა ადამიანს. მან მთელი სამყაროს ცოდვა იტვირთა. მან მთელი სამყაროს ტანჯვა აიღო საკუთარ თავზე, რათა სამყარო გადაერჩინა. ეს ერთგვარი ‘კურთხეული გაცვლაა’: ის ხდება ის, რაც ჩვენ ვართ, რათა ჩვენც ვიყოთ ის, რაც ის არის. ის იღებს ყველაფერს, რაც ჩვენია, რათა ჩვენ გვქონდეს ყველაფერი, რაც მისია.

ამ იგავს ძალიან ლამაზად განმარტავენ ზემოთ ხსენებული წმინდა მამები. ისინი ამბობენ: უფალმა თქვა: „მშიოდა. მწყუროდა.“ და ადასტურებენ, რომ მართლაც ასე იყო. როდესაც უფალი დედამიწაზე ცხოვრობდა, მას მართლაც შიოდა და სწყუროდა. წმინდა იოანეს სახარებაში ჩაწერილია ჯვრიდან წარმოთქმული მისი ერთ-ერთი სიტყვა: „მწყურია“. წმინდანები ამბობენ, რომ უფალი, ღვთის ძე, მოვიდა დედამიწაზე, გახდა ადამიანი და მშიერი იყო და მისი მშიერი ყოფნით, ის ჩვენთვის გახდა სიცოცხლის პური. თუ ამ პურს შევჭამთ, არასდროს მოვკვდებით, მაგრამ იმისათვის, რომ ის ჩვენთვის გატეხილი პური გამხდარიყო, მას თავად უნდა მოშივებოდა.

შემდეგ ნათქვამია, რომ მას სწყუროდა. მას სწყუროდა, რათა მოეცა ჩვენთვის წყარო ცხოვრებისა, რათა დავლიოთ და აღარასდროს მოგვწყურდეს. მას სწყუროდა ჯვარზე იმისთვის, რომ მისი ფერდიდან გამოსულიყო სისხლი და წყალი, ცოცხალი წყალი და სისხლი, რომელიც მისივე სისხლია, რომელსაც ის გვაძლევს და ღვრის სამყაროს სიცოცხლისთვის. თუ მას დავლევთ, აღარასდროს მოგვწყურდება. მას სწყურია იმისთვის, რომ ჩვენი სასმელი გახდეს, რათა მისი წყურვილის წყალობით ჩვენ აღარასდროს მოგვწყურდეს.

შემდეგ მამები განაგრძობენ. ისინი ამბობენ: „და ის უცხო იყო“, მოვიდა ქვეყნიერებაში და ქვეყნიერებამ არ მიიღო იგი. ის მოვიდა თავის სახლში, თავის ხალხში; მათ არ მიიღეს იგი. მან თქვა: „მელიებს სოროები აქვთ, და ცის ფრინველებს - ბუდეები, ძეს კაცისას კი არა აქვს, სად მიიდრიკოს თავი” (მათე 8:20). უფალ იესოს ადგილი არ აქვს ამ ქვეყნიერებაში. ის გააძევეს იერუსალიმის ქალაქიდან, კედლების გარეთ, კარიბჭის გარეთ, ჯვარს აცვეს ავაზაკებს შორის წარმართების ხელით, სრულიად უარყოფილი, აქ საერთოდ არ აქვს ადგილი. ის არის უცხო.

დიდ და წმინდა პარასკევს ჩვენ მართლმადიდებლურ ეკლესიაში ამ „უცხოს“ გალობით დავიტირებთ. თუმცა, გაუცხოებით, უცხოდ ყოფნით, ამქვეყნად უსახლკაროდ ყოფნით, ის თავად გახდა ჩვენი სახლი. ის გვაბრუნებს მამის სახლში. ამგვარად, უცხოდ ყოფნით, ის სძლევს ჩვენს გაუცხოებას და მისი გაუცხოებით ჩვენ აღარ ვართ უცხოები. ახლა ჩვენ წმინდანთა თანამოქალაქეები ვართ, როგორც წმინდა პავლე ამბობს - ღვთის ოჯახის წევრები.

შემდეგ ის ასევე ამბობს: „შიშველი ვიყავი და შემმოსეთ“. წმინდა მამები ამბობენ: „დიახ, მართლაც, შიშველი იყო“. ის შიშველი იყო ბეთლემის გამოქვაბულში, მარიამისგან შობილი. ის შიშველი იყო იმ მაგიდაზე, როდესაც მღვდელმა მერვე დღეს წინადაცვითა მოსეს კანონის თანახმად. ის შიშველი იყო იორდანეს მდინარეში, როდესაც ჩვენთვის და ჩვენი ხსნისთვის მოინათლა, რათა ჩვენ შეგვეძლო მოვნათლულიყავით, მოვმკვდარიყავით და მასში და მასთან ერთად აღვმდგარიყავით. ის შიშველი იყო, როდესაც ჯვარზე ეკიდა. ის შიშველი იყო, საფლავის სუდარაში გახვეული ისევე, როგორც სახვევებში დაბადებისას, შიშველი იყო, როდესაც მკვდარი სამარხში, საფლავში ჩაასვენეს.

ის ჩვენთვის გაშიშვლდა, რათა მისი სიშიშვლით ჩვენ შევმოსილიყავით. ასე წერს წმინდა პავლე გალატელთა მიმართ ეპისტოლეში, რომელსაც ჩვენ ყოველ დიდ დღესასწაულზე მართლმადიდებლურ ეკლესიაში ვგალობთ „წმინდაო ღმერთოს“ ნაცვლად და ასევე ნათლობის მსახურებაზეც: „რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ გვიღებიეს, ქრისტე შეგვიმოსიეს“. ამგვარად, გაშიშვლებითა

და ყველა უპოვართან და შიშველთან გაიგივებით უფალი იესო ქრისტე ჩვენი სამოსი ხდება, რათა ჩვენ აღარასდროს ვიყოთ შიშვლები. ადამის სიშიშვლე ახლა კვლავ ქრისტეშია შემოსილი, ღვთის დიდებით, „მამის ბრწყინვალებით“, როგორც წმინდა პავლე ეუბნება ებრაელებს.

ისევე, როგორც ის თავისი შიმშილით ჩვენი პური და საჭმელი ხდება, წყურვილით ჩვენი სასმელი ხდება, უსახლკარობით ჩვენი სახლი ხდება, ასევე ჩვენი სამოსი ხდება თავისი სიშიშვლით. ის ციხეშიც იყო – იერუსალიმის პოლიციამ დააპატიმრა. ის ტყვედ აიყვანეს მღვდელმთავრის მცველებმა და თავად პილატემ, იუდეველებმა და წარმართებმა, რელიგიამ და პოლიტიკამ. ყველანი ერთად შეიკრნენ ქრისტეს დასაპატიმრებლად და ციხეში გამოკეტეს, სცემეს, დასცინეს, შეურაცხყვეს, აფურთხეს, გაშოლტეს და საბოლოოდ სიკვდილით დასაჯეს – კანონიერად! ის კანონიერად დასაჯეს სიკვდილით და ჯვარზე ბრალდებაც მიაჭედეს: „იუდეველთა მეფე“.

დააპატიმრეს, დაჭრეს, მან კი პატიმრობა მიიღო, რათა ჩვენ სამუდამოდ გავეთავისუფლებინეთ ღვთის შვილობის დიდებული თავისუფლებით, სულიწმიდის თავისუფლებით, თავად ღვთის თავისუფლებით. მაგრამ მას მხოლოდ საკუთარი პატიმრობით შეეძლო ჩვენი გათავისუფლება.

უძლურება – მან ავადმყოფობაზე ბევრად უარესი რამ გადაიტანა. ის არასდროს ყოფილა ავად რამე კონკრეტული სნეულებით. მას შეეძლო დაავადებების განკურნება, მაგრამ ჩვენი ცოდვების გამო იარები მიიღო, ხელები ლურსმნებით ჰქონდა გახვრეტილი, თავი ეკლებით ჰქონდა დაჩხვლეტილი, ფერდი შუბით ჰქონდა გახვრეტილი. ის სიკვდილით დასაჯეს. მან განიცადა ტკივილი, რომელიც მთელი კაცობრიობის ერთად აღებულ ყველა ტკივილსა და ტანჯვას აღემატებოდა, რადგან ის, ვინც ჯვარზე იტანჯებოდა, ღვთის ძე იყო, ამიტომ მისი „სნეულებით“, ასე ვთქვათ, მისი ტანჯვით, მისი ტკივილებით ჩვენი ტკივილები განიკურნა. ჩვენი ტანჯვა შემსუბუქდა. და თავისი სიკვდილით ჩვენი სიცოცხლე გახდა.

ასე ხედავენ წმინდა მამები საშინელი სამსჯავროს ამ იგავს. სამსჯავრო სინამდვილეში ასეთია: როგორ ვურთიერთობთ თითოეულ ადამიანთან? რადგან ჩვენთვის ყოველი ადამიანი თავად ქრისტეა. ქრისტე აიგივებდა თავს ყველასთან და ყველაფერთან და, ამ იგავის თანახმად, ის ნამდვილად აიგივებდა თავს მშივრებთან, მწყურვალებთან, უსახლკაროებთან, უცხოებთან, შიშვლებთან, სნეულებთან, პატიმრებთან და საბოლოოდ, მკვდრებთანაც კი. კაცობრიობის სამსჯავრო კი არის ის, თუ როგორ ვუკავშირდებით ამას, ვიცოდით თუ არა ეს, რადგან იგავში როგორც მართალნი, ასევე ცოდვილებიც ეკითხებიან: „როდის გნახეთ? როდის გაგი-

კეთეთ ეს?“ და პასუხია: „როდესაც ეს გაუკეთეთ უმცირეს ადამიანს, ჩემს უმცირეს ძმათაგანს, მაშინ მე გამიკეთეთ“ - რადგან ის ყველაფრით დაემსგავსა თავის ძმებს, გარდა ცოდვისა.

ჩვენი მიწიერი ცხოვრების დასასრულს და სამყაროს აღსასრულისას ყოველი ადამიანი წარდგება ქრისტეს სამსჯავროს წინაშე. როგორც იოანე ოქროპირმა თქვა: „აქ არც მოსამართლეა, არც ნაფიცი მსაჯულები, არც ბრალმდებელი, არც ვექილი, არც დამცველი - მხოლოდ ქრისტე და მე“. ქრისტე და ჩვენ. და კითხვა, რომელსაც დაგვისვამენ, იქნება: „იყავით მოსიყვარულე? აღასრულებდით თუ არა სიყვარულს კონკრეტული საქმეებით?“ და: „იყო თუ არა თქვენი ღირსეული და კეთილი საქმეები სიყვარულით მოტივირებული? სიყვარულით აღასრულებდით თუ არა მათ? რადგან თუ ისინი ყველაზე უმცირესი, ყველაზე მდაბალი ადამიანის მიმართ იყო აღსრულებული - გვეუბნება ყოვლისშემძლე ღმერთი თავისი ძის, იესოს სახით - მაშინ ის საქმეები ჩემთვის გაგიკეთებიათ.

მამა თომა ჰოპკოს საუბარი საშინელი სამსჯავროს იგავის
თემაზე (მათე 25:31-46)

ინტერნეტრადიო არხის - Ancient Faith Radio - პოდკასტში.
შაბათი, 2008 წლის 1 მარტი

თარგმნა თამარ გოგუაძემ



სიყვარული უნდა გამოიხატოს კონკრეტულ, სპეციფიკურ ქმედებებში და სწორედ ამას ეფუძნება სამსჯავრო. ამავე დროს, ეს ძალიან კარგი მაგალითია იმის დასამტკიცებლად, რომ შეუძლებელია წმინდა წერილიდან რომელიმე ტექსტის გამოყოფა; ნებისმიერი ტექსტი უნდა წაიკითხოთ, როგორც წმინდა მამები ამბობენ, მთელი წმინდა წერილის სკოპოსის, ანუ მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით. როდესაც ვფიქრობთ სამსჯავროს ამ იგავზე, უნდა ვიცოდეთ, რომ ის ქმედებები, რომლებიც გამოხატავს სიყვარულს, რომლებიც სრულიად აუცილებელია – მშიერთა გამოკვება, მწყურვალისთვის სასმელის მიცემა, შიშველთა შემოსვა, უცხოს, უსახლკაროს დაბინავება, სნეულისა და პატიმრის მონახულება – ის ქმედებებია, რომლებიც სიყვარულს უნდა გამოხატავდეს. თუმცა, აქ წმინდა მამები აღნიშნავენ, რომ წმინდა წერილის თანახმად, ასეთი გარეგანი ქმედებებიც კი შეიძლება შესრულდეს სიყვარულის გარეშე და ასეთ შემთხვევაში ისინი არანაირ სარგებელს არ გვაძლევს, როგორც მოციქულმა პავლემ თქვა, და არაფერს წარმოადგენს

ᲞᲠᲝᲢᲝᲞᲠᲔᲡᲕᲘᲢᲔᲠᲘ ᲗᲝᲛᲐ ᲰᲝᲠᲙᲝ

პატიმარი № 19263[1] – ჩაგრულთა და გარიყულთა შემწე

ნინო საძაგლიშვილი[2]

სნეული ვიყავი და მომხედეთ; საპყრობილეში ვიყავი და მინახულეთ.
(მათე 25:36)

„ღმერთმა თანამგრძნობი ბუნება მიბოძა,
როგორ შემეძლო სხვაგვარად ცხოვრება?“

მონაზონი მარია სკობცოვა

ჟენევის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას პარიზის წმინდა სერგის ინსტიტუტის ფოტომასალებს ვეძებდი, ერთ უბრალო, აკვარელის ნაზი ტონებით შესრულებულ ჩანახატს რომ წავაწყდი: ქალაქის ბაზარი. ირგვლივ ხალხი ირევა. ღარიბულად ჩაცმული, პირმრგვალი, სათნო გამომეტყველების მონაზონი კი ამ ერთი შეხედვით შეუფერებელ გარემოში განმარტოებით ზის მაგიდასთან, რომელზეც დაუდევრად აწყვია ბოთლები, ფინჯნები, საფერფლე, გაზეთები... ეს მარია სკობცოვა იყო – ჩვენი დროის წმინდანი, როგორც მას მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი უწოდებდა. მისი ცხოვრებაც ამ ჩანახატს წააგავს: ხალხით გარემოცული და მაინც მარტო, მგრძნობიარე ფილოსოფოსი, პოეტი და მხატვარი, ამავდროულად კი უდრეკი კედელი პარიზის ემიგრაციისთვის. ემიგრანტთა დედა. „გაცოცხლებული სახარების პოეტი“ – ასე ახასიათებს მას ზოგიერთი მკვლევარი, მის საქმიანობას კი ხშირად იხსენიებენ, როგორც „სახარებას ცხოვრებაში.“ მთავარი მიზეზი, რის გამოც მარია სკობცოვა ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს, ორია: მართლმადიდებელი მონაზვნისთვის არასტანდარტული (მავანთათვის სკანდალურიც კი) ცხოვრების წესი და განსაკუთრებულად გამოხატული და აქცენტირებული სოციალური მსახურება. დედა მარიას ხშირად უწოდებენ მართლმადიდებლების დედა ტერეზასა და დოროთი დეის[3].

მეოცე საუკუნემ გარდამტეხი პროცესები მოიყოლა. ევროპაში ემიგრაციის დიდი ნაკადების გასვლამ, პარიზის წმინდა სერგისა და ნიუ იორკის ჯვარიპატიოსნის (Holy Cross) ინსტიტუტების დაარსებამ მართლმადიდებლობის დასავლურ კონტექსტთან ინტეგრირებას ხელი შეუწყო.

მართლაც, ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნებოდა დედა მარია სკობცოვას ცხოვრება ემიგრაციის გარეშე. ემიგრაციამ რეალობის ახლებური, ლიტურგიკული ხედვა გა-

ხსნა, სადაც მთელი სამყარო ერთ მთლიან ტაძრად აღიქმებოდა.[4] დედა მარია თავადაც აღნიშნავდა, რომ „ტრადიციულ ჩარჩოებს მიღმა ყოფამ შინაგან მისიაზე დაფიქრება მოიტანა.“[5] ეს შინაგანი მისია მან ბოლომდე განუხრელად დაიცვა, მიუხედავად გარემოებების ცვლილებებისა (და ხშირად არცთუ სასიკეთოდ!).

●

ელიზავეტა სკობცოვა (როგორც დანიელ სკობცოვის მეუღლე, ქალიშვილობის გვარი პილენკო[6]) პარიზში XX საუკუნის 20-იან წლებში ჩადის. ყოფილი პოლიტიკური ფიგურა, რუსეთის ინტელიგენციის მიღებული წევრი (როგორც პოეტი და ფილოსოფოსი[7]) 1926 წელს ქალიშვილის, ნასტიას გარდაცვალების შემდეგ გადაწყვეტს, ყველას დედა გახდეს და თავი სახარებით ცხოვრებას მიუძღვნას. ეს დედობრივი, მარიოლოგიური ელემენტი მთელ მის თეოლოგიურ საწყისს განმსჭვალავს.[8] 1932 წელს მამა სერგი ბულგაკოვისა და მიტროპოლიტი ევლოგის (გეორგიევსკი) კურთხევითა და სულიერი ხელმძღვანელობით ელიზავეტა მონაზვნად აღიკვეცება, მარია ეწოდება და ნაცვლად მონაზვნობის სტანდარტული ფორმისა, სოციალურ მსახურებას ირჩევს. ხშირად მარია სკობცოვას დედა გაბრიელასაც ადარებენ. მეოცე საუკუნის ბერძენი მონაზვნისთვის, გაბრიელა პაპაიანისთვისაც[9] დედობრივი სიყვარული ადამიანური თანაზიარების ფუნდამენტური და ამოსავალი წერტილია.

მსგავსად თავისი მფარველი მარიამ მეგვიპტელისა, რომელმაც მთელი თავისი შინაგანი ენერგია სულიერ ცხოვრებაში შემოატრიალა და კეთილ კალაპოტში მოაქცია, სკობცოვას წინანდელი ბოლშევიკური პოლიტიკურ-საზოგადოებრივი პათოსიც მოყვასისადმი სახარებისეულ მსახურებად გარდაიქმნა. მარია სკობცოვამ გადააფასა წინანდელი ღირებულებები და კომუნიზმი და სოციალიზმი ახლებურ ჭრილში დაინახა. იგი რევოლუციას შიგნიდან იცნობდა და კომუნიზმის სწორ ღირებულებებთან დაბრუნებასა და ქრისტიანიზაციაზე საუბრობდა:

„მსოფლიოს ნამგლისა და უროს ავთენტური იდეა სჭირდება, თანაც სასწრაფოდ! ჭეშმარიტი არსი, თავისუფალი კომუნისტური პერვერსიებისგან.“[10] მარია კარგად ხედავდა, თუ რამდენად საშიშია სულიერების გარეშე დარჩენილი იდეოლოგია, და კომუნიზმს ქრისტიანული თვალსაზრისით აკვირდებოდა:

„კომუნიზმის ქრისტიანიზაცია გულისხმობს მასში ძალადობის, პროლეტარიატის დიქტატურისა და პარტიის ჰეგემონიის მოსპობას.“[11] იგი აღნიშნავდა, რომ ჭეშმარიტი სოციალური ქრისტიანობა რაციონალისტურ ჰუმანიზმსა და მორალიზმზე მაღლა უნდა დადგეს: „ჩვენთვის ცნობილი სოციალური ქრისტიანობის ყველა ფორმა დაფუძნებულია გარკვეულ რაციონალისტურ ჰუმანიზმზე; ისინი უბრალოდ ქრისტიანული მორალის პრინციპებს მიმართავენ „ამქვეყნიურ“ ცხოვრებაში და სულიერ და მისტიკურ საძირკვლებს არ დაგიდევენ.[12]

მოყვასის მსახურებაში ბოლომდე დახარჯული მარია სკობცოვა, რომელმაც პატიმრებისთვის თავისი ისედაც მწირი საკვების განაწილება მხოლოდ ფიზიკურად უკიდურესად დაუძლურების შემდეგ შეწყვიტა, 1945 წლის 31 მარტს რევენსბრუკის საკონცენტრაციო ბანაკში აღესრულა, სავარაუდოდ, გაზის კამერაში ნებაყოფლობით შესული.

2004 წელს მსოფლიო საპატრიარქომ იგი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 30 ივლისი დაადგინა.

მარია სკობცოვა თავისებური მოღვაწეა, მავანთათვის, შესაძლოა, „არამართლმა-

დიდებლურიც“ კი ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით. მისი გასვლა ფორმალური რელიგიურობის ჩარჩოდან ქრისტეს სალოსთა ყოფასაც კი წააგავს. „დედა მარია ჩვენი დროის წმინდანია: რეალური და ხორცშესხმული ქალი, ადამიანი, რომელმაც თავი ღვთის სიყვარულს მიუძღვნა და ჩვენი საუკუნის პრობლემების პირისპირ დგომას არ შეუშინდა!“ – ასე ახასიათებს ანტონ სუროჟელი მის პიროვნებას.[13] ჯერ კიდევ ადრეული პერიოდიდან ახალგაზრდა ლიზა (საერო სახელი) წერდა: „ჩემს სულს ეწადა, გმირული სულით ჩაბმულიყო სამყაროში უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუნდაც თავგანწირვის ფასად.“[14]

გარდა გვიანდელი, ესოდენ არასტანდარტული სამონაზვნო ცხოვრებისა, იგი საერო ცხოვრებაშიც ბევრ რამეში იყო პიონერი: მარიას (მაშინ ელიზავეტა) პოლიტიკური კარიერის დროს (დაახლ.1918 წ.) საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა და მიუხედავად იმისა, რომ ქალის პოლიტიკური კარიერის ეს მანამდე უპრეცედენტო შემთხვევა ბევრის გაკვირვებას იწვევდა, ხშირად, მარია ახერხებდა ისეთ საკითხებზე მოლაპარაკებებსაც კი, მამაკაცები რომ იშვიათად შეძლებდნენ.[15] მოგვიანებით იგი ასევე პირველი ქალი გახდა, რომელიც სანქტ-პეტერბურგის აკადემიაში თეოლოგიის ფაკულტეტზე მიიღეს.

მარია სკობცოვაზე მსჯელობისას ბეწვის ხიდზე გავდივართ: მისი საქმიანობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავიყვანოთ ლიტონ აქტივიზმამდე და უნდა გავაცნობიეროთ, რომ მისი შინაგანი ტრანსფორმაცია და გარეგანი საქმიანობა ერთმანეთთან ორგანულად არის დაკავშირებული.

ფილოსოფოსი და შემოქმედი მონაზვნის თეოლოგიური აზროვნება ღრმად სახარებისეული და პატრისტიკულია. იგი წუხს, რომ თანამედროვე ასკეტიზმი წმინდა წერილისეულ სულს მოაკლდა და სახარებაზე დაფუძნებულ მონაზვნობას უჭერს მხარს, უარყოფს რა ერთგვარ „სულიერ კაპიტალიზმსა“ და ეგოცენტრულ გადარჩენას. ეს სახარებაზე დაფუძნებული მონაზვნობა და ავთენტური სახარებისეული ქრისტიანობა არანაირად არ არის საკუთარი სულის ცხონებისთვის „უნდა“ და „საჭიროა“ სულით ნასაზრდოები, არამედ შინაგანი მოტივაციისა და გულწრფელი სიყვარულისგან გამომდინარეობს.

მარიას სულისკვეთება კარგად ეხმიანება ჯერ კიდევ პირველ ქრისტიანთათვის ბუნებრივ გაგებას მსახურებისა, დიაკონიისა, რომელზეც „საქმე მოციქულთა“ მოგვითხრობს (იხ.6:1-6) დიაკონთა გამორჩევის ეპიზოდში. შეჭირვებულის მსახურება და ღვთისმეტყველება სკობცოვას აზროვნებაში გვერდიგვერდ მიდიან.

როგორც რუმინელი ეპისკოპოსი და მკვლევარი ბენედიქტ ვესა თავის ნარკვევში წერს: „დედა მარიას სოციალური ხედვის საღვთისმეტყველო ასპექტები კარგად არის გამოხატული 1930 წელს დაბეჭდილ ორ სტატიაში: „სახარების მეორე მცნება[16]“ და „ადამიანური თანაზიარების საიდუმლო“[17]. ორივე სტატიაში საწყისი წერტილი არის მათეს სახარება (22:37-39): „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“ და „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვსი.“ პირველი მცნება პირად ღვაწლს უსვამს ხაზს და ღმერთის წინაშე ადამიანურ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს, მეორე მცნება კი სოციალურ პასუხისმგებლობას გვასწავლის და საფუძველს ქმნის ქრისტიანული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

ყველაფერი იწყება მთელი სამყაროს, როგორც ღვთის ტაძრის აღქმიდან და ამ უნივერსალურ ტაძარში ღვთის ხატების, ადამიანის მსახურებიდან. სწორედ ეს არის

ის, რასაც ვუწოდებთ ლიტურგიას ლიტურგიის შემდგომ. ეს ღმერთთან თანამშრომლობაა. მთელი სამყარო საკურთხეველი უნდა გახდეს და ამ უნივერსალურ ლიტურგიაზე ჩვენი გულები უნდა მივიტანოთ[18].

ქმედითი სიყვარულის, გაზიარებისა და მსხვერპლის გაღების სულის (რაზეც მონაზონი მუდამ ხაზგასმით საუბრობდა)[19] საწინააღმდეგო არის ეგოცენტრიზმი. ეგოცენტრიზმს დედა მარია ჩვენი ეპოქის სენად მიიჩნევდა[20], ამიტომ იგი არ ეთანხმებოდა სამყაროსგან გამოყოფის, ცალკე დგომის ტენდენციას ეკლესიაში.[21] თუ ჩვენ თვითგადარჩენას დავისახავთ მიზნად და სხვის ტკივილზე პასუხისმგებლობას არ ავიღებთ, ამგვარ „წმინდა“ ეგოიზმს საერთო არაფერი ექნება ქრისტეს სწავლებასთან.[22] „ევქარისტია სახარებაა მოქმედებაში, ეს ზეციურთან თანაზიარებაა[23]. იგი ერთობას ეკლესიის მთავარ მახასიათებლად მიიჩნევდა და ამბობდა, რომ მართლმადიდებელი ადამიანი მხოლოდ მაშინ ასრულებს თავისი სარწმუნოების მცნებებს, როცა მათ იღებს, როგორც „ორმაგ“ მცნებას – ღვთის სიყვარულისა და მოყვასის სიყვარულისას.[24] ამ ყოველივეს დასტურად და მაგალითად იშველიებდა იმასაც, რომ ლოცვების აბოსოლუტური ნაწილი მრავლობით რიცხვშია და არა მხოლობითში.[25]

> „ეკლესიაში ესთეტიკური სიამოვნებით ტკბობას ვერ დავიწყებთ, – აღნიშნავდა დედა მარია, – ღვთის ბოძებული თავისუფლება ქმედებისა და ბრძოლისკენ გვიხმობს!“[26] „ჩვენ ბოლო სამოსელი და ბოლო ნატეხი პურიც უნდა გავცეთ. ქრისტიანი სოციალური საქმისთვის არის მოწოდებული. მან უკეთესი პირობები უნდა შეუქმნას მუშაკებს, იზრუნოს ხანდაზმულებზე, აშენოს ლაზარეთები, იზრუნოს ბავშვებზე და იბრძოლოს ექსპლუატაციის, უსამართლობის, სიდუხჭირისა და უკანონობის წინააღმდეგ“.[27]

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს კონკრეტულ პერიოდში, ომისა და ემიგრაციის ჟამს მცხოვრები მარია სკობცოვას შეხედულებაა. მართლმადიდებელი მონაზვნის პირდაპირი მოვალეობა ამგვარი საქმიანობა ვერ იქნება. მამა პაისი მთაწმინდელი ამ საკითხზე ამომწურავად საუბრობს თავის წერილში „მონაზვნად ჩინებულთათვის“[28], შორიდან მანათობელ სამყაროს შუქურებს უწოდებს მონაზვნებს და მათ მთავარ საქმედ მძლავრ, გულმტკივნეულ ლოცვას ასახელებს.

თუმცა, თავის მხრივ, დედა მარიას სიტყვები გვიჩვენებს, რომ ქრისტიანი გახსნილია მოღვაწეობის ამ ფორმის მიმართაც, როდესაც მისი მოყვასის ცხოვრებაში ამგვარი საჭიროება გაჩნდება.

მოყვასის მსახურებაზე საუბრისას, მარიას ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც არ გამორჩენია:

> „სხვა ადამიანი არ არის საშუალება შენი მიზნის მისაღწევად და არც კეთილი საქმეებია უბრალოდ ასკეტური სავარჯიშო სულის სახსნელად. მოყვასი არ არის ტვირთი ჩვენი საკუთარი ჯვრის ზემოდან, არც სათნოებათა მოხვეჭის საშუალება. ჩვენი ურთიერთობა მოყვასთან უნდა იყოს მასში ღვთის ხატების დანახვა და მეორე მხრივ, მისი, როგორც ძისა და შვილის მიღება. აქ ყოველგვარი ვალდებულება, სათნოება და ღვთისმოსავური ასკეზა უფერულდება.“[29]

ადამიანის, როგორც ღვთის ხატების აღქმისა და მასთან დედობრივი დამოკიდებულების (მარიოლოგიური მოდელი) გამო, მონაზონი ადამიანებს არ ასხვავებდა.[30] ამ კუთხით ნიშანდობლივია დედამისის, სო-

ფია პილენკოს სიტყვები გესტაპოს ოფიცრისადმი: „ის არამცთუ ებრაელებს, შენც კი დაგეხმარებოდა, თუ ამის საჭიროება გექნებოდა!“ [31]

მისი ბუნება ერში ცხოვრებისასაც ეწინააღმდეგებოდა მიკერძოებასა და მედროვეობას:

> „ჩემი ერთგულება არ ეკუთვნოდა რომელიმე მოქმედ მთავრობას, არამედ მათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა სამართლიანობა – ხალხს. წითელი იქნებოდა თუ თეთრი, ჩემი პოზიცია იგივეა – ვიმოქმედებ სამართლიანობისთვის და ტკივილის შემსუბუქებისთვის. ვეცდები, რომ მიყვარდეს ჩემი მოყვასი.“[32]

ხოლო თავის ცხოვრებას ასე აჯამებდა: „უკანასკნელ დღეს არ მომკითხავენ, რამდენად წარმატებულად ვიმოსაგრევე, რამდენი მეტანია გავაკეთე, არამედ თუ დავაპურე მშიერი, შევმოსე შიშველი და ვესტუმრე ტუსაღთ.“[33]

აქ იბადება კითხვა, თუ როგორ ეთავსებოდა მისი აზრით ეს აქტიური სოციალური საქმიანობა მის მონაზვნურ მოწოდებას?

აღსანიშნავია, რომ მონაზვნობაზე საუბრისას მარია კომპეტენტურობას არ იჩემებს, გააზრებული აქვს რა საკითხის სირთულე და მხოლოდ საკუთარი გამოცდილებების ჭრილიდან მსჯელობს. [34]

თანამედროვე პირობებში მონასტერზე მსჯელობისას იგი ხაზს უსვამს, რომ დღეს მონაზვნისთვის მხოლოდ ერთი მონასტერი არსებობს – სრულიად სამყარო! [35] მონაზვნობას განსაზღვრავს არა მონასტერი, არა უდაბნო, არამედ მისი აღთქმები აღკვეცისას.[36] ინოვატორი კი თავად ცხოვრებაა, ის ჩვენ არ გვეკითხება, როგორ გვსურს მორჩილების აღთქმის დაცვა, ისე, როგორც ჩვენ ავირჩიეთ, თუ სხვაგვარად.[37] უპოვარებაც, როგორც სამონაზვნო აღთქმა, განსხვავებულ ასპექტში დგება: უპოვარება არ უნდა იყოს უბრალოდ პასიური – „არ ითხოვენ, მაშასადამე არ ვაძლევ“ – არამედ აქტიური: ბერმა თავად უნდა ეძებოს, სად გასცეს ღვთისგან ბოძებული ძღვენი.

გარე სამყაროსთვის საქმიანობის ყველა ფორმა — სოციალური სამსახური, ქველმოქმედება, სულიერი დახმარება — წარმოიშობა ძლიერი სურვილიდან, დახარჯოს თავისი ძალები ქრისტესმიერ საქმიანობაში, კი არ ფლობდეს, არამედ ღვთის დიდებისათვის გაიხარჯოს. ჩემი აზრით, უპოვარების აღთქმის ეს ახალი გაგება უნდა განსაზღვრავდეს თანამედროვე მონაზვნის გზას.[38]

ემიგრაციაში, სადაც ე.წ. „ახლებური მონაზვნობა“ (როგორც თავად უწოდებდა) ჩამოყალიბდა, „მონასტერი არ არის, არც სკიტი, არც განმარტოება, არამედ ცხოვრების ფართო გზაა გადაშლილი, აქ სამრევლოა რომელიღაც მიყრუებულ კვარტალში, თავისი ყველა ტკივილით, იარებით, შეცოდებებით, ალკოჰოლიზმით, სუიციდით... მეორე მხარეს კი დგას სურვილი ცოტაოდენი კეთილდღეობისა და შვებისა, კონკურენცია და მეტოქეობა, მშვიდი და წყნარი ყოველდღიური უღმერთობა....“ [39]

დედა მარიას თხზულებათა კრებული „ძირითადი ნაწერები“ მისი თანამოაზრისა და მეგობრის, ჯიმ ფორესტის წინასიტყვაობით, მონაზვნის ღრმად წმინდა წერილისეულ სულისკვეთებასა და ქრისტოლოგიურ და ეკლესიოლოგიურ ხედვებზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის. მისი ნაწერებიდან გამოსჭვივის ადამიანის, როგორც ღვთის ხატების – Imago Dei – ხედვა, რომლის შესახებ ზემოთაც აღვნიშნეთ. ერთერთ წერილში მონაზონი და თეოლოგი ამბობს, რომ ტაძარში მღვდელი უკმევს არა მხოლოდ უფლის, ღვთისმშობლისა და წმინდანების ხატებს, არამედ ღვთის

ცოცხალ ხატს – ადამიანს. ამ ცოცხალი ხატების მსახურება დედა მარიას არასოდეს შეუწყვეტია:

მისი თავშესაფარი Rue de Lourmel-ზე ოფიციალურად გამოცხადდა საკვების მიმწოდებელ პუნქტად, რომელმაც Poslednaia Novosti-ს ცნობით, 1935 წელს 22.991 ადამიანი გამოკვება.[40] მონაზონი პირადად ზრუნავდა მარგინალიზებულ ჯგუფებზე: ფსიქიკური პრობლემების მქონე და ტუბერკულოზით დაავადებულ ემიგრანტებს აბინავებდა (მოგვიანებით, მარიას ძალისხმევით, მათთვის სანატორიუმის დაფუძნებაც მოხერხდა)[41] და ყოფილი პატიმრების საზოგადოებაში ინტეგრირებაზე ზრუნავდა. ცნობილია მარიას ქმედებები ებრაელთა დასახმარებლადაც. ნაცისტური დევნის წლებში მარია და მისი თანამოაზრე მამები ყალბ ნათლობის მოწმობებსაც კი გასცემდნენ, ებრაელთა სიცოცხლე რომ ეხსნათ, ხოლო თვით მარია საკონცენტრაციო ბანაკიდან ებრაელთა ბავშვების გაქცევას უწევდა ორგანიზებას. ნაცისტების მხრიდან სარეგისტრაციო ბარათების შეთავაზება ეთნიკურად რუსი ემიგრანტებისა და რუსი ებრაელების გასამიჯნად, მარიამ კატეგორიულად უარყო.[42]

1929 წელს მარიამ სტატია გამოაქვეყნა რასიზმსა და რელიგიაზე, ხოლო 1938 წელს მან კონფერენციაც კი მოაწყო ქრისტიანული სამყაროსა და რასიზმის თემაზე.

1935 წელს მარია თავის თანამოაზრეებთან ერთად აფუძნებს კულტურულ საქველმოქმედო ორგანიზაციას „მართლმადიდებლური საქმე.“ ორგანიზაციის საპატიო პრეზიდენტად მიტროპოლიტი ევლოგი ინიშნება, ხოლო თავმჯდომარედ – თავად მარია სკობცოვა. ორგანიზაციისთვის მხარდაჭერა მოდიოდა არა მხოლოდ საფრანგეთიდან, არამედ ევროპის სხვა რეგიონებიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდანაც. ამის შედეგად საქმიანობის უფრო გაფართოება გახდა შესაძლებელი: საერთო საცხოვრებლები, დასასვენებელი სახლები, სკოლები, ბანაკები, საავადმყოფოებში დახმარება, უმუშევართა მხარდაჭერა, ხანდაზმულთა დახმარება, წიგნებისა და ბროშურების გამოცემა.[43]

რასაკვირველია, მარია სკობცოვა თავისი კულტურული სივრცის შვილია და მისი მსოფლმხედველობის განხილვა ამ სივრცისგან მოწყვეტილად წარმოუდგენელია. დედა მარიას შეხედულებები ორგანულად ეთავსება ხომიაკოვის „სობორნოსტის“[44] იდეას და დოსტოევსკის „ქმედითი სიყვარულის“ იდეალს. მიუხედავად ამისა, სკობცოვა, როგორც ფილოსოფოსი და თეოლოგი, რუსულ მართლმადიდებლობაში არ იკეტება და აღიქვამს რა, სრულიად სამყაროს ერთ ეკლესიად, ერთგვარ ეკუმენურ (საყოველთაოს გაგებით) ფიგურადაც კი გვევლინება.

„ჩვენი ლოცვების აბსოლუტური უმრავლესობა ღმერთს მიემართება „ჩვენი“ და არა „ჩემი“ სახელით. ამაზე დავფიქრდეთ!“ – ამბობდა მონაზონი, – „ერთობა მართლმადიდებელი ეკლესიის ძირითადი მახასიათებელია. მღვდელი მარტო ლიტურგიასაც კი ვერ აღასრულებს. ევქარისტია თავისთავად საერთო საქმეა და ჩვენი, ყველას სახელით აღესრულება!“[45]

მიუხედავად იმისა, რომ მარია სკობცოვა თავისი მოღვაწეობის გზას აქტიურ და ახლებურ მონაზვნობას უწოდებდა, ამგვარი მონაზვნობის და ტრადიციული სამონასტრო ცხოვრების განხილვა, როგორც ურთიერთდაპირისპირებული ფენომენებისა, სათავეშივე არასწორია. ტრადიციული მონაზვნობა პასიური არ არის, არამედ აქტიურ თვითგამორკვევას ეფუძნება. იგი, როგორც პერგამოსის მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი აღნიშნავს, არც მეტი, არც ნაკლები, საუკუნეთა განმავლობაში ქრისტეს ჯვრის განვრცობა და გაგრძელებაა. იგი

მოწმობა და ყოველდღიური მოწამეობაა პირველი მონაზვნის, ქრისტეს გზისა და ამსოფლად საღმრთო რეალობის შემოტანაა ვიდრე სასუფევლის მოწევნამდე. მონაზონი სიკვდილის ხსოვნითა და საბოლოო განკითხვის მოლოდინით ცხოვრობს.

ეს ქრისტოლოგიური და ესქატოლოგიური პერსპექტივა მონაზვნობის ინსტიტუტს აქტიურ და დინამიკურ ხასიათს ანიჭებს.

მონაზვნობის გარეშე ეკლესიას სეკულარიზმის, სოციალიზმისა და მორალიზმის საფრთხე დაემუქრებოდა, ხოლო ეკლესიის გარეშე თვითმიზნური მონაზვნობა თავის არსს დაკარგავდა.

რაც შეეხება გარე სამყაროსადმი მონაზვნის დამოკიდებულებას, მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მონაზონი გულგრილი არ არის ღვთის შექმნილი სამყაროსადმი, პირიქით, „სათნოებათმოყვარეობის“ (ფილოკალია) ასკეტ მამათა თანახმად, ჭეშმარიტ მონაზონს თანამგრძნობი და მოწყალე გული აქვს თვით ცხოველთა და ფრინველთა მიმართაც კი.

მონაზვნობის, სოციალური აქტივობისა და ამსოფლად მისიონერობის დამოკიდებულებაზე ალბანეთის აწ განსვენებული არქიეპისკოპოსი ანასტასიოს იანულატოსიც მსჯელობს და აღნიშნავს, რომ ასკეზით განწმენდილი და პირადი ეგოიზმისგან თავისუფალი ჭეშმარიტი მონაზონი კიდევ უფრო მეტად არის დაკავშირებული სრულიად სამყაროსთან და სრულიად ეკლესიის სავსების განუყოფელი ნაწილია.[46]

თუ დავაკვირდებით, დედა მარიას შინაგანი დამოკიდებულებაც მონაზვნობის მიმართ ტრადიციული და მტკიცეა და მისი ნოვატორობა მხოლოდ ფორმებს ეხება, რომელთა საჭიროებაც იმ ეპოქამ მოიტანა, რომელშიც მას უწევდა ცხოვრება.

მარია სკობცოვას ე.წ „სოციალურ მონაზვნობას“ გარემომ, მისმა პიროვნულმა თვისებებმა და ხასიათმა შეუწყო ხელი, ეს მისი ინდივიდუალური გზაა და მისი განზოგადება და საყოველთაო იდეალად დასახვა სწორი არ იქნებოდა. მით უმეტეს, რომ, როგორც ზემოთაც ითქვა, ტრადიციული მონაზვნობა და სკობცოვასეული ცხოვრების წესი ურთიერთს არ ეწინააღმდეგება და გამორიცხავს: არც ტრადიციული მონაზვნობაა პასიური და არც მონაზვნობის სკობცოვასეული გაგებაა საერო გაგებით აქტივისტური, არამედ სახარებას ემყარება, რომელიც ორივე სახის მონაზვნობის ძირი და საძირკველია.

როგორც ჭეშმარიტი მონაზონი, ამ სიტყვის უფართოესი გაგებით, იგი თანაგრძნობით იყო განმსჭვალული ღვთის ყველა ქმნილებისადმი და როგორც თავისი ეპოქისა და გარემოს ინტელექტუალი და საზოგადო ფიგურა, გულგრილი არასოდეს რჩებოდა მსოფლიო პროცესების მიმართ. ამის დასტურია გამოხმაურება 1938 წელს გერმანიაში გამოქვეყნებულ პაპ პიუს XI-ის ენციკლიკისადმი ნაციზმის წინააღმდეგ.

დედა მარიას ყოვლისმომცველი სიყვარული ადამიანების მიმართ და გლობალური მასშტაბების მისიონერობა თვით საბჭოთა რეჟიმმაც კი ჰუმანისტურ ქმედებად აღიარა და მარია სკობცოვა მეორე მსოფლიო ომის გმირებს შორის დაასახელა.[47]

ვფიქრობთ, დედა მარია, როგორც მოწყალე გულის პორტრეტი, ამ ნომერში წარმოდგენილი თემის კარგი ილუსტრაციაა. გარდა ამისა, მარია სკობცოვას საქმიანობა კარგი მაგალითია „Imago Dei“ თეოლოგიის, ღვთის ხატების საკითხის უკეთ აღსაქმელად და პასუხობს კითხვას, თუ როგორ უნდა გაერთიანდეს თეოლოგია და მარტირია, ღვთისმეტყველება და ამსოფლად სახარების მოწმობა.

თუ მარია სკობცოვას, ემიგრანტთა ქომაგისა და გარიყულთა შემწის, საქმიანობის

შეჯამებას რამდენიმე წინადადებით მოვისურვებდით, საკმაოდ შთამბეჭდავ ნუსხას მივიღებდით:

- მისი დამოკიდებულება მარგინალიზებული ჯგუფების, სახელდობრ კი იუდეველების, ალკოჰოლიკების, უმუშევრებისა და ფსიქიკური პრობლემების მქონეთა მიმართ, მათი საზოგადოებაში ინტეგრირების მცდელობები.

- თავშესაფრისა და საკვები პუნქტის გახსნა, სანატორიუმის დაფუძნება.

- „მართლმადიდებლური საქმის“, საქველმოქმედო და კულტურული ორგანიზაციის დაარსება.

- 1938 წლის კონფერენცია ქრისტიანული სამყაროსა და რასიზმის თემაზე.

- ანტინაცისტური და ანტიფაშისტური ქმედებები.

ამ ყოველივეს საფუძვლად უდევს ის სულიერი ნიჭები და პიროვნული ქარიზმა, ქრისტიანისთვის რომ ესოდენ სანატრელია: ქრისტიანობის ავთენტური წყაროს, სახარების სიღრმისეული გააზრება, ეკლესიის წმინდა მამებისეული სულისკვეთება და ადამიანებთან ურთიერთობის უნარი – დელიკატურობა და დიპლომატია.

ეს ყველაფერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სეკულარულ სამყაროსთან დიალოგის დროს: მარია სკობცოვა, როგორც თავისი დროის ინტელექტუალი და ხელოვანი, არასოდეს ავლენდა იდეოლოგიურ ჩაკეტილობას და დიალოგის სხვადასხვა, შემოქმედებითსა და დახვეწილ გზებს პოულობდა გარემოსთან ხიდის გასადებად.

დედა მარიას ცხოვრების გზა იდეალური არ ყოფილა, პირიქით, სავსე იყო ეჭვებითა და პრობლემებით, თუმცა იგი კარგად განაქარვებს შეხედულებებს ქრისტიანი მოსაგრის, როგორც იზოლირებული ინდივიდის შესახებ, განაქარვებს გნოსეომაქიურ[48] მიდგომებს განათლებისა და ხელოვნებისადმი და კარგად წარმოაჩენს, როგორ შეიძლება შევინარჩუნოთ ქრისტიანული მსახურების ბირთვი და გულისგული, თუნდაც ირგვლივ ყველა ფასეულობა ირყეოდეს და რთული გარემოებები ერთიმეორეს ენაცვლებოდეს. დღეს, ეთნოფილეტიზმის, გლობალიზაციის, უპირობო სიყვარულისადმი რწმენის დაკარგვის ეპოქაში ეს გზავნილები განსაკუთრებით გვჭირდება.

ვფიქრობთ, მარია სკობცოვას – პატიმარი № 19263-ის – დანატოვარი ხელოვნების ნიმუშები, ნაწერები და ყველაზე მთავარი – ადამიანების სიყვარული - არის დასტური მისი სიტყვებისა, ვისაც იგი მთელი ცხოვრება ემსახურებოდა: „სოფელსა ამას ჭირი გაქუს, არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა!“[49]

---

1 ამ ნომერს ატარებდა დედა მარია საკონცენტრაციო ბანაკში პატიმრობისას.

2 2024 წელს სტატიის ავტორმა ჟენევის უნივერსიტეტში დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი თემაზე “Maria Skobtsova – Orthodox female witness to ecumenical Commitment.”

3 დოროთი დეი – ამერიკელი სოციალური აქტივისტი და პოლიტიკური ფიგურა, რომელმაც მოგვიანებით თავი ასევე ეკლესიის მსახურებას მიუძღვნა (კათოლიკე ეკლესია).

4 Skobtsova, Maria, “Types of Religious Life.” In Mother Maria Skobtsova: Essential Writings. Edited by Richard Pevear and Larissa Volokhonsky, 140-86. Modern spiritual masters series. Maryknoll N.Y.: Orbis Books, 2003, 185.

5 Vasile-Octavian Mihoc, "Global" Orthodox Christianity: Interplay Between Preservation, Affirmation, Prospection." In Globale Christentümer: Theologische Und Religionswissenschaftliche Perspektiven. Edited by Bernhard Grümme et al., 129-49. Global religion Band 2. Paderborn: Brill Schöningh, 2022, 140.

6 Andrew Louth, Modern Orthodox Thinkers: From the Philokalia to the Present Day. Downer's Grove Ill.: IVP Academic an imprint of InterVarsity Press, 2015.

7 დედა მარიას ახლო ურთიერთობა ჰქონდა თავისი დროის გამორჩეულ ფილოსოფოსებთან, თეოლოგებსა და ხელოვანებთან (ბევრი მათგანი წმინდა სერგის ინსტიტუტში მოღვაწეობდა). მათ შორის იყვნენ: მამა სერგი ბულგაკოვი, მამა იოანე მეიენდორფი, მამა ლევ ჟილე, ნიკოლოზ ათანასიევი, კვიპრიანე კერნი, ვასილი ზენკოვსკი, მამა გიორგი ფლოროვსკი, ეპისკოპოსი კასიანე ბეზობრაზოვი, გიორგი ფედოტოვი, ანტონ კარტაშევი, პოლ ევდოკიმოვი, ფილოსოფოსი სიმეონ ფრანკი და ნიკოლოზ ბერდიაევი, ალექსანდრე ბლოკი (რომელთანაც ადრეული წლებიდან მეგობრობდა).

8 Helen C. Theodoropoulos, "The Mother of God in the Writings of St. Mother Maria Skobtsova." The Greek orthodox theological review 60, 1/2 (2015), 171.

9 Benedict Vesa, "Mystical Life and Social Work in Contemporary Monastic Life: Two Case Studies: Mother Maria Skobtsova and Mother Gavriilia Papaiannis." Altarul Reîntregirii, Suplim.2 (2015): 95-113. Accessed May 30, 2024, 104.

10 Maria Skobtsova, "The Cross and the Hammer-and-Sickle." In Mother Maria Skobtsova: Essential Writings. Edited by Richard Pevear and Larissa Volokhonsky, 84-89. Modern spiritual masters series. Maryknoll N.Y.: Orbis Books, 2003,85

11 Maria Skobtsova, "The Cross and the Hammer-and-Sickle." In Mother Maria Skobtsova: Essential Writings. Edited by Richard Pevear and Larissa Volokhonsky, 87.

12 Maria Skobtsova, "The Cross and the Hammer-and-Sickle", 75.

13 Michael Plekon, "Mother Maria Skobtsova", Modern Christian Teachings on Law, Politics, Society, and Human Nature, no. 2 (2005): 512-36. Accessed May 30, 2024, 518.

14 Eugene Blum, "Mother Maria Skobtsova and Her 'Types of Religious Life': Presentation." without year., გვ.1.

15 Eugene Clay, "A Religious Innovator in Paris: Mother Maria (Skobtsova, 1891-1945)." Women in French Studies, 2014, 179-89. Accessed May 30, 2024, 182.

16 Maria Skobtsova, "The Second Gospel Commandment." In Mother Maria Skobtsova: Essential Writings. Edited by Richard Pevear and Larissa Volokhonsky, 45.

17 "The mysticism of human communion", In Mother Maria Skobtsova: Essential Writings. Edited by Richard Pevear and Larissa Volokhonsky, Modern spiritual masters series. Maryknoll N.Y.: Orbis Books, 2003,75.

18 Maria Skobtsova, "Types of Religious Life.",185.

19 Maria Skobtsova, "The Second Gospel Commandment." In Mother Maria Skobtsova: Essential Writings. Edited by Richard Pevear and Larissa Volokhonsky, 45-60. Modern spiritual masters series. Maryknoll N.Y.: Orbis Books, 2003, 48.

20 Maria Skobtsova, "Toward a New Monasticism II: Love Without Limits." In Mother Maria Skobtsova: Essential Writings. Edited by Richard Pevear and Larissa Volokhonsky, Modern spiritual masters series. Maryknoll N.Y.: Orbis Books, 2003.,101.

21 The second Gospel commandment, 45.

22 The second Gospel commandment,49.

23 Types of Religious Life,184.

24 The second Gospel commandment, ,47

25 The second Gospel commandment, 46-47.

26 Maria Skobtsova, "Under the Sign of Our Time." In Mother Maria Skobtsova: Essential Writings. Edited by Richard Pevear and Larissa Volokhonsky, 107-15. Modern spiritual masters series. Maryknoll N.Y.: Orbis Books, 2003.,115.

27 The second Gospel commandment, 54.

28 ბერი პაისი მთაწმინდელი, მონოზვნად ჩინებულთათვის, თარგმნა და მოამზადა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“, თბილისი, 2004, 6.

29 Maria Skobtsova, "On the Imitation of the Mother of God." In Mother Maria Skobtsova: Essential Writings. Edited by Richard Pevear and Larissa Volokhonsky, 61-74. Modern spiritual masters series. Maryknoll N.Y.: Orbis Books, 2003.,71

30 Jim Forest, "Introduction: Mother Maria of Paris." In Mother Maria Skobtsova: Essential Writings. Edited by Richard Pevear and Larissa Volokhonsky, 13-44. Modern spiritual masters series. Maryknoll N.Y.: Orbis Books, 2003.,38.

31 Benedict Vesa, "Mystical Life and Social Work in Contemporary Monastic Life, 103.

32 Jim Forest, Introduction,18.

33 Forest, Introduction, 30.

34 Toward a new Monasticism, I, 90.

35 Toward a new Monasticism, I, 95

36 Toward a new Monasticism, II, 97-98.

37 Toward a new Monasticism, II, 100.

38 Toward a new Monasticism, II, 103.

39 Toward a new Monasticism, I, 94.

40 Forest, "Introduction," 32.

41 Forest, "Introduction: Mother Maria of Paris,"32.

42 Eugene Clay, "A Religious Innovator in Paris,...185.

43 Forest, "Introduction,29.

44 „სობორნოსტის“ იდეა დაკავშირებულია მეცხრამეტე საუკუნის სლავოფილთა მოძრაობასა და ალექსეი ხომიაკოვის (1806-1860) ნაშრომებთან. ამ ტერმინს იყენებს დოსტოევსკიც კოლექტიური პასუხისმგებლობის მნიშვნელობით.

45 The Second Gospel Commandment, 47.

46 Jean Zizioulas, Ascetic Ethos and Monasticism. Edited by Vasilije Gavrilović. Contemporary
Christian thought Series Number 85. Alhambra, California: St. Sebastian Orthodox Press, 2024, 22, 31.
და აგრეთვე Anastasios Yannoulatos, Mission in Christ's Way: An Orthodox Understanding of Mission.
Brookline Mass., Geneva Switzerland: Holy Cross Orthodox Press; World Council of Churches Publications, 2010., 131, 205, 209.

47 Michael Plekon, "Mother Maria Skobtsova." Modern Christian Teachings on Law, Politics, Society, and Human Nature, no. 2 (2005): 512-36. Accessed May 30, 2024.

48 გნოსეომაქია – ერეტიკული სწავლება, რომელიც ეკლესიამ დიდი ხნის წინ უარყო, როგორც მავნებლური შეხედულება ცოდნის უსარგებლობაზე მორწმუნე ადამიანისთვის.

49 იოან.16:33.

ეკლესიაში ესთეტიკური სიამოვნებით ტკბობას ვერ დავიწყებთ, – აღნიშნავდა დედა მარია, – ღვთის ბოძებული თავისუფლება ქმედებისა და ბრძოლისკენ გვიხმობს!“ „ჩვენ ბოლო სამოსელი და ბოლო ნატეხი პურიც უნდა გავცეთ. ქრისტიანი სოციალური საქმისთვის არის მოწოდებული. მან უკეთესი პირობები უნდა შეუქმნას მუშაკებს, იზრუნოს ხანდაზმულებზე, აშენოს ლაზარეთები, იზრუნოს ბავშვებზე და იბრძოლოს ექსპლუატაციის, უსამართლობის, სიდუხჭირისა და უკანონობის წინააღმდეგ

წმ. მარია სკობცოვა

ჰაგიოგრაფიული გმირები როგორც აქტივისტები

ოქტავი ქაზუმოვი

ყოველი რელიგიისა თუ ფილოსოფიური მოძღვრება-შეხედულების ორიენტირს ადამიანი წარმოადგენს. ყოველი რელიგია თუ ფილოსოფიური მოძღვრება მისი დამფუძნებლისა და პირველმოწაფეთა აქტივიზმით იწყება. ხოლო აქტივიზმი უკვე თავისსავე არსში გულისხმობს კონკრეტულ ფიზიკურ ქმედებას - აქტიურობას: ადგილზე მისვლას, ლაპარაკს, მოსმენას, დახმარებას, პურის გაყოფას და ა.შ. რელიგიური თუ ფილოსოფიური მოძღვრების დედააზრი სარწმუნების საკუთარი ცხოვრების მაგალითით ჩვენებაა. რელიგიის შემთხვევაში ეს ქმედება-აქტიურობა მადლის მომზღვავებელია, ფილოსოფიურ შეხედულება-მოძღვრებაში კი უფრო საკუთარი არსის წვდომა, ადამიანურის საუკეთესო გამოვლინება - თუ იცი, თუ იმოძღვრები და თავად არ აღასრულებ, ესე იგი არ ხარ ის, რადაც მოგაქვს თავი. მაშინ, როცა რელიგიური მსახურება-აქტივიზმი ძირითადად საკუთარი თემის, თანამორწმუნეების მოვლა-პატრონობას გულისხმობს (დასავლურმა ეკლესიამ ეს ასე თუ ისე დაძლია და სხვა რჯულის აღმსარებლებსაც ეხმარება ხოლმე), სამოქალაქო ხასიათის აქტივიზმი, იქნება ეს - სოციალური, უფლებრივი, ეკოლოგიური თუ სხვა - ცოტა სხვაგვარად განსაზღვრავს თავის სამოქმედო არეალს - იგი უფრო პროფილის მიხედვით მუშაობს.

ემპათია ადამიანური ბუნების ნაწილია. სხვების დახმარება ჩვენვე გვაკეთილშობილებს. ამიტომ, როდესაც აქტივიზმს გარედან „თავსმოხვეულს“ უწოდებენ და „არა მამულისაებრ სლვას“ უკიჟინებენ, მოდი, ვნახოთ, რას გულისხმობს იგი ზოგადად და მერე ისიც გამოვჩხრიკოთ, მართლა არაფერი ვიცოდით მის შესახებ და ევროპელებმა გვასწავლეს პირველად?

როგორც აღვნიშნეთ, აქტივიზმი თან სდევს ადამიანურ ბუნებას, ადამიანი ყოველთვის ემპათიას განიცდის მისთვის ახლობელი, მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ და ამ ყველაფრის მოგვარებისკენ ისწრაფვის. აქტივისტობის გადამწყვეტი პიროვნებები ძალიან საინტერესონი არიან, რადგან მათ მხოლოდ თავიანთი თავისთვის კი არ უნდათ სიკეთეები, არამედ პირიქით, იბრძვიან იმისათვის, რათა სხვებსაც ჰქონდეთ, ამოდიან რა იმ ფილოსოფიიდან, რომ საზოგადოება მთლიანი ორგანიზმია და თუ მისი რომელიმე ნაწილი ჩაგრულია, შემდეგში სხვებიც დაიჩაგრებიან და ა.შ. ჩვენისთანა ქვეყანაში, სადაც აქტივიზმის კულტურა, თანამედროვე გაგებით, ახლა ყალიბდება და ფორმირდება, ასეთი ადამიანები სამაგალითონი არიან, რადგან მათი ყოველი გამარჯვება თუ მარცხი უზარმაზარ გამოცდილებად გროვდება სხვებისთვისაც. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მოხალისეობრივ/აქტივისტური საქმიანობები უაღრე-

სად მნიშვნელოვნად მიიჩნევა, რადგან იგი საკუთარ სახელმწიფოსთან, თემთან, გარემოსთან სულიერ, გრძნობიერ და გონებრივ კავშირურთიერთობას, თანაგანცდას ქმნის, ასევე საკითხების გადაწყვეტასაც ბევრად უფრო აჩქარებს, ვიდრე იგი თვითდინებით მოგვარდებოდა (თუკი მოგვარდებოდა საერთოდ!!!).

მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნეში თერგდალეულების მთელი საქმიანობა შეიძლება აქტივისტურად მოინათლოს. სამართლიანად უთითებენ, რომ საქართველოში პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ იყო. მათი აქტივიზმი განმანათლებლურ საფუძვლებზე იდგა. თუმცა „აქტივიზმი“ არ ერქვა ყოველივე ამას. აქტივისტობისთვის მაინცდამაინც რომელიმე ორგანიზაციაში დასაქმება არ არის აუცილებელი. ნებისმიერ ქალაქში, სოფელში, უბანში ადამიანს შეუძლია ხელში დაიკავოს ტელეფონი, გადაიღოს რამე პრობლემა, ხალხი დარაზმოს და მისი მოგვარებისთვის იბრძოლოს. დემოკრატიულ ქვეყნებში აქტივიზმი ძალიან კომფორტულია ხელისუფლებისთვის, ვინაიდან, აქტივისტების, მოხალისეების მუშაობა ისევ ხელისუფლებას უმსუბუქებს ტვირთს. აქტივიზმი სხვადასხვა მიმართულებისაა და თითოეული ერთ რომელიმე კონკრეტულ სფეროს ეხება. თუმცა შეიძლება ჰქონდეს გადაკვეთის წერტილები სხვებთანაც.

საგულისხმოა, რომ რელიგიური უფლებებისთვის მებრძოლი აქტივისტი თავად შეიძლება სულაც არ იყოს მორწმუნე ან იმ რელიგიის აღმსარებელი, რომელსაც ესარჩლება, ან სულაც ათეისტი გამოდგეს. უბრალოდ, ამ ადამიანისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კონკრეტული თემის უფლებები არ უნდა ირღვეოდეს და ითელებოდეს, რადგან სამართლიანობის პრინციპის დარღვევა მისთვის მტკივნეულია. ამას ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ რელიგიასთან დაკავშირებული სამოქალაქო აქტივიზმი. ასევე, შებრუნებული პერსპექტივით, არსებობს რელიგიის მსახურთა აქტივიზმიც სამოქალაქო საკითხთა გადაწყვეტაში. მაგალითად, როგორიცაა ეკლესიის გამოყენება უსახლკაროთა შესაფარად, შემოწირულებების მიმართვა გაჭირვებულებისკენ, საქველმოქმედო კამპანიის წარმართვა სნეულთათვის (და ეს ყველაფერი ადამიანთა ეთნიკური და რელიგიური და სხვა მიკუთვნებულობის მიუხედავად), ხელისუფლების მხილება ძალის გადამეტებისას ან რომელიმე კონკრეტული რელიგიის ეკლესიის სოლიდარობა სხვა რელიგიის უფლებების დასაცავად და ა.შ. ოღონდ ეს არ უნდა აგვერიოს მისიონერობაში.

მართალია, „აქტივიზმი“ და „მოხალისეობა“ (ეს უკანასკნელი ჩვენს ქვეყანაში ცნობილი იყო როგორც „შაბათობა“, რაც, როგორც უთითებენ, იდეოლოგიზებული იყო და ასევე, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში სტუდენტები ისტორიულ ძეგლთა გაწმენდით სამუშაოებში იყვნენ ხოლმე მივლინებულნი) სულაც არაა გარედან თავსმოხვეული, მაგრამ საზოგადოებაში, როგორც კულტურა, ჯერ კიდევ არ არის ფართოდ გავრცელებული და წახალისებული, რადგან აქტივიზმისთვის ხელის შემშლელებად გვევლინებიან თავად ხელისუფლებები, რომლებიც მასში პოლიტიკურ ოპონენტს ხედავენ, თანამშრომლობის მაგიერ მტრად შერაცხავენ და შესაბამისად, აქტივიზმი და მოხალისეობა არც საბავშვო ბაღში, არც სკოლაში ისწავლება და არც უნივერსიტეტში მოეთხოვება ვინმეს, როგორც ეს დასავლეთის ქვეყნებშია, სადაც, როგორც უთითებენ, უნივერსიტეტებში ცალკე კრე-

დიტებია გამოყოფილი და ასევე სამსახურში აყვანისას სერიოზულ მოთხოვნათაგანია სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. არადა, თუ რამ გაკეთებულა ისტორიაში დიდი და დასამახსოვრებელი, მატერიალური თუ არამატერიალური, მათი არცთუ უმნიშვნელო ნაწილი სწორედ ასეთ კერძო ინიციატივებსა და ქმედებებზე მოდის. ასე იყო და ასეა საქართველოშიც და ამ თვალსაზრისით ქართული ჰაგიოგრაფია მეტად ძვირფას მასალას იძლევა დაკვირვებისთვის - იდეიდან აღსრულებამდე.

აქტივისტის მთელი სურვილი და წყურვილი ისაა, რომ საზოგადოება, როგორც თავისთავადი მოცემულობა, ჰარმონიულად ცხოვრობდეს და ამის მიღწევის საზღაურად საიმქვეყნოდ ცხონების მოპოვება მისი თვითმიზანი არ არის. თუმცაღა, ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, ანუ იქიდან, რომ სამართლიანობა კარგი რამეა და ოდნავ რელიგიურ რწმენასაც თუ შევაშველებთ, დავინახავთ, რომ აქტივისტების სამართლიანობისთვის ბრძოლას ძალიან დიდი მადლიც ახლავს თან: მან ხომ უშველა კონკრეტულ დავრდომილ ადამიანს, მიუსაფარ ცხოველს, ბუნებას, კულტურულ ძეგლს, ადვოკატირება გაუწია და შეაკეთებინა ან გააყვანინა გზა, გამოაყვანინა წყალი და ა.შ. და ეს მაშინ, როცა შეიძლება თავად პრაქტიკოსი მორწმუნე არ იყოს.

აი, ჰაგიოგრაფიის გმირისთვის კი ეს პირდაპირ ასე არ არის, არამედ მისთვის მთავარი საუკუნო ცხოვრების მოპოვებაა და მხოლოდ ამისთვის ირჯება. ესე იგი მისი ბრძოლა სამართლიანობისთვის, მსახურება, შეწევნა, სიცოცხლის გაღება თუ ლოცვა ვინმესთვის, საუკუნო ცხოვრების მოპოვებისკენ სწრაფვიდან გამომდინარეობს. მისი სტიმულიც ესაა - ემსახუროს ქრისტეს, ხოლო დანარჩენი არის ოდენ საშუალებანი. ოღონდ ვინაიდან ეს მსახურება მრევლზე/თემზე ზრუნვაზე გადის, ნიშნავს, რომ მისი ხორციელი საჭიროებებისთვის აქტიურობაც აქვეა ნაგულისხმევი, შესაბამისად, ჰაგიოგრაფიის გმირი საკუთარი რწმენისა თუ თემის დასაცავად არ ეპუება თვით ყველაზე საშინელ სიუზერენსაც კი, ამხელს და ღიად ამუნათებს მას. ამ უკანასკნელთან შეტაკებისას იგი „პოლიტიკურ განცხადებებსაც“ არ ერიდება, თუმცა ჰაგიოგრაფიის ავტორისთვის ეს „პოლიტიკური განცხადებებიც“ ქრისტიანულ ჭეშმარიტებათა დაცვის აპოლოგიაა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საერო პირთა სვლა მოწამეობისაკენ. მაგალითად, წმინდა შუშანიკის მიერ ვარსქენის ღია კრიტიკა/პროტესტი პოლიტიკური გაცხადებებია იმდენად, რამდენადაც სპარსეთი მხოლოდ რელიგიურად კი არა, პოლიტიკურადაც მიუღებელია მისთვის (მამამისი ვარდან მამიკონიანი მთელი თავისი ცხოვრება სპარსეთს ებრძოდა და მათვე მოკლეს). მისი შემართება მეტად დასაფასებელია, რამეთუ მხოლოდ მან და ვერავინ სხვამ ვერ გაბედა ასეთი მკვეთრი წინააღმდეგობა, რითაც შეუგუებლობის პრეცედენტი შექმნა. საგულისხმოა, რომ შუშანიკისგან მხილებული და არგუმენტგამოლეული ვარსქენიც უმალ „ოჯახურ სიწმინდეს“ ჩაებღაუჭება: „შენ ჩემი ხატი დაამხე (წაიკითხე როგორც „ქმრის იმიჯი“ - ო.ქ.) და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ (ოჯახის სიწმინდის შებღალვა - ო.ქ.), და შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხვად წარსრულ ხარ (ქმრის ნებართვის გარეშე სახლიდან გასვლა - ო.ქ.)“.

შუშანიკთან შედარებით ეპისკოპოსი აფოცი და თავად იაკობ ხუცესი, აღმწერი მისი მოწამეობისა, დედოფალივით აქტიურნი არ არიან. მეტიც, ისინი სერიოზულად უფრთხიან ვარსქენს და მხოლოდ ჩივი-

ლით შემოიფარგლებიან ხოლმე: „წარსწყმიდე თავი შენი და ჩვენცა წარგვწყმიდენ“, რაც ვარსქენს აძლევს საბაბს, დასცინოს მსხვერპლს: „აჰა ეგერა. არა გერგო შენ ეკლესია შენი და არცა ზურგნი ეგე შენი ქრისტიანენი...“ თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, სად არის შენდამი სოლიდარულად განწყობილი ხალხი, ვისთვის იკლავ თავსო? – დაჰკივის პიტიახში.

პიროვნებისგან პოლიტიკური აქტივიზმის ნიშნებს ვხედავთ „ევსტათი მცხეთელის წამებაში“ სპარსელებისა და „ჰაბოს წამებაში“ არაბების წინააღმდეგ. აქ საყურადღებოა, რომ ორივე მომხდური ძალის ღვიძლი შვილია. ორივესთან და განსაკუთრებით ჰაბოსთან, დაპყრობილი ერის გამოსარჩლების საგაა აღწერილი. მართალია, „ევსტათით“ მონათლული გვირობანდაკიცა და ქართველთაგან „ჰაბოდ“ შერაცხილი ჰაბიბიც (გ. კუჭუხიძე), პირველ ყოვლისა, რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე იბრძვიან, მაგრამ მეორე მხარისთვის – მარზპანებისა თუ მსაჯულებისთვის – ეს უპირატესად პოლიტიკური საკითხია, რამეთუ ორივე ძალა რელიგიას პოლიტიკური მიზნებით იყენებს (რა თქმა უნდა, იმ დროისთვის ეს ორი – რელიგია და პოლიტიკა – ფორმალურადაც კი არ იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული). ჩანს, რომ მაზდეანი მარზპანებიცა და მუსლიმი მსაჯულებიც[1] დედამამით ქრისტიანებს არას ერჩიან, მხოლოდ გაქრისტიანებული თვისტომების მიმართ არიან მკაცრნი და შეუვალნი (თავიდან კი უყვავებენ ხოლმე). რატომ? იმიტომ, რომ ეს მათ პოლიტიკას ურტყამს პირდაპირ – თუ შენიანსავე არ უნდა შენი რჯული/პოლიტიკა, მაშინ როგორღა უნდა დაარწმუნო დაპყრობილი ხალხები შენი ცივილიზაციის უპირატესობაში, როგორღა უნდა შეასაღო თავი მშვიდობისა და თავისუფლების მომტანად? შესაბამისად, ორივე წმინდანი და განსაკუთრებით კი ჰაბო, წარმოგვიდგება როგორც საკუთარი ქვეყნისგან ჩაგრული ხალხის გამომსარჩლებელიც, მათი უფლებებისთვის მებრძოლიც.

საინტერესოა, რომ ჰაგიოგრაფიის „წამებების“ ნაწილში ძირითადად საერო პირები არიან გმირები, ხოლო „ცხოვრებებში“ უკლებლივ ყველა სასულიერო მოღვაწეა. ამასთან დაკავშირებით მკვლევარი რევაზ სირაძე თავის ცნობილ წიგნში „სახისმეტყველება“ შემდეგს წერს: „ერისკაცს იდეალურ (იგულისხმება ჰაგიოგრაფისთვის იდეალური – ო.ქ.) პიროვნებად ხდის მხოლოდ მოწამეობა. „ცხოვრებებში“, სადაც ადამიანის ამქვეყნიური საქმენია აღწერილი, ერისკაცი იდეალურობას ვერ აღწევს. მას ნაწარმოებში მეორეხარისხოვანი ადგილი უკავია“ (სირაძე 1982, 91). მანამდე კი დასძენს, რომ „ქართულ მწერლობაში მარტვილობა განიხილება არა როგორც ამა თუ იმ პიროვნების კერძო ბედი ან ფანატიკური მისწრაფება, არამედ ქვეყანაში შექმნილი ვითარების შედეგი[2]“ (სირაძე 1982, 87). „ქვეყანაში შექმნილი ვითარება“ კი სხვა არაფერია, თუ არა ზემოთ ნახსენები პოლიტიკური სიტუაცია რელიგიური ელფერით ან, თუ გნებავთ – რელიგიური სიტუაცია პოლიტიკური შეფერილობით. შესაბამისად, წმინდანები შეგვიძლია თავიანთი დროის რელიგიურ-პოლიტიკურ აქტივისტებადაც აღვიქვათ.

სინამდვილეში, ჩვენი წერილის საზრისს ყველაზე უკეთ ჰაგიოგრაფიის „ცხოვრებათა“ ნაწილი, განსაკუთრებით კი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ეთანადება, რადგან

> „ცხოვრებათა პერსონაჟები... გაიდეალებულნი არიან ამქვეყნიური ღვაწლით, საზოგადოებრივად ფასეული შრომით. ...სწორედ ამა ქვეყნისადმი სამსახურით, კულტურულ-აღმშენებლობითი და ლიტერატურული მოღვაწეობით დაიმსახურეს წმინდანობის შარავანდედი გრი-

> გოლ ხანძთელმა, სერაპიონ ზარზმელმა, ექვთიმე და გიორგი ათონელებმა“ (სირაძე 1982, 88).

ნერსე ერისთავის ცოლის ძმისწულმა და მის სახლში გაზრდილმა ახალგაზრდა გრიგოლმა სასულიერო და ქვეყნიური ლიტერატურის წაკითხვა-გაცნობა-გააზრებისა და რჩევა-გამორჩევის შემდეგ ეპისკოპოსად კურთხევისგან თავი შორს დაიჭირა. „პატივსა ვხედავ და პატიჟისგან მეშინისო,“ - დასძინა. გიორგი მერჩულე ამას თავმდაბლობის აქტად წარმოაჩენს, რაც ასეც არის, თუმცა, გამომდინარე გრიგოლის შემდგომი ნაბიჯებიდან, აშკარად ჩანს, რომ ეს ხელდასხმა მის გეგმა-ჩანაფიქრსაც ეწინააღმდეგებოდა. კერძოდ, გრიგოლს არ უნდა გაკვალული გზით სიარული, მზამზარეული თანამდებობები, არამედ აქტიურობა, საკუთარი თავის დამტკიცება, საკუთარი „ბაბლიდან“ გაღწევა სწადია. ამისთვის კი ცენტრს კი არა, უკიდურეს პერიფერიას ირჩევს. აიყოლიებს თავის თანამოაზრეებს და ტაოსკენ მიემართება. თავიდან თავადაც ფიზიკურ შრომას მიმართავს, ჯერ სენაკებს ააშენებს, ხოლო შემდეგ მონასტრის აგებას იწყებს („იწყეს საქმედ სენაკებისათვის ქვეყანისა დავაკებად... და შრომითა დიდითა ქმნეს ადგილი იგი, რამეთუ არა აქუნდა მათ ცული და წერაქვი, არცა სხვა ეგევითარი სახმარი, არამედ ოპიზელთა მამათა მოსცეს ყოველი, რომელი იპოვა ხელთა მათთა“).

მალე ეს ამბავი სხვებსაც შეესმებათ და იწყებენ მასთან მოსვლას, რაც, წესით, გრიგოლ ხანძთელს უპირობოდ უნდა ახარებდეს, მაგრამ ასე არ არის - იგი ხარისხს ანიჭებს უპირატესობას და არა რაოდენობას, ყველას არ იღებს, ჯერ გასაუბრებას უტარებს და ამოწმებს („ხოლო მამა გრიგოლ არავის უდებთაგანსა შეიწყნარებდა...“). ამ აქტიურობასა და ღვწაში, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, დონორ/შემომწირველიც გამოჩნდება აზნაურ გაბრიელ დაფანჩულის სახით. იგი კირითხუროებს გამოაყოლებს და ქვითკირის ეკლესიის ასაშენებლად გამოატანს „ნივთნი ყოველნის“. ამ მოლაპარაკებებსა თუ ზოგადად საძმოს გაძღოლის საკითხებში გრიგოლ ხანძთელი აქტივისტიდან ქარიზმატულ დიპლომატად და ლიდერადაც ყალიბდება. მისი ავტორიტეტი იმდენად მატულობს, რომ ამჯერად უფრო დიდი დამფინანსებლის ყურადღებას მიიპყრობს, არც მეტი და არც ნაკლები - მეფე აშოტ კურაპალატისას. შესაბამისად, ხანძთის მონასტერს სხვებიც შეემატება. მოგვიანებით მისი აღზრდილი მირონის ხარშვის უფლებასაც მოუპოვებს სამშობლოს. ასე შეიძლება იქცეს ნებისმიერი აქტიური ადამიანის იდეა გრანდიოზულ მიღწევად, თუკი ხელი არ შეეშლება.

ახლა თუნდაც ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა ახალგაზრდა გრიგოლს გაკვალული გზით სიარული რომ მოენდომებინა, თანამდებობაზე დახარბებული რომ ყოფილიყო და უფროსებისთვის უპირობოდ რომ დაეჯერებინა. ან გაბრიელ დაფანჩულსა თუ აშოტ კურაპალატს, აგრეთვე მის ვაჟებს შეშველების მაგიერ ხელი რომ შეეშალათ მისთვის? არ იქნებოდა, მინიმუმ, ქართული სასულიერო ხუროთმოძღვრების ბევრი ძეგლი, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ. იაზრებს რა ყოველივე ამას გიორგი მერჩულე, ასეთი ეპითეტით შეაფასებს: „უდაბნოთა ქალაქმყოფელი, ზეცისა კაცი და ქვეყანისა ანგელოზი“.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გრიგოლ ხანძთელი თავადაც ფიზიკურად შრომობს. ეს აქტი სამ საზრისს შეიცავს: 1) თავიდან ცოტანი არიან და თავადაც განზე ვერ გადგება; 2) მადლიან საქმეში მონაწილეობს, რაც მისი სულისთვის სარგოა; 3) შრომის კულტურას/კულტს ამკვიდრებს და „შრომის ესთეტიკას“ (სირაძე 1982,123) წარმოაჩენს. გრი-

გოლ ხანძთელი ფიზიკურ-გონებრივ შრომა-აქტიურობას შემდგომშიც აგრძელებს. იქნება ეს ტიპიკონის თარგმნა, თხების მოშენება თუ ვენახის გაშენება. რატომ აკეთებს ამას? მისი მინიშნებაც ხომ კმარა, რომ სხვებმა გაუკეთონ ყველაფერი? არა, ხანძთელი წინამძღვრობამდე ადამიანია, პირველ ყოვლისა, რომელმაც საკუთარი ნახელავიც უნდა შემატოს კაცთა მოდგმას, მისთვის მიცემული ტალანტიც გაამრავლოს - რაც მისი პირადი პასუხისმგებლობაა.

„იცვლებოდა შრომის ესთეტიკა, ხან თავს იჩენდა კულტი მწიგნობრობისა, ხანაც მშენებლობისა“ (სირაძე 1982, 123). გრიგოლ ხანძთელის დროს მონასტერთა დაარსებაა პრიორიტეტი, ექვთიმე ათონელის დროს - ბერძნულიდან თარგმნა. „შვილო ჩემო, ქართლისა ქვეყანა დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან... აწ იღვაწე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან,“ - შეევედრება მამამისი და წმინდა ექვთიმეც აღარ დაახანებს. შეიძლება კაცმა იფიქროს, ალბათ, ამისთვის ეცალა, სხვა საქმეებიც გადადებული ჰქონდაო, მაგრამ არა - სნეული მამის მოვლასთან, თოთხმეტი წლის განმავლობაში დიდი ლავრისა და „სამასი სულის“ გაძღოლასთან, სხვა ვალდებულებებთან ერთად „კეთილსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დააცადებდა... არამედ ღამეთა ათევნ, რამეთუ უფროისნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან...“.

„ცხოვრებების“ სათაურებისთვის თვალის მიდევნებისას შემდეგი სიტყვები ხვდება მზერას: „შრომა“, „მოღვაწება“ და „მოქალაქეობა“.

„შრომაზე“ ვილაპარაკეთ. „მოღვაწება“ შრომა-ღვწის შედეგად მოდის და რაც უფრო ღირსსახსოვარია ეს უკანასკნელი, მით უფრო დიდია ღვაწლიც. შრომა ღვაწლში და, თუ გნებავთ, ღვაწლად უნჯდება. ხოლო რაც შეეხება „მოქალაქეობას“, აქ შრომა-ღვაწლიც იგულისხმება და რაღაც უფრო მეტიც. ბერძნული „პოლისიდან“ (ქალაქიდან) წარმოშობილი ეს ტერმინი ფართო გაგებით „პოლიტიკოსობის“ (მოქალაქეობის) გადმოქართულებაა და ესეც პროცესს გულისხმობს - „მოქალაქეობა“ სტატიკური „მოქალაქედ ყოფნა“ კი არ არის (სხვათა შორის დღესაც!!!), არამედ იგი „მოქალაქეობრივის“, პიროვნული ვალის აღსრულებაა ღვთისა და ერის, კონკრეტული ადამიანებისა და ქვეყნის წინაშეც. „მოქალაქეობა“ უფრო მრავალმხრივია, უფრო ტევადი და საგულისხმოა, ვიდრე „ღვაწლი“, რომელიც ერთი კონკრეტული მიმართულებით, სფეროთი შეიძლება იყოს დასაზღვრული.

ჰაგიოგრაფიას ამ თვალსაზრისითაც აქვს ბევრი რამ სასწავლი ჩვენთვის.

აქტივისტებისა და ჰაგიოგრაფიის გმირების ერთი საერთო ნიშან-თვისება „საღვთო შურის აღება“ და „ინსპირაციაა“. ორივესთვის იდეალი მათი რომელიმე შორეული ან ახლობელი ადამიანი და მისი გაკეთებული საქმეებია. ან ავტორი/ბიოგრაფი თავად ავლებს ხოლმე პარალელს გმირსა და რომელიმე სხვა ავტორიტეტს შორის.

თითოეულ ეპოქას თავისი გმირები ჰყავს. დღეისთვის ასეთებად მხოლოდ რელიგიის მსახურნი არ გვევლინებიან, არამედ თითოეული პირი, რომელიც გარემოს ყველასთვის სასიკეთოდ შესაცვლელად იბრძვის და ამ გზაზე არაფერს ეპუება. ამ ადამიანისთვის ინსპირაციის წყარო წმინდანიც შეიძლება იყოს, განმანათლებელიც, მეცნიერიც, ქველმოქმედიც და თავისივე ოჯახის წევრიც. შესაბამისად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წმინდანებიც, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები იყვნენ და „საქმემან მათმან“ აქცია ისინი იმად, რადაც გვესათნოებიან. ასევეა აქტივისტების შემთხვევაშიც - მომავალში მათი საქმეები იმე-

ტყველებენ მათზე. ასე რომ, აქტივიზმი და საზოგადოების ინტერესებისთვის ობიექტურ გამოწვევებთან ან თუნდაც ავ ხელისუფალთან დატაკება გარედან კი არა, ჩვენივე ეროვნული და რელიგიური ცნობიერება/შეგნებიდან მოდის, თუკი მაინცდამაინც ესაა ამოსავალი ვინმესთვის.

1 საინტერესოა, რომ ორივეს პირველი მარზპანი და პირველი მსაჯული ქართველ დიდებულთა ჩარევით ათავისუფლებენ, ხოლო მეორენი ე.ი. ახალდანიშნულნი კი სჯიან.

2 ხაზგასმა ჩვენია - ო.ქ.

მართალია, „აქტივიზმი“ და „მოხალისეობა“ (ესუკანასკნელი ჩვენს ქვეყანაში ცნობილი იყო როგორც „შაბათობა“, რაც, როგორც უთითებენ, იდეოლოგიზებული იყო და ასევე, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში სტუდენტები ისტორიულ ძეგლთა გაწმენდით სამუშაოებში იყვნენ ხოლმე მივლინებულნი) სულაც არაა გარედან თავსმოხვეული, მაგრამ საზოგადოებაში, როგორც კულტურა, ჯერ კიდევ არ არის ფართოდ გავრცელებული და წახალისებული, რადგან აქტივიზმისთვის ხელის შემშლელებად გვევლინებიან თავად ხელისუფლებები, რომლებიც მასში პოლიტიკურ ოპონენტს ხედავენ, თანამშრომლობის მაგიერ მტრად შერაცხავენ და შესაბამისად, აქტივიზმი და მოხალისეობა არც საბავშვო ბაღში, არც სკოლაში ისწავლება და არც უნივერსიტეტში მოეთხოვება ვინმეს, როგორც ეს დასავლეთის ქვეყნებშია, სადაც, როგორც უთითებენ, უნივერსიტეტებში ცალკე კრედიტებია გამოყოფილი და ასევე სამსახურში აყვანისას სერიოზულ მოთხოვნათაგანია სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. არადა, თუ რამ გაკეთებულა ისტორიაში დიდი და დასამახსოვრებელი, მატერიალური თუ არამატერიალური, მათი არცთუ უმნიშვნელო ნაწილი სწორედ ასეთ კერძო ინიციატივებსა და ქმედებებზე მოდის. ასე იყო და ასეა საქართველოშიც და ამ თვალსაზრისით ქართული ჰაგიოგრაფია მეტად ძვირფას მასალას იძლევა დაკვირვებისთვის – იდეიდან აღსრულებამდე

ოქტაი კაზუმოვი

CONTENTS

5 MUTUAL SERVICE IN THE SPIRIT OF THE ESCHATON
Archpriest Giorgi Tserodze

10 THE,,EASY'' PATH TO THEOSIS
St. Maximus the Confessor

13 A REFLECTION ON A PASSAGE FROM MYSTAGOGY BY MAXIMUS THE CONFESSOR
Tamar Grdzelidze

21 THE MYSTICAL AS ETHICAL: LOVE FOR GOD AND FOR NEIGHBOR IN ORTHODOX SPIRITUALITY
Zurab Jashi

31 ,,I WAS HUNGRY AND YOU GAVE ME FOOD''
Zurab Jashi

37 JUDGING IN THE LANGUAGE OF LOVE: A THEOLOGICAL ANALYSIS OF CHRISTIAN JUDGMENT
Archimandrite Ilia Jinjolava

46 HOW TO UNDERSTAND MATTHEW 25:31-46
Abbot Ephrem Lomidze

55 THE SIMPLICITY OF SEEING GOD
Archpriest Michael Galdava

61 THE DIFFUSION OF RESPONSIBILITY
Hieromonk Saba Kevlishvili

67 SPEAKING THE TRUTH IN LOVE: THE SUNDAY OF THE LAST JUDGMENT
Protopresbyter Thomas Hopko

79 PRISONER NO. 19263: HELPER OF THE OPPRESSED AND OUTCASTS
Nino Sadzaglishvili

90 HAGIOGRAPHICAL HEROES AS ACTIVISTS
Oktay Kazumov

ზღვარი

მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა

THE VERGE

The theological journal Zghvari (Verge) - Orthodoxy and Modernity was founded in 2002, although its publication was suspended for an extended period. Since 2022, the journal has been renewed and is now published quarterly - once every three months.

The journal's concept is based on the belief that an Orthodox theology and ethics that is open, oriented towards dialogue with modernity and the outside world, and grounded in Gospel teachings is organically connected to the concepts of human personality, freedom, equality before God, mutual respect, and the development of a society based on the principle of Christian ministry.

Therefore, the journal publishes articles by both classical and contemporary Georgian and foreign Orthodox authors whose theological-educational efforts are directed towards presenting Orthodoxy beyond political-ideological contexts, as a teaching that proclaims the possibility of the meeting between God and man, love and goodness, and social service provided for human beings.

Zghvari is distributed free of charge in bookstores and to interested groups. The release of each new issue is announced through various social networks. Readers can also access audio versions of every article published in the journal. Additionally, a public discussion is held around the main theme of each new issue of Zghvari.

The editor-in-chief of the journal is Archpriest Giorgi Tserodze of the Orthodox Church, while the editorial board includes: Fr. Ilia Jinjolava, Archimandrite of the Ecumenical Throne (PhD in Theology); Dr. Tamara Grdzelidze, Professor of Religious Studies and Theology at Ilia State University, Tbilisi; Dr. Zurab Jashi (Leipzig); and Beka Mindiashvili, Associate Professor at Ilia State University.